საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

საკრებულოს ზედამხედველობა აღმასრულებელ ორგანოზე და მოქალაქეთა ჩართულობა

საკრებულოს ზედამხედველობა აღმასრულებელ ორგანოზე და მოქალაქეთა ჩართულობა

თბილისი
2023

კვლევის ხელმძღვანელები: **ნანუკა ყრუაშვილი**
სალომე საღარაძე

კვლევის ავტორი: **ნინო კაპანაძე**

რედაქტორი: **ხათუნა ყვირალაშვილი**

ტექ. რედაქტორი: **ირაკლი სვანიძე**

კვლევის მომზადებაში მონაწილეობდნენ ასევე საიას რეგიონული ოფისები.

აიწყო და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.
ჯ. კახიძის ქ.15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება
კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

© 2023, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სარჩევი

შესავალი 5

მეთოდოლოგია 5

კვლევის შეზღუდვები 6

ძირითადი მიგნებები 6

საკრებულოების შემადგენლობა და თანამდებობების გადანაწილება 10

თბილისი 10

ბათუმი 12

ზუგდიდი 14

ოზურგეთი 15

ქუთაისი 16

გორი 18

დუშეთი 18

რუსთავი 20

თელავი 21

საკრებულოს მიერ აღმასრულებელი ორგანოს საქმიანობის ზედამხედველობა 22

ა) მერის მიერ საქმიანობის წლიური ანგარიშის წარდგენა 23

ბ) საკრებულოს მერის და მერიის სხვა თანამდებობის პირებისთვის რიგგარეშე ანგარიშის წარდგენის მოთხოვნა 26

გ) საკრებულოს ბიუროს მიერ თანამდებობის პირთა ანგარიშების მოსმენა 26

დ) მერისთვის უნდობლობის გამოცხადება 27

ე) მერიისა და გამგეობის საშტატო ნუსხების დამტკიცება 27

ვ) მერის და მერიის თანამდებობის პირების მიმართ წერილობითი შეკითხვა 29

ზ) მერიის მიერ წარმოდგენილი საკითხების განხილვისას კითხვით მიმართვა და განცხადებების პროცედურა 32

თ) წინა წლის შესყიდვების შესახებ ანგარიშის წარმოდგენა საკრებულოში 38

ი) ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა 38

კ) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის და ბიუჯეტში ცვლილებების დამტკიცება 40

ლ) დამოუკიდებელი აუდიტი 45

მ) საკრებულოს მიერ მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს და თანამდებობის პირების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სასამართლოში გასაჩივრება 46

ნ) ინტერპელაცია 46
ო) თანამდებობის პირების სხდომებზე დასწრება, მოწვევა/დაბარება 46
პ) დოკუმენტების, დასკვნებისა და სხვა საჭირო მასალების წარდგენა 50
ჟ) მერიის სამსახურების უფროსების დანიშვნაზე თანხმობის მიცემა 51
რ) მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსის კანდიდატურის დამტკიცება 52
ს) სარევიზიო კომისიის ანგარიში 53
ტ) სხვა პროცედურები და ტენდენციები 54
შეჯამება 57

მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმები 58
დასახლების საერთო კრება 59
პეტიცია 60
მოქალაქეთა ინიციატივით საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევა 61
დღის წესრიგის, სხდომის ოქმისა და სხდომის ჩატარების თაობაზე ინფორმაციის გამოქვეყნება 62
საკრებულოს სხდომებში მოქალაქეთა მონაწილეობა 64
სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო 70
მუნიციპალიტეტის მერისა და საკრებულოს წევრის მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა მოქალაქეების მიერ 74
სამოქალაქო ჩართულობის სხვა მექანიზმები 76
შეჯამება 78

რეკომენდაციები 79

შესავალი

სახელმწიფოს მმართველობის სისტემაში, ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის ფორმის მიუხედავად, ადგილობრივი თვითმმართველობა მოქალაქეთათვის ყველაზე ხელმისაწვდომ დონედ მიიჩნევა. აქ გამარტივებულია კომუნიკაცია მუნიციპალურ ორგანოებსა და თანამდებობის პირებთან. მოსახლეობას შესაძლებლობა აქვს, მონაწილეობა მიიღოს ადგილობრივი ორგანოების მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, შემდეგ კი მათი შესრულების მიმდინარეობისა თუ საბოლოო აღსრულების ეფექტიანი ზედამხედველობა განახორციელოს.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოლეგიური ორგანო - საკრებულო - შესაბამის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების მიერ პირდაპირი წესით აირჩევა. აქედან გამომდინარე, მისი უპირველესი ფუნქცია მოქალაქეთა წარმომადგენლობაა, რაც მათი იდეების, საჭიროებების, პრობლემების გახმოვანებას და გადაწყვეტილებების მიღების დროს გათვალისწინებას გულისხმობს. საკრებულოს ფუნქციაა, მის ხელთ არსებული სამართლებრივი მექანიზმების მეშვეობით, ხელი შეუწყოს მოქალაქეთა მონაწილეობასა და ჩართულობას გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში. მისი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მანდატია მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს საქმიანობის ზედამხედველობა, რითაც ის, პირველ ყოვლისა, საკუთარ გადაწყვეტილებათა იმპლემენტაციას აკონტროლებს, პარალელურად კი, თავის პირველად დანიშნულებას - მოქალაქეთა წარმომადგენლობას უზრუნველყოფს.

ადგილობრივ დონეზე მოქალაქეთა ჩართულობასა და საკრებულოს მაკონტროლებელი ფუნქციების გამოყენებას საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ არეგულირებს. გარდა ამისა, თითოეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი დამატებით ადგენს სხვა მექანიზმებსაც, რომლებიც წარმომადგენლობითობის პრინციპის რეალიზებას უზრუნველყოფს და ადგილობრივი ორგანოების ანგარიშვალდებულების ხარისხს აუმჯობესებს. ამ ნორმების გამოყენება ხელს უწყობს შედეგზე ორიენტირებულ და მოქალაქის საჭიროებაზე დაფუძნებულ ადგილობრივ პოლიტიკას. შესაბამისად, საკრებულოს საზედამხედველო ფუნქციისა და მოქალაქეთა ჩართულობის შესაფასებლად, ნორმატიული ჩარჩოს მიღმა, მნიშვნელოვანია დასახელებული ინსტრუმენტების გამოყენების პრაქტიკის გაანალიზება.

მეთოდოლოგია

საიამ 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების შედეგად არჩეული საკრებულოების საქმიანობა შეისწავლა. კვლევა **ადგილობრივ დონეზე საკრებულოს საზედამხედველო ფუნქციისა** და **მოქალაქეთა ჩართულობის შესახებ არსებული ინსტრუმენტების პრაქტიკულ ასპექტებს** აღწერს და აფასებს.

ორგანიზაცია ქვეყნის მასშტაბით 1 ცენტრალური და 8 რეგიონული ოფისის მეშვეობით ოპერირებს. შესაბამისად, ამ დოკუმენტის მიზნებისთვის შეირჩა 9 მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო: **თბილისის, ბათუმის, ზუგდიდის, ოზურგეთის, ქუთაისის, გორის, დუშეთის, თელავისა** და **რუსთავის** საკრებულოები.

მონიტორინგის ინსტრუმენტებია:

- საკრებულოსა და მისი კომისიების სხდომების მონიტორინგი;
- საკრებულოს გადაწყვეტილებების ანალიზი;
- საკრებულოს აქტივობებზე დაკვირვება;

- საჯარო ინფორმაციისა და დოკუმენტაციის მოძიება და დამუშავება;[1]
- მონიტორინგის სუბიექტების ოფიციალურ ვებგვერდებსა და სოციალური მედიის პლატფორმებზე გამოქვეყნებული ინფორმაციის შესწავლა და ანალიზი;
- საჯარო მედიაწყაროების მონიტორინგი და ანალიზი.

მონიტორინგის ფარგლებში სხდომების მიმდინარეობაზე დაკვირვებისას ძირითადი ფოკუსი საკრებულოს მხრიდან აღმასრულებელი ორგანოს ზედამხედველობაზე იყო მიმართული. კვლევის პროცესში საია მოქალაქეების მიერ ისეთი ინსტრუმენტების გამოყენების პრაქტიკას აკვირდებოდა, რომლებითაც მათ საკრებულოსა და მერიის საქმიანობა უნდა გაეკონტროლებინათ.

ამ დოკუმენტის მიზანია, მტკიცებულებებზე დაფუძნებული ანალიზის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციების წარდგენისა და ადვოკატირების გზით, ადგილობრივ დონეზე ზედამხედველობის ინსტრუმენტების გაძლიერება. ამის მისაღწევად საიას ამოცანაა ხარვეზების გამოვლენა, მათი ანალიზი და გადაჭრის გზების შეთავაზება. კვლევა მოიცავს 2021 წლის მოწვევის საკრებულოების საქმიანობას 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით და გამოკვეთს ძირითად ტენდენციებს 9 მუნიციპალიტეტის საკრებულოს 13 თვის მუშაობიდან. ამასთანავე, მოკლედ აღწერილია არჩევნების შედეგად საკრებულოში არსებული კონფიგურაცია და სხვა ინსტიტუციური საკითხები (მათ შორის, პირველ სხდომებზე გამოვლენილი ტენდენციები).

კვლევის შეზღუდვები

წინამდებარე დოკუმენტში აღწერილია 9 საკრებულოს მუშაობა და წარმოდგენილია მონიტორინგის შედეგები. თუმცა, კვლევის საპილოტე რეჟიმიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთი საკრებულოდან ორგანიზაციამ ვერ მიიღო სათანადო და სრულყოფილი მასალები, ასევე საკრებულოების ვებგვერდებზე სრულად არ არის გამოქვეყნებული პროაქტიული ინფორმაცია, შესაბამის თემასთან დაკავშირებით მითითებულია მხოლოდ ის მონაცემები, რომლებზეც საიას ხელი მიუწვდებოდა.

ძირითადი მიგნებები

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ საკრებულოები სრულყოფილად არ იყენებენ კანონმდებლობით მათთვის მინიჭებულ ზედამხედველობის ინსტრუმენტებს, ხოლო მოქალაქეთა მიერ ჩართულობის მექანიზმების გამოყენების პრაქტიკა სუსტია. ქვემოთ მოცემულია ორივე მიმართულებით გამოვლენილი მიგნებები.

კვლევის ძირითადი მიგნებები საკრებულოს მხრიდან მერიის ზედამხედველობის კუთხით:

1) საანგარიშო პერიოდში არცერთ საკრებულოს არ გამოუყენებია ზედამხედველობის ისეთი მექანიზმები, როგორებიცაა: ინტერპელაცია, დამოუკიდებელი აუდიტი, მერის მიმართ უნდობლობის გამოცხადება, თანამდებობის პირთა რიგგარეშე ანგარიშების მოთხოვნა, საკრებულოს მიერ მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს და თანამდებობის პირების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სასამართლოში გასაჩივრება;

[1] საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნა და დამუშავება მოხდა ორგანიზაციის მიერ შემუშავებული სპეციალური კითხვარის მეშვეობით.

2) ქუთაისის გარდა, სხვა საკრებულოებში ბიუროს მერიის თანამდებობის პირთა ანგარიშები არ მოუსმენია;

3) 2021 წლის ანგარიში საკრებულოს მხოლოდ თბილისის მერმა წარუდგინა. დანარჩენ საკრებულოებში ეს ან წინა მერმა გააკეთა ახალარჩეული მერის უფლებამოსილების დაწყებამდე, ან ეს პერიოდი ანგარიშგების გარეშე დარჩა;

4) 2022 წლის საქმიანობის ანგარიშები მერების უმეტესობამ მხოლოდ საზოგადოების გარკვეულ ჯგუფს წარუდგინა, საკრებულო კი ანგარიშის გარეშე დატოვა, რამაც, ფაქტობრივად, ჩაანაცვლა საკრებულოში გათვალისწინებული დებატებისა და მსჯელობის სისტემური პროცედურა;

5) თბილისის მერის მიერ წარდგენილი ორივე წლის ანგარიშის შინაარსობრივი ანალიზიდან გამოიკვეთა, რომ საკრებულოს უმრავლესობის წევრთა აქტიურობის მიუხედავად, მათი გამოსვლები ნაკლებად ეხებოდა მერიის საქმიანობის ზედამხედველობას და წინა პლანზე, ძირითადად, ურთიერთბრალდებები იყო წამოწეული;

6) 2021 წლის შესყიდვების ანგარიში მერიამ მხოლოდ ოზურგეთის, გორის, დუშეთისა და ქუთაისის საკრებულოებში წარადგინა;

7) მერიის თანამდებობის პირთა მიმართ წერილობითი შეკითხვების გაგზავნის შესაძლებლობა მხოლოდ 4 საკრებულოში (თბილისი, გორი, ქუთაისი, რუსთავი) გამოიყენეს, რაც ამ საზედამხედველო მექანიზმის სისუსტეზე მიუთითებს;

8) თბილისისა და გორის საკრებულოებში მერის/მერიის თანამდებობის პირთა მიმართ წერილობითი შეკითხვების უპასუხოდ დატოვების შემთხვევები გამოვლინდა;

9) თბილისის საკრებულოდან საიამ ვერ მიიღო ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რომელი თანამდებობის პირის მიმართ რა სახის შეკითხვები გაიგზავნა და რა პასუხები მიიღო საკრებულომ;

10) განსახილველი საკრებულოებიდან მერიის თანამდებობის პირები სხდომებზე მხოლოდ თბილისსა და გორში დაიბარეს, სხვაგან კი აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირები მხოლოდ მაშინ ესწრებოდნენ სხდომებს, თუ ისინი შესაბამის საკითხზე მომხსენებლები იყვნენ;

11) თბილისისა და გორის საკრებულოების სხდომებზე მერიის თანამდებობის პირები (მათ შორის, გორის მერი), დაბარების მიუხედავად, არ გამოცხადდნენ;

12) მერის, მისი მოადგილეებისა და სამსახურების უფროსების საკრებულოს და კომისიების სხდომებზე ინტენსიური დასწრების პრაქტიკა გამოიკვეთა ქუთაისის საკრებულოში, რაც მისასალმებელია;

13) ზუგდიდისა და გორის საკრებულოებში ბიუჯეტის პროექტს და მერიის საქმიანობასთან (მათ შორის, მერისთვის თანხმობის მიცემასთან) დაკავშირებულ სამართლებრივ აქტებს მომხსენებლის რანგში საკრებულოს შესაბამისი დარგობრივი კომისიების თავმჯდომარეები წარადგენდნენ (ზოგ შემთხვევაში - საკრებულოს თავმჯდომარე), მერიის წარმომადგენლები კი მხოლოდ კითხვებზე პასუხის გასაცემად ერთვებოდნენ;

14) ყველა საკრებულოში გამოიკვეთა ტენდენცია, რომ შეკითხვებით და კრიტიკული მოსაზრებებით, ძირითადად, ოპოზიციის წარმომადგენლები გამოდიოდნენ, „ქართული ოცნების“ წევრები კი მერიის მიმართ ქებითა და მადლიერების გამო-

ხატვით შემოიფარგლებოდნენ (ისინი ასევე მერიის წარმომადგენლებს პასუხის გაცემაში ეხმარებოდნენ). ამასთანავე, რუსთავის საკრებულოში შესამჩნევი იყო საკრებულოს „ქართული ოცნების“ დეპუტატების მიდგომა, მერიის მიერ ინიციირებული საკითხები ყოველგვარი კითხვის დასმის გარეშე დაემტკიცებინათ;

15) ყველა საკრებულოში ტენდენციის სახით გამოიკვეთა, რომ დეპუტატები ნაკლებად აქტიურობდნენ განკარგულებების (ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები) პროექტებთან მიმართებით, რომლებიც დღის წესრიგის, დაახლოებით, 85%-ს შეადგენს;

16) საკრებულოს სხდომების ოქმები, უმეტესად, არ შეიცავს სრულყოფილ ინფორმაციას განსახილველი საკითხების ირგვლივ გამართული დებატების (კითხვა-პასუხი) თაობაზე. ამ მხრივ კარგი პრაქტიკა აქვს მხოლოდ თბილისის, ბათუმის, ზუგდიდის და ქუთაისის საკრებულოებს;

17) ზოგ შემთხვევაში, ზუგდიდისა და რუსთავის საკრებულოებში საკითხის არადამაკმაყოფილებლად ცნობას არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია, რაც ვერ შეფასდება სწორ პრაქტიკად;

18) თბილისის საკრებულოში 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი და მერის 2022 წლის ანგარიში ერთობლივად განიხილეს, რა დროსაც ანგარიშის მიმართ დეპუტატების აქტიურობამ, ფაქტობრივად, გადაფარა ბიუჯეტის დოკუმენტი და მისი სრულყოფილი განხილვა ვერ მოხერხდა;

19) საკითხის შესწავლის მიზნით მისი განხილვის გადადების პრაქტიკა გამოიკვეთა რამდენიმე საკრებულოში (თბილისი, ქუთაისი, დუშეთი), რაც მისასალმებელია, ვინაიდან საკრებულოს მიერ აღმასრულებელი ორგანოს ზედამხედველობის ხარისხზე ეს დადებითად მოქმედებს;

20) თბილისის საკრებულოში კენჭისყრის პროცედურები ხშირად დაჩქარებულ რეჟიმში მიმდინარეობდა, რა დროსაც საკრებულოს წევრები თითქმის არ ან ვერ სვამდნენ შეკითხვებს. ამგვარი პრაქტიკა ასუსტებს წარმომადგენლობით ორგანოში დელიბერაციის ხარისხს და ხელს უშლის საკითხის სრულყოფილად განხილვის შესაძლებლობას;

21) ზუგდიდში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ეფექტიანობის აუდიტის შესახებ დასკვნაში მოცემული შენიშვნების განხილვის შემდგომ საკრებულომ გადაწყვიტა, გააძლიეროს კონტროლის მექანიზმი მერიისა და მისი სტრუქტურული ერთეულების მიმართ. ასევე განისაზღვრა, რომ მერმა აუდიტის სამსახურის შენიშვნებისა და რეკომენდაციების თაობაზე გატარებული ღონისძიებების შესახებ პერიოდულად აცნობოს საკრებულოს. ეს ზედამხედველობის დადებითი პრაქტიკაა;

22) ბათუმის საკრებულო დეპუტატების მიერ სხდომის განმავლობაში გაკეთებულ ყველა განცხადებას ოქმის სახით მერიაში აგზავნის, რაც კარგ პრაქტიკად მიიჩნევა. ის, ერთი მხრივ, აძლიერებს საკრებულო-მერიის საქმიან ურთიერთობას, მეორე მხრივ კი, ემსახურება მოქალაქეთა წუხილების მიტანას აღმასრულებელ ორგანომდე;

23) თბილისისა და თელავის საკრებულოების რამდენიმე სხდომაზე მერიის წარმომადგენლები განცხადებების პროცედურის ფარგლებში პირდაპირ პასუხობდნენ დეპუტატების შეკითხვებს, რაც სწორი პრაქტიკაა. ეს აძლიერებს ზედამხედველობის ხარისხს და როგორც დეპუტატებს, ისე საზოგადოებას აძლევს საშუალებას, ადგილობრივი ხელისუფლებისგან მიიღონ ინფორმაცია აქტუალური საკითხების შესახებ;

24) რამდენიმე საკრებულოში (თბილისი, ქუთაისი, ზუგდიდი, დუშეთი) გამოიკვეთა, რომ კომისიის/საკრებულოს სხდომებზე დეპუტატებს მოწვევას და მასალებს, უმეტესწილად, წინა დღეს უგზავნიან. ეს კი საკითხის შესასწავლად და გასაანალიზებლად საკმარისი არ არის.

კვლევის ძირითადი მიგნებები საკრებულოს საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის კუთხით:

25) მოქალაქეებმა პეტიციები მხოლოდ 3 საკრებულოში (ზუგდიდი, გორი, ოზურგეთი) შეიტანეს;

26) არცერთ საკრებულოში არ შესულა მოქალაქეების ინიციატივა საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ;

27) თბილისის საკრებულოში დღის წესრიგები სხდომებამდე 1 დღით ადრე გამოქვეყნდა. ამის გამო, 2022 წელს ყველა მათგანი რიგგარეშე სხდომის ფორმატით ჩატარდა;

28) ბათუმის გარდა, ყველა საკრებულოში სხდომების შესახებ ინფორმაცია (სხდომის ოქმი, განსახილველი პროექტები და ა.შ.) პროაქტიულად არასრულყოფილად ან საერთოდ არ ქვეყნდებოდა;

29) ოზურგეთის საკრებულოში გამოიკვეთა მოქალაქეთა ჩართულობის რამდენიმე ინოვაციური მექანიზმი (ელექტრონული პეტიცია; ვიზუალური ბიუჯეტი; საკრებულოსა და საკრებულოს კომისიების სხდომების შესახებ მოკლე ტექსტური შეტყობინება), რაც კარგი პრაქტიკაა;

30) თელავის საკრებულო ყველა ნორმატიული აქტის პროექტს (მათ შორის, ბიუჯეტის პროექტს) თავდაპირველად საჯაროდ აქვეყნებდა, სხდომაზე მის განხილვას კი რამდენიმე კვირის მერე იწყებდა. ეს მიდგომა მისასალმებელია, ვინაიდან ხელს უწყობს მოსახლეობის ინფორმირებას და ჩართულობას;

31) ბათუმის საკრებულოში სხდომის გამართვის შესახებ ინფორმაცია და განსახილველი პროექტები 7 დღით ადრე პროაქტიულად ქვეყნდება, სხდომის შემდეგ კი ოქმები ვებგვერდზე იტვირთება, რაც მისასალმებელი პრაქტიკაა;

32) ქუთაისის საკრებულოს ვებგვერდზე არ არის გამოქვეყნებული სხდომების ოქმები და მათი მიღება დაინტერესებულ პირებს მხოლოდ მატერიალურად გამოთხოვნის შემთხვევაში შეუძლიათ;

33) თბილისის საკრებულოს სხდომების ტრანსლირებისას ხშირია ტექნიკური ხარვეზები, რომლებიც როგორც აუდიო, ისე ვიდეო გადაცემას უკავშირდება. ეს უარყოფითად მოქმედებს საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების ხარისხზე და მათი მხრიდან კონტროლის შესაძლებლობას ამცირებს;

34) საკრებულოს დარბაზების ფართის სიმცირე ოზურგეთსა და რუსთავში მოქალაქეთა დასწრებას ართულებს;

35) თბილისის საკრებულოში მოქალაქეთა დასწრებისთვის გათვალისწინებულია იარუსზე არსებული სივრცე. მიუხედავად იმისა, რომ იარუსიდან შესაძლებელია სხდომაზე დაკვირვება, იქ მოქალაქეთათვის არ დგას სკამები. დამსწრე პირი იძულებულია, ფეხზე იდგეს და ისე უყუროს სხდომას;

36) თბილისის საკრებულოს სხდომაზე დასწრებისთვის ნებართვის მოპოვება ტექნიკურად გაუმართავი იყო;

37) იმის გათვალისწინებით, რომ თბილისის საკრებულოს სხდომის თაობაზე ინფორმაცია ქვეყნდება 2 დღით ადრე, ხოლო დღის წესრიგი - 1 დღით ადრე, მოქალაქისთვის ნაკლებად მოსახერხებელია წინა დღით საკრებულოში ფიზიკურად მისვლა და დასწრების თაობაზე განცხადების წარდგენა. ელექტრონული ფორმით გაგზავნა კი ტექნიკურ სირთულეებთან არის დაკავშირებული;

38) თბილისის გარდა, სხვა საკრებულოებში სხდომაზე დასწრებისთვის წინასწარ წერილის გაგზავნა საჭირო არ არის, რაც მისასალმებელი პრაქტიკაა;

39) მრჩეველთა საბჭოები მხოლოდ გორსა და თბილისში ფუნქციონირებს აქტიურად, დუშეთში კი ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს ფორმატია დამკვიდრებული;

40) თბილისის ზოგიერთი რაიონის გამგეობაში მრჩეველთა საბჭოების დასაკომპლექტებლად გამოცხადებული კონკურსისთვის მცირე დრო იყო განსაზღვრული (2 ან 4 დღე).

საკრებულოების შემადგენლობა და თანამდებობების გადანაწილება

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, ქვეყნის მასშტაბით ახალი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები დაკომპლექტდა. რამდენიმე ქალაქში უმრავლესობა ოპოზიციურმა პარტიებმა მოიპოვეს, მათ შორის იყო ბათუმი, ზუგდიდი და რუსთავი. დანარჩენ საკრებულოებში სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი „ქართულმა ოცნებამ“ მოიპოვა. 2022 წლის აპრილში გამართული შუალედური არჩევნების შემდეგ ქალაქ ბათუმშიც დაიბრუნა უმრავლესობა „ქართულმა ოცნებამ“. 2022 წლის ბოლოსთვის მას მხოლოდ ზუგდიდისა და რუსთავის საკრებულოებში არ ჰქონდა რაოდენობრივი უპირატესობა სხვა პოლიტიკურ გაერთიანებებთან შედარებით.

კონფიგურაცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აღმასრულებელი ორგანოს ზედამხედველობაზე, ვინაიდან გადაწყვეტილებათა მიმღები პირების პარტიულობა პირდაპირ უკავშირდება მერიის მიმართ კრიტიკისა და საზედამხედველო მექანიზმების გამოყენების სიხშირეს/ხარისხს. ქვემოთ ცალ-ცალკე მოკლედ არის აღწერილი 9 საკრებულოს დაკომპლექტების პროცესები.

თბილისი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში 2021 წლის ადგილობრივ არჩევნებზე მოსახლეობამ მე-7 მოწვევის საკრებულო აირჩია. არჩევნების შედეგების მიხედვით, 50-წევრიან საკრებულოში 6 პოლიტიკური ძალა შევიდა.[2]

ახალარჩეული საკრებულოს პირველ სხდომაზე დარეგისტრირდა 3 ფრაქცია - „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „თბი-

[2] „ქართული ოცნება“ (29 წევრი), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (13 წევრი), „ლელო“ (2 წევრი), „ზურაბ გირჩი ჯაფარიძე: გირჩი - მეტი თავისუფლება“ (1 წევრი), „გახარია საქართველოსთვის“ (4 წევრი), „ანა დოლიძე - ხალხისთვის“ (1 წევრი). იხ. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 13 ნოემბრის №49/2021 სხდომის ოქმი, დანართი 3 „მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებისთვის, შესაბამისი საარჩევნო კომისიების მიერ შედგენილი, კანონიერ ძალაში შესული შემაჯამებელი ოქმების მიხედვით, საკრებულოს წევრად, მერად არჩეული პირები“, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3HPI7NW, განახლებულია: 12.03.2023.

ლისი - საქართველოსთვის“.[3] საკრებულოს კომისიებში წევრთა რაოდენობა თანაბრად, 11 წევრით (კომისიების რაოდენობაც 11-ია[4]) განისაზღვრა. აქედან „ქართულ ოცნებას“ შეეძლო 6 წევრის დანიშვნა, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას - 3-ის, ფრაქციას „თბილისი საქართველოსთვის“ და უფრაქციო დეპუტატებს კი - თითო წევრის.[5] თავდაპირველად, თბილისის საკრებულოში ორი უფრაქციო წევრი (ანა დოლიძის პარტიიდან[6] და „ლელოდან“[7]) იყო. მომდევნო სხდომებზე „ლელოს“ ორმა წევრმა[8] „გირჩი მეტი თავისუფლების“ წარმომადგენელთან[9] ერთად შექმნა ფრაქცია „ლელო - პარტნიორობა თბილისისთვის“,[10] რის შემდეგაც თბილისის საკრებულოში მხოლოდ ერთი უფრაქციო (დამოუკიდებელი) წევრი დარჩა ანა დოლიძის პარტიიდან.[11]

რაც შეეხება საკრებულოს თანამდებობის პირების გადანაწილებას, ყველგან „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი აირჩიეს. სპიკერატში მათ 4 თანამდებობის პირი ჰყავთ (თავმჯდომარე და 3 მოადგილე). 11-ვე კომისიის თავმჯდომარე „ქართული ოცნების“ წევრია.[12] გარდა ამისა, 29-წევრიან ფრაქციაში 6 მათგანი თანამდებობის პირია (1 თავმჯდომარე და 5 მოადგილე).[13] შედეგად, ამ ფრაქციის წარმომადგენლობა ყველა თანამდებობაზე, მთლიანობაში, არის 21. სხვა ფრაქციებს მხოლოდ ამავე სტრუქტურაში აქვთ თანამდებობები. კერძოდ, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ 13-წევრიან ფრაქციას 5 თანამდებობის პირი ჰყავს (ფრაქციის თავმჯდომარე და 4 მოადგილე),[14] 3-წევრიან ფრაქციას[15] „თბილისი საქართველოსთვის“ - 2 თანამდებობის პირი (ფრაქციის თავმჯდომარე და 1 მოადგილე);[16] იგივე რაოდენობა ჰყავს ფრაქციას „ლელო - პარტნიორობა თბილისისთვის“.[17] საბოლოოდ, „ქართულ ოცნებას“ თბილისის საკრებულოში 58%-იანი უმრავლესობა აქვს, თუმცა თანამდებობების 70% უკავია.

---

[3] ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის №1 სხდომის ოქმი, თბილისის საკრებულოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Fh2eFR, განახლებულია: 12.03.2023.

[4] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, 70-ე მუხლი; თბილისის საკრებულოს რეგლამენტი, მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტი.

[5] ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის №1 სხდომის ოქმი.

[6] ალექსანდრე რატიშვილი.

[7] საბა ბუაძე. პარტია „ლელოს“ მეორე წევრმა ბადრო ჯაფარიძემ პირველივე სხდომაზე განაცხადა მანდატის დატოვების თაობაზე. იგი მომდევნო სხდომებზე ჩანაცვლდა ვახტანგ სურგულაძით.

[8] საბა ბუაძე და ვახტანგ სურგულაძე.

[9] ცოტნე კობერიძე.

[10] ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდი, ფრაქციები, ფრაქცია „ლელო - პარტნიორობა თბილისისთვის“, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ni5Otu, განახლებულია: 12.03.2023.

[11] ანა დოლიძის პარტიიდან თავდაპირველად დეპუტატი გახდა ალექსანდრე რატიშვილი, 2022 წლის 10 ივნისს მას, საკუთარი განცხადების საფუძველზე, უფლებამოსილება შეუწყდა, 16 ივლისს კი მის ნაცვლად საკრებულომ ცნო ნინო სულაძის უფლებამოსილება. იხ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 10 ივნისის №11 და 16 ივლისის №12 სხდომების ოქმები.

[12] ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის №1 სხდომის ოქმი.

[13] ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდი, ფრაქციები, ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3niDEOY, განახლებულია: 12.03.2023.

[14] ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდი, ფრაქციები, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3JiaQ0a, განახლებულია: 12.03.2023.

[15] ეს ფრაქცია თავდაპირველად 4 წევრისგან შედგებოდა, თუმცა 2022 წლის ოქტომბერში ის ერთმა წევრმა (დავით ფარცვანია) დატოვა და დამოუკიდებელი წევრი გახდა. იხ. „პარტია „საქართველოსთვის“ თავმჯდომარე ზაზა თავაძე აცხადებს, რომ სუს-თან და „ქართულ ოცნებასთან“ თანამშრომლობისთვის დავით ფარცვანია პარტიიდან გარიცხეს“, 1tv, 2022 წლის 7 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3mQcAG0, განახლებულია: 12.03.2023.

[16] ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდი, ფრაქციები, ფრაქცია „თბილისი საქართველოსთვის“, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3LHUal3, განახლებულია: 12.03.2023.

[17] ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდი, ფრაქციები, ფრაქცია „ლელო - პარტნიორობა თბილისისთვის“.



თბილისის საკრებულოში 2021 წლის დეკემბერში და 2022 წელს, მთლიანობაში, 20 სხდომა ჩატარდა.[18] როგორც გამოიკვეთა, ერთზე მეტი სხდომა გაიმართა 2022 წლის ნოემბერში, ასევე 2021 და 2022 წლების დეკემბერში. სხვა თვეებში კი მხოლოდ თითო სხდომა ტარდებოდა. ამასთანავე, 2021 წლის 3 დეკემბრის გარდა, ყველა სხდომა რიგგარეშე ფორმატის იყო.

ბათუმი

2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების შედეგების მიხედვით, ქ. ბათუმის 35-წევრიან საკრებულოში 4 პოლიტიკური ძალა შევიდა.[19] ის ერთ-ერთი იყო იმ 6 საკრებულოდან, რომლებშიც უმრავლესობა დამოუკიდებლად ვერცერთმა პარტიამ ვერ მოიპოვა.[20] არჩევნების შემდეგ, სანამ საკრებულოს პირველი სხდომა გაიმართებოდა, ბათუმის ადგილობრივ წარმომადგენლობით ორგანოს მაჟორიტარი წევრი გამოაკლდა („ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“),[21] რამაც ოპოზიციურ ფლანგს უმრავლესობის მოსაპოვებელი გადამწყვეტი მანდატი დროებით ჩამოაშორა. გარდა ამისა, „გახარია საქართველოსთვის“ პარტია მისმა ერთმა წევრმა დატოვა და დამოუკიდებელი დეპუტატი გახდა.[22]

ბათუმის საკრებულოს პირველ სხდომაზე, რომელიც 2021 წლის 3 დეკემბერს გაიმართა, მხოლოდ საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობა და ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ შექმნა მოხერხდა (სხვა ფრაქციები იმ დღეს არ დარეგისტრირებულა).[23] ბათუმის საკრებულომ, იქ არსებული პარტიული წარმომადგენლობის კონფიგურაციის გამო, ვერ შეძლო თავმჯდომარის არჩევა და, რეგლამენტის შესაბამისად, სხვა პროცედურებზე გადასვლა.[24] იმავე თვეში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, „ლელოს“ და პარტია „გახარია საქართველოსთვის“ დეპუტატების ინიციატივით მოწვეული სხდომები, კვორუმის არარსებობის გამო, ვერ ჩატარდა.[25] ამასთანავე, 2021

[18] ქ. თბილისის საკრებულოს სხდომების ოქმები, 2021-2022 წლები, თბილისის საკრებულოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Qi1qTu, განახლებულია: 12.03.2023.

[19] „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (15 წევრი), „ლელო“ (1 წევრი); „გახარია საქართველოსთვის“ (3 წევრი), „ქართული ოცნება“ - 16 წევრი. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 13 ნოემბრის №49/2021 სხდომის ოქმი, დანართი 3.

[20] იქვე.

[21] „ბათუმის ახალი საკრებულოს წევრი, ენმ-ის დეპუტატი ნუგზარ ფუტკარაძე გარდაიცვალა“, „ფორმულა“, 2021 წლის 18 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://formulanews.ge/News/60375, განახლებულია: 12.03.2023.

[22] „გახარიას პარტია დატოვა ბათუმის საკრებულოს წევრად არჩეულმა ირაკლი თავდგირიძემ“, რადიო თავისუფლება, 2021 წლის 29 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3zK7PRT, განახლებულია: 12.03.2023.

[23] ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის №15 სხდომის ოქმი. ბათუმის საკრებულოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3yDrx0N, განახლებულია: 12.03.2023.

[24] იქვე.

[25] საკრებულოს სხდომა, 2021 წლის 30 დეკემბერი, ბათუმის საკრებულოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3KOH3xM, განახლებულია: 12.03.2023.

წლის 30 დეკემბრის შემდეგ, საკრებულოს შუალედურ არჩევნებამდე, ბათუმში საკრებულოს სხდომა აღარ მოუწვევიათ.[26] 2022 წლის იანვარში წარმომადგენლობით ორგანოს კიდევ ერთი ოპოზიციონერი დეპუტატი გამოაკლდა (პარტია „საქართველოსთვის"), რომელიც სხვა წევრით 30 მაისს ჩანაცვლდა.[27]

2022 წლის 2 აპრილის შუალედურ არჩევნებში „ქართული ოცნების" კანდიდატმა რამაზ ჯინჭარაძემ გაიმარჯვა.[28] ამის მიუხედავად, საკრებულომ შეკრება მაინც ვერ შეძლო, ვინაიდან ეს პოლიტიკური გაერთიანება, ოპოზიციური პარტიების ბოიკოტის გამო, ახალარჩეული დეპუტატის უფლებამოსილების ცნობისთვის დამოუკიდებლად სხდომის გახსნის კვორუმს ვერ აგროვებდა.[29] კრიზისის გადასალახად საქართველოს პარლამენტმა მაისში საკანონმდებლო ცვლილებები მიიღო, რომლის მიხედვითაც, შუალედურ არჩევნებში გამარჯვებული პირი შესაბამისი საარჩევნო კომისიის დადასტურების შემდეგ ჩაითვლებოდა საკრებულოს წევრად და მისი უფლებამოსილების ცნობა საჭირო აღარ იქნებოდა.[30] შედეგად, ბათუმის საკრებულოში „ქართული ოცნების" 17-წევრიანმა შემადგენლობამ, დამატებით 1 დამოუკიდებელი დეპუტატის მხარდაჭერით, სხდომის გახსნის კვორუმის მოგროვება შეძლო და არჩევიდან თითქმის 6 თვის თავზე, 30 მაისიდან, საკრებულოს სხდომები განახლდა.[31]

2022 წლის 30 მაისის სხდომაში მონაწილეობა არ მიუღიათ, თუმცა 14-მა წევრმა ამავე დღეს დაარეგისტრირა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა".[32] სხდომაზე დეპუტატებმა აირჩიეს თანამდებობის პირები, ასევე დაამტკიცეს საკრებულოს კომისიების წევრთა რაოდენობა და კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები.[33] „ქართულმა ოცნებამ" ყველა კომისიაში (რამდენიმეში - დამოუკიდებელი დეპუტატის მხარდაჭერით) ფაქტობრივი უმრავლესობა მოიპოვა.[34] ბათუმის საკრებულოში თანამდებობის პირების განაწილება ასეთია: 5-ვე კომისიის თავმჯდომარე „ქართული ოცნების" წევრია.[35] ამ ფრაქციაში თავმჯდომარეს 5 მოადგილე ჰყავს, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ფრაქციაში კი 3 მოადგილეა.[36] საკრებულოს სპიკერატში „ქართულ ოცნებას" თავმჯდომარის და 2 მოადგილის თანამდებობა უკავია, პირველი მოადგილის თანამდებობაზე კი დამოუკიდებელი დეპუტატი აირჩიეს.[37] საგულისხმოა, რომ 31 ოქტომბერს საკრებულოს ბიურომ დაარეგისტრირა კიდევ ერთი ფრაქცია „ახალი ოპოზიცია",[38] თუმცა საკრებულოს ვებგვერდზე მისი წევრების თაობაზე ინფორმაცია არ იძებნება.

---

[26] ნინო კაპანაძე, უმცირესობა უმრავლესობაში - პროცედურული ომი და კრიზისი საკრებულოებში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2022, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3z6NiHN, განახლებულია: 12.03.2023.

[27] ბათუმის საკრებულოს 2022 წლის 30 მაისის №1 სხდომის ოქმი, ბათუმის საკრებულოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3l1dE9P, განახლებულია: 12.03.2023.

[28] საქართველოს პარლამენტისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 2 აპრილის შუალედური არჩევნების ანგარიში, 2022 წელი, ივნისი, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3fk7yOk, განახლებულია: 12.03.2023.

[29] „ოპოზიციის ბოიკოტის გამო ბათუმის საკრებულოს სხდომაზე კვორუმი ვერ შედგა", პუბლიკა, 2022 წლის 12 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/403gmKu, განახლებულია: 12.03.2023.

[30] 2022 წლის 27 მაისის ორგანული კანონი „საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" ცვლილების შეტანის შესახებ", მე-2 მუხლი.

[31] ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მაისის №1 სხდომის ოქმი.

[32] „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' წევრებმა ბათუმის საკრებულოში ფრაქცია დაარეგისტრირეს", adjaratv, 2022 წლის 30 მაისი, ხელმისაწვდომია: https://ajaratv.ge/article/97401, განახლებულია: 12.03.2023.

[33] ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მაისის №1 სხდომის ოქმი.

[34] იქვე.

[35] იქვე.

[36] ბათუმის საკრებულოს ვებგვერდი, ფრაქციები, ხელმისაწვდომია: https://www.batumicc.ge/index.php, განახლებულია: 12.03.2023.

[37] ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მაისის №1 სხდომის ოქმი.

[38] ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 ოქტომბრის №6 სხდომის ოქმი.



იმის გათვალისწინებით, რომ ბათუმის საკრებულომ ფუნქციონირება ივნისის ბოლოს დაიწყო, 2022 წელს მხოლოდ 8 სხდომა ჩატარდა. ყველა მათგანი მორიგი ფორმატის იყო.

ზუგდიდი

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 45-წევრიანი საკრებულო 3 პარტიით დაკომპლექტდა.[39] ბათუმის მსგავსად, აქაც სრული შემადგენლობის უმრავლესობა ვერცერთმა პარტიამ ვერ მოიპოვა. ზუგდიდის საკრებულომ თავმჯდომარის არჩევა რამდენიმე უშედეგო მცდელობის შემდეგ, მხოლოდ 2022 წლის 14 თებერვალს შეძლო.[40] მისი პირველი პირი პარტია „საქართველოსთვის“ წევრი გახდა, დანარჩენი თანამდებობები კი ამავე პარტიისა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა გაინაწილეს.[41] რაც შეეხება კომისიებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს, ყველა კომისიაში „ქართულ ოცნებას“ და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ თანაბარი რაოდენობის წევრი ჰყავთ, თითო კვოტა კი განისაზღვრა ფრაქციისთვის „ზუგდიდი საქართველოსთვის“.[42] აღსანიშნავია, რომ ეს ფრაქცია 2021 წლის 3 დეკემბერს შეიქმნა,[43] თუმცა 1-ლი აპრილის სხდომაზე საკრებულომ ცნობად მიიღო მისი გაუქმების საკითხი.[44] მისი წევრების განცხადებით, ისინი არ აპირებდნენ თანამდებობების ათვისებას, რის გამოც, ფრაქციის დაშლის გადაწყვეტილება მიიღეს.[45] თუმცა, მოგვიანებით, მათ ეს გადაწყვეტილება ბათილად ცნეს.[46] ფრაქცია „ზუგდიდი საქართველოსთვის“ კვლავ ფუნქციონირებს საკრებულოში თანამდებობის პირების გარეშე.

[39] „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - 22 წევრი, „გახარია საქართველოსთვის“ - 3 წევრი, „ქართული ოცნება“ - 20 წევრი. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 13 ნოემბრის №49/2021 სხდომის ოქმი, დანართი 3.

[40] ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს Facebook-გვერდი, 2022 წლის 14 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/zugdidiSsakrebulo, განახლებულია: 11.04.2023.

[41] ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს Facebook-გვერდი, 2022 წლის 22 და 25 მარტი.

[42] ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 მარტის სხდომის ჩანაწერი, ზუგდიდის საკრებულოს Facebook-გვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ZZMyhN, განახლებულია: 11.04.2023.

[43] ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს Facebook-გვერდი, 2021 წლის 3 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3KuRUvu, განახლებულია: 11.04.2023.

[44] ზუგდიდის საკრებულოს 2022 წლის 1-ლი აპრილის №1 სხდომის ოქმი.

[45] იქვე.

[46] ზუგდიდის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის №2 სხდომის ოქმი.

საკრებულოს ფრაქციებში თანამდებობათა განაწილება ასეთია: „ქართულ ოცნებას“ 20-წევრიან ფრაქციაში ჰყავს თავმჯდომარე და 6 მოადგილე, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - თავმჯდომარე და 6 მოადგილე,[47] ხოლო ფრაქციას „ზუგდიდი საქართველოსთვის“ ამავე სტრუქტურაში თანამდებობის პირები არ ჰყავს.[48] სპიკერატში თავმჯდომარის მოადგილეების თანამდებობები „ზუგდიდი საქართველოსთვის“ (პირველი მოადგილე) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა დაიკავეს.[49] რაც შეეხება კომისიებს, აქ, ერთის გარდა, ყველა მათგანის თავმჯდომარე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი გახდა.[50] ოქტომბერში „ქართულ ოცნებას“ გამოეყო 2 წევრი და პარტია „ხალხის ძალას“ შეუერთდა,[51] რის შემდეგაც ამ საკრებულოში 2 უფრაქციო დეპუტატია.



2022 წლის 14 თებერვლიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ზუგდიდის საკრებულოში სულ 31 სხდომა ჩატარდა, საიდანაც 9 იყო მორიგი, დანარჩენი კი რიგგარეშე ფორმატის (მათ შორის, 14 თებერვლის, 22 და 25 მარტის სხდომები, რომლებიც 2021 წლის 3 დეკემბრის სხდომის დღის წესრიგით წარიმართა).

ოზურგეთი

2021 წლის ადგილობრივი არჩევნების შედეგების მიხედვით, ოზურგეთის 45-წევრიან საკრებულოში 3 პოლიტიკური ძალა შევიდა.[52] აქ სრული შემადგენლობის უმრავლესობა „ქართულმა ოცნებამ“ მოიპოვა. შესაბამისად, ოზურგეთის საკრებულოს ყველა თანამდებობაზე ამ პოლიტიკური ძალის წარმომადგენლები აირჩიეს.[53] პირველ სხდომაზე საკრებულოში დარეგისტრირდა 3 ფრაქცია - „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართვე-

[47] ზუგდიდის საკრებულოს 2022 წლის 1-ლი აპრილის №1 სხდომის ოქმი.
[48] ზუგდიდის საკრებულოს ვებგვერდი, საკრებულოს ფრაქციები, ხელმისაწვდომია: https://zugdidi.gov.ge/ge/sakrebulos-prakciebi, განახლებულია: 12.03.2023.
[49] ზუგდიდის საკრებულოს 2022 წლის 22 მარტის სხდომის ჩანაწერი; ზუგდიდის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის №3 სხდომის ოქმი.
[50] ზუგდიდის საკრებულოს 2022 წლის 25 მარტის სხდომის ჩანაწერი, ზუგდიდის საკრებულოს Facebook-გვერდი; ზუგდიდის საკრებულოს ვებგვერდი, საკრებულოს კომისიები, ხელმისაწვდომია: https://zugdidi.gov.ge/ge/sakrebulos-komisiebi, განახლებულია: 12.03.2023.
[51] ზუგდიდის საკრებულოს 2022 წლის 26 ოქტომბრის №20 სხდომის ოქმი.
[52] „ქართული ოცნება“ (30 წევრი), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (11 წევრი) და „გახარია საქართველოსთვის“ (4 წევრი). საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 13 ნოემბრის №49/2021 სხდომის ოქმი, დანართი 3.
[53] ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის №1 სხდომის ოქმი, ოზურგეთის საკრებულოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: http://ozurgeti.mun.gov.ge/?p=10093, განახლებულია: 12.03.2023.

ლო“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „ოზურგეთი - საქართველოსთვის“.[54] რაც შეეხება თანამდებობებს, ოპოზიციური პარტიებიდან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ 11-წევრიან ფრაქციას 4 თანამდებობის პირი ჰყავს (თავმჯდომარე და 3 მოადგილე), „ოზურგეთი საქართველოსთვის“ 4-წევრიან ფრაქციას - 2 (თავმჯდომარე და 1 მოადგილე), „ქართული ოცნების“ ფრაქციაში[55] კი თავმჯდომარე და 7 მოადგილეა.[56] კომისიების თავმჯდომარეები და მოადგილეები „ქართული ოცნების“ წევრები არიან.[57] საკრებულოს 5-ვე კომისიაში უმრავლესობა ასევე „ქართული ოცნების“ წევრებს აქვთ.[58]



ოზურგეთის საკრებულოში 2021 წლის დეკემბერში და 2022 წელს, მთლიანობაში, 15 სხდომა ჩატარდა. აქედან 2 მათგანი იყო რიგგარეშე, დანარჩენი კი - მორიგი სხდომის ფორმატის.

ქუთაისი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2021 წლის ადგილობრივ არჩევნებზე მოსახლეობამ მე-7 მოწვევის საკრებულო აირჩია. არჩევნების შედეგების მიხედვით, 35-წევრიან საკრებულოში 4 პოლიტიკური ძალა შევიდა.[59]

ახალარჩეული საკრებულოს პირველ სხდომაზე 2021 წლის 3 დეკემბერს დარეგისტრირდა 2 ფრაქცია: „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ და „ერთიანი ნაციო-

[54] იქვე.

[55] ამ ფრაქციაში თავდაპირველად 30 წევრი იყო. 2022 წლის ნოემბერში ფრაქცია 2-მა წევრმა დატოვა და ისინი შეუერთდნენ პარტია „ხალხის ძალას“. იხ. „ოზურგეთის საკრებულოს წევრები გელა ჩავლეშვილი და ეროდი გორდელაძე „ხალხის ძალაში“ გადავიდნენ“, იმედი ნიუსი, 2022 წლის 25 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3YAIiEE, განახლებულია: 12.03.2023.

[56] ოზურგეთის საკრებულოს ვებგვერდი, ფრაქციები, ხელმისაწვდომია: http://ozurgeti.mun.gov.ge/?cat=121, განახლებულია: 12.03.2023.

[57] ოზურგეთის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის №1 სხდომის ოქმი, 2022 წლის 21 იანვრის №3 სხდომის ოქმი.

[58] ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის №1 სხდომის ოქმი. აქვე აღსანიშნავია, რომ ფრაქცია „ქართული ოცნების“ დატოვების შემდეგ, პარტია „ხალხის ძალის“ ერთ-ერთმა დეპუტატმა თანამდებობა შეინარჩუნა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში. იხ. ოზურგეთის საკრებულოს ვებგვერდი, საკრებულოს კომისიები, ხელმისაწვდომია: http://ozurgeti.mun.gov.ge/?cat=120, განახლებულია: 12.03.2023.

[59] „ქართული ოცნება“ (18 წევრი), „ნაციონალური მოძრაობა“ (14 წევრი), „გახარია საქართველოსთვის“ (2 წევრი), „მესამე ძალა - სტრატეგია აღმაშენებელი“ (1 წევრი). საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 13 ნოემბრის №49/2021 სხდომის ოქმი, დანართი 3.

ნალური მოძრაობა“.[60] საკრებულოს თანამდებობის პირებად (თავმჯდომარე, თავმჯდომარის პირველი მოადგილე, თავმჯდომარის 2 მოადგილე, საკრებულოს ხუთივე კომისიის თავმჯდომარე) ყველგან „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი აირჩიეს.[61] 18-წევრიან ფრაქციაში მათ 4 თანამდებობის პირი ჰყავთ (თავმჯდომარე და 4 მოადგილე), „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ კი - 5 (თავმჯდომარე და 4 მოადგილე).[62] 2022 წელს ცვლილებები შევიდა საკრებულოს პარტიულ შემადგენლობაში: „გახარია საქართველოსთვის“ პარტიიდან 1 წევრი გავიდა და ის დამოუკიდებელი დეპუტატის სტატუსით დარჩა საკრებულოში, „ქართული ოცნებიდან“ კი 2 წევრი პარტია „ხალხის ძალას“ შეუერთდა.

2021 წლის 3 დეკემბრის სხდომაზე დამტკიცდა საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობა და წარმომადგენლობითი კვოტები.[63] იურიდიულ საკითხთა კომისიამ 2022 წლის 26 იანვარს ეს საკითხი ხელახლა განიხილა.[64] საკრებულოს ორ კომისიაში (იურიდიულ საკითხთა და საფინანსო-საბიუჯეტო) - უმრავლესობა, ხოლო დანარჩენ კომისიებში წევრთა ზუსტად ნახევარი ფრაქცია „ქართული ოცნების“ წარმომადგენელია.[65] როგორც უკვე აღინიშნა, ყველა კომისიის თავმჯდომარე ამ ფრაქციიდანაა (ზოგიერთის თავმჯდომარე 25 მაისს აირჩიეს[66]), შესაბამისად, ხმების გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტი ხმა თავმჯდომარეს აქვს. ეს ნიშნავს, რომ, თეორიულად, კომისიაში გადაწყვეტილებაზე საბოლოო გავლენა მაინც „ქართული ოცნების“ ხელშია.



ქუთაისის საკრებულოში 2021 წლის დეკემბერში და 2022 წელს, მთლიანობაში, 14 სხდომა ჩატარდა, აქედან 9 - მორიგი, 5 კი - რიგგარეშე სხდომის ფორმატით.

[60] ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის №1 სხდომის ოქმი.
[61] იქვე.
[62] ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3LJbyWD, განახლებულია: 31.03.2023.
[63] ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის №1 სხდომის ოქმი.
[64] ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის 2022 წლის 26 იანვრის სხდომის ოქმი.
[65] ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდი.
[66] ქუთაისის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის №7 სხდომის ოქმი.

გორი

2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, გორის მუნიციპალიტეტის 36-წევრიანი საკრებულო 3 პოლიტიკური ძალით დაკომპლექტდა.[67] პირველ სხდომაზე დეპუტატებმა აირჩიეს თანამდებობის პირები, შექმნეს დარგობრივი კომისიები, დაამტკიცეს საკრებულოს კომისიების წევრთა შემადგენლობა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები.[68] სპიკერატსა და ხუთივე კომისიაში კვოტების უმრავლესობა „ქართულ ოცნებას“ ერგო.[69] თანამდებობის პირთა არჩევაში მონაწილეობა არ მიუღიათ პარტია „საქართველოსთვის“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს (მათ სხდომაც დატოვეს).[70] რაც შეეხება ფრაქციებს, გორის საკრებულოში შეიქმნა 3 ფრაქცია: „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (თავმჯდომარე და 6 მოადგილე), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (თავმჯდომარე და 2 მოადგილე) და „გორი საქართველოსთვის“ (თავმჯდომარე და 1 მოადგილე).[71] ხუთივე კომისიაში უმრავლესობა ასევე „ქართულ ოცნებას“ აქვს („ქართული ოცნება“ - 10 წევრი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - 4 წევრი, „გორი საქართველოსთვის“ - 2 წევრი).[72] 12 აგვისტოს ფრაქცია „ქართული ოცნება“ ერთმა წევრმა დატოვა და „ხალხის ძალას“ შეუერთდა, რის შემდეგაც საკრებულოში 1 უფრაქციო წევრია.[73]



2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის ჩათვლით პერიოდში გორის მუნიციპალიტეტში ჩატარდა საკრებულოს 25 სხდომა (მათ შორის, 10 რიგგარეშე).

დუშეთი

არჩევნების შედეგების მიხედვით, დუშეთის მე-8 მოწვევის 33-წევრიან საკრებულოში 6 პოლიტიკური ძალა შევიდა.[74] სრული შემადგენლობის უმრავლესობა აქაც „ქართულმა

[67] „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (24 წევრი), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (9 წევრი), „გახარია საქართველოსთვის“ (3 წევრი). საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 13 ნოემბრის №49/2021 სხდომის ოქმი, დანართი 3.

[68] გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის №20 სხდომის ოქმი.

[69] იქვე.

[70] იქვე.

[71] გორის საკრებულოს ვებგვერდი, ფრაქციები. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3UynehB, განახლებულია: 12.03.2023.

[72] გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის №20 სხდომის ოქმი.

[73] გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 12 აგვისტოს №11 სხდომის ოქმი.

[74] „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (23 წევრი), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (5 წევრი), „გახარია საქართველოსთვის“ (2 წევრი), „ლელო“ (1 წევრი), „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი -

ოცნებამ“ მოიპოვა. ახალარჩეული საკრებულოს პირველ სხდომაზე დარეგისტრირდა 2 ფრაქცია: „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.[75] მომდევნო სხდომებზე შეიქმნა ასევე ფრაქცია „დუშეთი საქართველოსთვის“, რომელშიც გაერთიანდა პარტია „საქართველოსთვის“ 2 და „პატრიოტთა ალიანსის“ 1 წევრი.[76] დუშეთის საკრებულოში 3 უფრაქციო დეპუტატია, მათ შორის, თითო წევრი - პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ და „ლელოდან“.[77]

დუშეთის საკრებულოში შექმნილი 5-ვე კომისიის თავმჯდომარე „ქართული ოცნების“ წევრია.[78] არცერთ ოპოზიციურ პარტიას კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურა არ დაუსახელებია და მათ წარმომადგენლებს არც კენჭისყრაში მიუღიათ მონაწილეობა.[79] გარდა ამისა, საკრებულოს სპიკერატში ყველა თანამდებობა ასევე „ქართული ოცნების“ წევრებმა დაიკავეს.[80] პირველივე სხდომაზე დამტკიცდა საკრებულოს რეგლამენტი და კომისიების დებულებები.[81] ყველა კომისიის შემადგენლობა 12 წევრით განისაზღვრა, საიდანაც უმრავლესობის დანიშვნის უფლება „ქართულ ოცნებას“ მიენიჭა. ამ პარტიას ფრაქციაში 8 თანამდებობის პირი ჰყავს (თავმჯდომარე და 7 მოადგილე), „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - 2 (თავმჯდომარე და 1 მოადგილე), „დუშეთი საქართველოსთვის“ - 2 (თავმჯდომარე და 1 მოადგილე).[82]

2022 წლის 5 ივლისს დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ინაშვილმა პირადი განცხადებით დატოვა თანამდებობა, თუმცა წევრად დარჩა.[83] ოქტომბერში თავმჯდომარედ მისი პირველი მოადგილე აირჩიეს.[84]



პატრიოტთა ალიანსი“ (1 წევრი), „ლეიბორისტული პარტია“ (1 წევრი). საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 13 ნოემბრის №49/2021 სხდომის ოქმი, დანართი 3.

[75] დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის №01 სხდომის ოქმი. დუშეთის საკრებულოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/40376pJ, განახლებულია: 12.03.2023.

[76] დუშეთის საკრებულოს ვებგვერდი, ფრაქციები, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ZYF8M3, განახლებულია: 12.03.2023.

[77] დუშეთის საკრებულოს ვებგვერდი, საკრებულოს წევრები, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ziLUki, განახლებულია: 29.03.2023.

[78] დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის №1 სხდომის ოქმი.

[79] იქვე.

[80] იქვე.

[81] იქვე.

[82] დუშეთის საკრებულოს ვებგვერდი, ფრაქციები.

[83] დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 ივლისის №13 სხდომის ოქმი. დუშეთის საკრებულოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3YFpQdR, განახლებულია: 12.03.2023.

[84] დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 ოქტომბრის №16 სხდომის ოქმი. დუშეთის საკრებულოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ZCu3QW, განახლებულია: 12.03.2023.

2021 წლის დეკემბერში და 2022 წელს, მთლიანობაში, 23 სხდომა ჩატარდა, აქედან ნახევარზე მეტი, 12 სხდომა - რიგგარეშე ფორმატით.

რუსთავი

ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტში 2021 წლის ადგილობრივ არჩევნებზე მოსახლეობამ მე-7 მოწვევის საკრებულო აირჩია. არჩევნების შედეგების მიხედვით, 35-წევრიან წარმომადგენლობით ორგანოში სამი პოლიტიკური ძალა შევიდა.[85] ბათუმისა და ზუგდიდის მსგავსად, ვერც აქ მოიპოვა უმრავლესობა დამოუკიდებლად რომელიმე პარტიამ, რის გამოც, საკრებულოს ფუნქციონირების დაწყება აქაც შეფერხდა.[86]

2022 წლის 31 იანვარს გამართულ სხდომაზე საკრებულომ თავმჯდომარედ „საქართველოსთვის“ პარტიის მიერ წარდგენილი კანდიდატი აირჩია.[87] მას პარტიებმა „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ და „საქართველოსთვის“ დაუჭირეს მხარი. კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო „ქართულმა ოცნებამ“.[88] სხვა თანამდებობებიც „საქართველოსთვის“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა გაინაწილეს. საკრებულოში 3 ფრაქცია დარეგისტრირდა: „ქართული ოცნება” (თავმჯდომარე და 5 მოადგილე), „რუსთავი საქართველოსთვის“ (თავმჯდომარე და 2 წევრი) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (თავმჯდომარე და 5 მოადგილე).[89] ოქტომბერში ეს უკანასკნელი ფრაქცია დატოვა ერთმა წევრმა (დავით სულაძე) და გახდა დამოუკიდებელი დეპუტატი (ის შეუერთდა პარტია „ლელოს“).[90] რუსთავის საკრებულოში შეიქმნა 5 კომისია, რომელთა თავმჯდომარეები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები არიან,[91] ხოლო უმრავლესობა არცერთ პარტიას არ აქვს. აღსანიშნავია, რომ ხუთივე კომისიაში თავმჯდომარეობაზე უარი განაცხადეს „ქართული ოცნების“ დეპუტატებმა.[92]



[85] „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (16 წევრი), „საქართველოსთვის“ (3 წევრი), „ქართული ოცნება“ (16 წევრი), საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 13 ნოემბრის №49/2021 სხდომის ოქმი, დანართი 3.

[86] იხ. ნინო კაპანაძე, დასახელებული ნაშრომი.

[87] ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 იანვრის №2 სხდომის ოქმი.

[88] იქვე; 8 თებერვლის №3 სხდომის ოქმი.

[89] ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს Facebook-გვერდი, 2022 წლის 14 თებერვალი.

[90] „რუსთავის საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი „ლელოში“ გადავიდა“, რადიო თავისუფლება, 2022 წლის 16 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3LJUAHm, განახლებულია: 29.03.2023.

[91] 2022 წლის 11 მარტის №5 და 21 მარტის №6 სხდომების ოქმები.

[92] იქვე.

რუსთავის საკრებულოში 2021 წლის დეკემბერში და 2022 წელს, მთლიანობაში, 18 სხდომა ჩატარდა, აქედან 16 - მორიგი, 2 კი - რიგგარეშე ფორმატით.

თელავი

თელავის მუნიციპალიტეტში 2021 წლის ადგილობრივი არჩევნების შედეგების მიხედვით, 39-წევრიან საკრებულოში 3 პოლიტიკური ძალა შევიდა.[93] ამ საკრებულოშიც სრული შემადგენლობის უმრავლესობა „ქართულმა ოცნებამ“ მოიპოვა. შესაბამისად, ყველა თანამდებობა ამ პარტიის წარმომადგენლებმა დაიკავეს.[94] რაც შეეხება ფრაქციებს, „ქართულ ოცნებას“ 22-წევრიან ფრაქციაში 7 თანამდებობის პირი ჰყავს (1 თავმჯდომარე და 6 მოადგილე), სპიკერატში - 4, ხოლო 5 კომისიის თავმჯდომარის დამატებით მისი წარმომადგენლობა ყველა თანამდებობაზე არის 16.[95] „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ 16-წევრიან ფრაქციას 6 თანამდებობის პირი ჰყავს (1 ფრაქციის თავმჯდომარე და 5 მოადგილე).[96] საკრებულოს ყველა კომისიაში უმრავლესობა „ქართულ ოცნებას“ აქვს. საკრებულომ კომისიებში თითოეული ფრაქციის კვოტები ყველა კომისიისთვის ერთიანად დაადგინა. კერძოდ, ფრაქცია „ქართულ ოცნებას“ 44 კვოტა ერგო, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - 32, „გახარია საქართველოსთვის“ კი - 2.[97] ამ უკანასკნელი პარტიის წევრი საკრებულოს უფრაქციო, დამოუკიდებელი წევრია.



თელავის საკრებულოში 2021 წლის დეკემბერში და 2022 წელს, მთლიანობაში, 18 სხდომა ჩატარდა, აქედან 4 მათგანი - რიგგარეშე ფორმატით.

[93] „ქართული ოცნება“ (22 წევრი), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (16 წევრი), „გახარია საქართველოსთვის“ (1 წევრი). საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 13 ნოემბრის №49/2021 სხდომის ოქმი, დანართი 3.

[94] თელავის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის №1 სხდომის ოქმი.

[95] იქვე.

[96] თელავის საკრებულოს ვებგვერდი, ფრაქციები, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3A7pRhb, განახლებულია: 29.03.2023.

[97] თელავის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის №1 სხდომის ოქმი.

საკრებულოს მიერ აღმასრულებელი ორგანოს საქმიანობის ზედამხედველობა

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით გათვალისწინებულია საკრებულოს მხრიდან აღმასრულებელი ორგანოს საქმიანობის ზედამხედველობის სხვადასხვა მექანიზმი. ზოგიერთი, უშუალოდ, კონტროლის ინსტრუმენტია, ნაწილი კი - საშუალება აღმასრულებელი ორგანოს გეგმებისა და მუნიციპალიტეტის ამა თუ იმ პრიორიტეტული საკითხის აღსრულების შესამოწმებლად. ეს საზედამხედველო ფუნქციები ნორმატიულ საფუძველს ქმნის აღმასრულებელი ორგანოს კონტროლისა და ანგარიშვალდებულების პრინციპის შესრულებისთვის. კერძოდ, კოდექსით, საკრებულო და მისი წევრები უფლებამოსილნი არიან, განახორციელონ ზედამხედველობა შემდეგი ფორმებით:

- მერის წლიური ანგარიშების მოსმენა და განხილვა;[98]
- რიგგარეშე ანგარიშების მოთხოვნა;[99]
- საკრებულოს ბიუროს მიერ თანამდებობის პირების ანგარიშების მოსმენა;[100]
- მერისთვის უნდობლობის გამოცხადება;[101]
- მერიის და მისი სტრუქტურული ერთეულების დებულებებისა და საშტატო ნუსხების დამტკიცება;[102]
- მერის და მერიის თანამდებობის პირების მიმართ (წერილობითი) შეკითხვა;[103]
- საკითხების განხილვისას კითხვით მიმართვა;[104]
- შესყიდვების გეგმის შესაბამისად წინა წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიშის მოსმენა;[105]
- ყოველწლიური ბიუჯეტის დამტკიცება;[106]
- ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა და შეფასება;[107]
- დამოუკიდებელი აუდიტი;[108]
- აღმასრულებელი ორგანოს და თანამდებობის პირების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სასამართლოში გასაჩივრება.[109]

გარდა ამ ჩამონათვალისა, მუნიციპალიტეტების საკრებულოების ნაწილს საკუთარ რეგლამენტებშიც აქვს გაწერილი დამატებითი მექანიზმები, რომლებიც მათ საზედამხედველო ფუნქციის შესრულებაში ეხმარება. წინამდებარე დოკუმენტში მათი გამოყენების შესახებ ინფორმაცია მხოლოდ შესაბამის საკრებულოსთან მიმართებით არის მოცემული. ეს მექანიზმებია:

---

[98] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტი.
[99] იქვე.
[100] იქვე, 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.
[101] იქვე, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ.გ“ ქვეპუნქტი.
[102] იქვე, „გ.ბ“ ქვეპუნქტი.
[103] იქვე, 45-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.
[104] იქვე, 46-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.
[105] იქვე, 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ.ვ“ ქვეპუნქტი.
[106] იქვე, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტი.
[107] იქვე, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტი.
[108] იქვე, 140-ე მუხლი.
[109] იქვე, 62-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

- საკრებულოს/კომისიის სხდომებზე მოწვევა/დაბარება (თბილისი,[110] ბათუმი[111], ქუთაისი,[112] ოზურგეთი,[113] დუშეთი,[114] გორი,[115] რუსთავი[116]);
- მერის მოადგილეებისა და მთავრობის შემადგენლობის დამტკიცება (თბილისი);[117]
- მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსის არჩევა (თბილისი);[118]
- სარევიზიო კომისიის ანგარიშის დამტკიცება (თბილისი[119]);
- დოკუმენტების, დასკვნების და სხვა საჭირო მასალების წარდგენის მოთხოვნა (თბილისი,[120] დუშეთი,[121] თელავი,[122] ოზურგეთი,[123] გორი,[124] ზუგდიდი[125] და რუსთავი[126]);
- ინტერპელაცია (ზუგდიდი,[127] ოზურგეთი[128] ქუთაისი,[129] გორი,[130] რუსთავი,[131] თელავი,[132] დუშეთი).[133]

ქვემოთ მოცემულია ჩამოთვლილი კონტროლის მექანიზმების გამოყენების პრაქტიკა შესწავლილ საკრებულოებში. თავდაპირველად აღწერილია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით გათვალისწინებული ინსტრუმენტებით სარგებლობის ტენდენციები (რაც ყველა საკრებულოზე ვრცელდება), შემდეგ კი - ცალკეული საკრებულოს რეგლამენტის სპეციფიკური მექანიზმების გამოყენების პრაქტიკა შესაბამის წარმომადგენლობით ორგანოში. ამასთანავე, ზოგიერთ შემთხვევაში საიას არ მიუღია ინფორმაცია კონკრეტულ მექანიზმთან დაკავშირებით, ან საკრებულოს სხდომების ოქმები არ შეიცავდა სრულყოფილ მონაცემებს, რის გამოც, ისინი დოკუმენტში მითითებული არ არის.

ა) მერის მიერ საქმიანობის წლიური ანგარიშის წარდგენა

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით, მუნიციპალიტეტის მერი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით, წელიწადში ერთხელ მაინც წარუდგენს ანგარიშს საკრებულოს გაწეული მუშაობის შესახებ.[134]

---

[110] ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 27-ე მუხლი.
[111] ბათუმის საკრებულოს რეგლამენტი, 23-ე მუხლის მე-2 პუნქტი.
[112] ქუთაისის საკრებულოს რეგლამენტი, 112-ე მუხლი.
[113] ოზურგეთის საკრებულოს რეგლამენტის მე-60 მუხლის 1-ლი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი.
[114] დუშეთის საკრებულოს 61-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი.
[115] გორის საკრებულოს რეგლამენტი, მე-60 მუხლის 1-ლი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი.
[116] რუსთავის საკრებულოს რეგლამენტი, მე-60 მუხლის 1-ლი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი.
[117] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, 76-ე მუხლის მე-3 პუნქტი.
[118] იქვე, 78-ე მუხლის მე-2 პუნქტი.
[119] თბილისის საკრებულოს რეგლამენტი, მე-19 მუხლის მე-12 პუნქტი.
[120] იქვე, 26-ე მუხლი.
[121] დუშეთის საკრებულოს რეგლამენტი, 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი.
[122] თელავის საკრებულოს რეგლამენტი, 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი.
[123] ოზურგეთის საკრებულოს რეგლამენტი, 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი.
[124] გორის საკრებულოს რეგლამენტი, 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი.
[125] ზუგდიდის საკრებულოს რეგლამენტი, 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი.
[126] რუსთავის საკრებულოს რეგლამენტი, 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი.
[127] ზუგდიდის საკრებულოს დებულება (რეგლამენტი), 109-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი და 111-ე მუხლი.
[128] ოზურგეთის საკრებულოს რეგლამენტი, 112-ე მუხლი.
[129] ქუთაისის საკრებულოს რეგლამენტი, 112-ე მუხლი.
[130] გორის საკრებულოს რეგლამენტი, 112-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, 114-ე მუხლი.
[131] რუსთავის საკრებულოს რეგლამენტი, 112-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, 114-ე მუხლი.
[132] თელავის საკრებულოს რეგლამენტი, 112-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, 114-ე მუხლი.
[133] დუშეთის საკრებულოს რეგლამენტი, 113-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, 115-ე მუხლი.
[134] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტი.

თბილისის საკრებულოს რეგლამენტი განსაზღვრავს ანგარიშის განხილვის პროცედურულ საკითხებს (გამოსვლის ხანგრძლივობა და სხვა).[135] დედაქალაქის მერმა 2021 წლის 7 დეკემბრის სხდომაზე (რომელიც რიგით მეორე სხდომა იყო 2021 წელს არჩეული საკრებულოსთვის) წარადგინა იმავე წლის საქმიანობის ანგარიშიც.[136] მერის მოხსენებასთან დაკავშირებით კითხვები დასვა ოპოზიციის და უმრავლესობის 13-13-მა წარმომადგენელმა, თუმცა მათგან ნაწილი უფრო პოლიტიკური ხასიათის რეპლიკა იყო. პასუხების დაზუსტების შესაძლებლობით ისარგებლა მხოლოდ ოპოზიციის 5-მა წევრმა. რაც შეეხება შეფასებებს/გამოსვლებს, ეს უფლება გამოიყენა ოპოზიციის 11-მა და უმრავლესობის 12-მა წევრმა. აღსანიშნავია, რომ საკრებულოს რეგლამენტით წლიური ანგარიშის წარდგენის ზუსტი პერიოდულობა დადგენილი არ არის.[137] ამის მიუხედავად, თბილისის ახალარჩეული მერის მიერ ახალი მოწვევის საკრებულოს სხდომაზე მთავრობის დამტკიცებასთან ერთად წინა წლის ანგარიშის წარდგენა სწორ პრაქტიკად ვერ მიიჩნევა.

თბილისის მერმა 2022 წლის ანგარიში იმავე წლის 28 დეკემბრის სხდომაზე წარადგინა.[138] ის 2023 წლის ბიუჯეტთან ერთად განიხილეს დეპუტატებმა და მსჯელობაც ორივე დოკუმენტის ირგვლივ გაიმართა. მთლიანობაში, კითხვა დასვა უმრავლესობის 15-მა და ოპოზიციის 14-მა წარმომადგენელმა. ოპოზიციამ ქალაქში არსებულ პრობლემურ თემებზე ისაუბრა. პასუხები მერმა და მისმა მოადგილეებმა გასცეს, მეტწილად, ამომწურავად, ვინაიდან დაზუსტების უფლებით მხოლოდ 2-მა ოპოზიციონერმა დეპუტატმა ისარგებლა. კითხვა-პასუხის შემდეგ გამოსვლის უფლება გამოიყენა ოპოზიციის 10-მა და მმართველი გუნდის 13-მა წარმომადგენელმა. დისკუსია ეხებოდა როგორც მერის ანგარიშს, ისე გასული წლების მოვლენებს.

ორივე წლის ანგარიშის წარდგენის შინაარსობრივი ანალიზიდან გამოიკვეთა, რომ თბილისის საკრებულოს უმრავლესობის წარმომადგენელთა აქტიურობის მიუხედავად, მათი გამოსვლები ნაკლებად ეხებოდა მერიის საქმიანობის ზედამხედველობას და წინა პლანზე, ძირითადად, ურთიერთბრალდებები იყო წამოწეული.

სხვა მუნიციპალიტეტების ახალარჩეულ მერებს 2021 წლის ანგარიში საკრებულოში არ წარუდგენიათ. თელავის საკრებულოდან მიღებული წერილის თანახმად, ამის მიზეზი იყო ის გარემოება, რომ ახალი მერი უფლებამოსილების განხორციელებას 2021 წლის 10 ნოემბრიდან შეუდგა.[139] დამატებით, ხაზგასასმელია, რომ თელავის მერის 2021 და 2022 წლების ანგარიშები პრეზენტაციის ფორმატით განთავსდა მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.[140] 2022 წლის საქმიანობის შედეგები კი მან დეკემბერში წარადგინა, თუმცა - მხოლოდ გარკვეული წრის წინაშე. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა თქმით, არასათანადო იყო ამ შეხვედრაზე დაინტერესებულ პირთა ჩართულობა, ასევე შეიზღუდა შეკითხვების დასმის შესაძლებლობაც.[141] 28 დეკემბრის სხდომაზე ოპოზიციონერმა დეპუტატმა განაცხადა, რომ მერმა ანგარიში მხოლოდ თავისი გუნდის წევრებს ჩააბარა და ოპოზიცია ამის შესახებ არ იყო ინფორმირებული.[142] აღსანიშნავია, რომ მერიის რეგლამენტში დეტალურადაა გაწერილი მერის მიერ ანგარიშის წარდგენის

[135] თბილისის საკრებულოს რეგლამენტი, 62[1]-ე მუხლი.
[136] თბილისის საკრებულოს 2021 წლის 7 დეკემბრის №2 სხდომის ოქმი.
[137] თბილისის საკრებულოს რეგლამენტი, 62[1]-ე მუხლი.
[138] თბილისის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №19 სხდომის ოქმი.
[139] თელავის საკრებულოს 2022 წლის 20 აპრილის №01-272211010 წერილი.
[140] თელავის მუნიციპალიტეტის ვებგვერდი, მერი და მერია, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3nRX39h, განახლებულია: 31.03.2023.
[141] „თელავის მუნიციპალიტეტის მერმა საზოგადოებას 2022 წლის ანგარიში წარუდგინა“, knews.ge, 2022 წლის 24 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://knews.ge/?p=79902, განახლებულია: 31.03.2023.
[142] თელავის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №15 სხდომის ოქმი.

წესი და პროცედურა,[143] რომლებიც აღმასრულებელი ორგანოს მხრიდან ამ შემთხვევაში დაცული არ იყო.

რუსთავის მერს 2021 წლის საქმიანობის ანგარიში საკრებულოში არ წარუდგენია, თუმცა 4-წლიანი ანგარიში წინა მერმა 2021 წლის ნოემბერში (ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ) საზოგადოებას გააცნო.[144] რაც შეეხება მომდევნო წელს, ახალარჩეულმა მერმა 2022 წლის ანგარიში თავდაპირველად მრჩეველთა საბჭოს წარუდგინა 2022 წლის 5 ნოემბერს,[145] მოგვიანებით კი - არასამთავრობო სექტორს და საზოგადოების სხვა წარმომადგენლებს. დოკუმენტი ასევე განთავსდა რუსთავის მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე.[146] თუმცა, მერს საკრებულოსთვის არც ეს ანგარიში წარუდგენია.

ზუგდიდის საკრებულოს 2022 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის ანგარიში არ მოუსმენია. რაც შეეხება 2022 წლის ანგარიშს, მისი წარდგენა ამავე წლის 26 დეკემბერს ჩანიშნულ სხდომაზე იგეგმებოდა, მაგრამ, კვორუმის უქონლობის გამო, სხდომა გადაიდო[147] და ის საანგარიშო პერიოდში აღარ გამართულა. თუმცა, მანამდე ორი თვით ადრე მერმა 1-წლიანი საქმიანობის ანგარიში საზოგადოებას გააცნო.[148]

გორის არც წინა[149] და არც მოქმედ მერს 2021 წლის საქმიანობის ანგარიში არ წარუდგენია საკრებულოსთვის. რაც შეეხება 2022 წლის ანგარიშს, ის მერმა არა საკრებულოს, არამედ საზოგადოების გარკვეულ ჯგუფს გააცნო.[150] შეხვედრას რამდენიმე ოპოზიციონერი დეპუტატი და მედიასაშუალებები ესწრებოდნენ. მერის გამოსვლას დამსწრე საზოგადოების მხრიდან რაიმე კრიტიკა არ მოჰყოლია.[151]

ქუთაისის მერმა 2022 წლის ანგარიში 2023 წლის თებერვალში წარადგინა, თუმცა არა საკრებულოში,[152] არამედ, გორის მსგავსად, გარე სივრცეში.[153] ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში გამართულ შეხვედრას ესწრებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საზოგადოების წარმომადგენლები.[154]

---

[143] თელავის საკრებულოს რეგლამენტი, 133-ე მუხლი.

[144] „რუსთავის მოქმედმა მერმა 4 წლის ანგარიში წარადგინა და ნინო ლაცაბიძეს ქალაქის სიმბოლური გასაღები გადასცა“, მედიაჰოლდინგი „კვირა“, 2021 წლის 13 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: http://kvira.ge/705370, განახლებულია: 31.03.2023.

[145] „რუსთავის მერმა ნინო ლაცაბიძემ 2022 წლის ანგარიში წარადგინა“, bpn, 2022 წლის 5 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3JyVtla, განახლებულია: 12.03.2023.

[146] რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდი, მერის ანგარიში, ხელმისაწვდომია: https://rustavi.gov.ge/meris-angarishi/, განახლებულია: 12.03.2023.

[147] „ზუგდიდის საკრებულოს სხდომაზე მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშის მოსმენა კვორუმის არარსებობის გამო გადაიდო“, პირველი არხი, 2022 წლის 26 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3JYlZmV, განახლებულია: 31.03.2023.

[148] „ზუგდიდის მერმა გაწეული საქმიანობის ერთწლიანი ანგარიში წარადგინა“, ინტერპრესნიუსი, 2022 წლის 31 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3K6o0O8, განახლებულია: 31.03.2023.

[149] „გორის მუნიციპალიტეტის მერმა 4-წლიანი ანგარიში წარადგინა - მოსახლეობის და ოპოზიციის შეფასებები“, tv მონიტორინგი, 2021 წლის 29 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3T9nsLo, განახლებულია: 31.03.2023.

[150] „ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა ერთწლიანი საქმიანობა შეაჯამა“, prof news, 2022 წლის 11 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3G73N9y, განახლებულია: 31.03.2023.

[151] „ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა ერთწლიანი ანგარიში წარადგინა“, tv მონიტორინგი, 2022 წლის 9 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://tvmonitoringi.ge/open_video/851, განახლებულია: 31.03.2023.

[152] ქუთაისის საკრებულოს 2023 წლის 7 მარტის №45-45230663 წერილი.

[153] „ანგარიში ერთი წლის დაგვიანებით - ქუთაისის მერმა 2022 წელი შეაჯამა“, ქუთაისიპოსტი, 2023 წლის 28 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3G7nT3w, განახლებულია: 31.03.2023.

[154] ქუთაისის მერიის Facebook-გვერდი, 2022 წლის 27 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3lYStpi, განახლებულია: 31.03.2023.

დუშეთის,[155] ოზურგეთისა[156] და ბათუმის[157] მერებს არც 2021 და არც 2022 წლის ანგარიშები არ წარუდგენიათ საკრებულოსთვის. საანგარიშო პერიოდში არც დუშეთის მერი წარმდგარა საკრებულოს წინაშე 2021 წლის საქმიანობის ანგარიშით.

უარყოფითად უნდა შეფასდეს მუნიციპალიტეტების მერების მიერ საკრებულოსთვის ყოველწლიური ანგარიშის წარდგენის, როგორც კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულების, შეუსრულებლობა. ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ საკრებულოს მიღმა, საზოგადოებისთვის ანგარიშის გაცნობა მისასალმებელი ნაბიჯია, ეს პრაქტიკა არ უნდა უგულებელყოფდეს ამ დოკუმენტის განხილვის, კითხვა-პასუხისა და მის ირგვლივ მსჯელობის შესაძლებლობას (რაც საკრებულოს სხდომაზე იქნებოდა მიღწეული). ამგვარი საჯარო შეხვედრების შემდეგ, უმეტესად, არ დგება შესაბამისი ოქმი. შედეგად კი, საზოგადოებას არ ეძლევა საშუალება, გაეცნოს განხილვის მიმდინარეობას და მის ტენდენციებს. ამდენად, ეს მეთოდი საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებულების კომპონენტს ვერ ჩაანაცვლებს, თუმცა ის შეიძლება დამატებით ინსტრუმენტად იყოს გამოყენებული.

ბ) საკრებულოს მერის და მერიის სხვა თანამდებობის პირებისთვის რიგგარეშე ანგარიშის წარდგენის მოთხოვნა

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით, მუნიციპალიტეტის მერი, საკრებულოს წევრთა არანაკლებ ერთი მეოთხედის მოთხოვნით, საკრებულოს წარუდგენს რიგგარეშე ანგარიშს.[158] როგორც მიღებული ინფორმაციებიდან ირკვევა, არცერთ საკრებულოს მერის და მერიის სხვა თანამდებობის პირებისთვის რიგგარეშე ანგარიშის წარდგენის მოთხოვნით არ მიუმართავს.

გ) საკრებულოს ბიუროს მიერ თანამდებობის პირთა ანგარიშების მოსმენა

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურო ისმენს მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირთა ანგარიშებს.[159] ეს ქვეთავი შეეხება მხოლოდ ამ უკანასკნელთა ანგარიშების მოსმენას.

თბილისის საკრებულოდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, საანგარიშო პერიოდში ბიუროს სხდომაზე თანამდებობის პირთა ანგარიშების მოსმენის აუცილებლობა არ დამდგარა.[160] დედაქალაქის წარმომადგენლობითმა ორგანომ ეს იმით ახსნა, რომ საკრებულოს კომისიები და ფრაქციები მუდმივ რეჟიმში ისმენენ თანამდებობის პირთა ანგარიშებს, რა დროსაც საკრებულოს ნებისმიერ წევრს აქვს მონაწილეობის და შეკითხვების დასმის შესაძლებლობა.[161]

რაც შეეხება სხვა საკრებულოებს, 2022 წლის 30 მარტს ქუთაისის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე მოისმინეს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში,[162] რომელიც მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის

[155] დუშეთის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №01-133223623 წერილი.
[156] ოზურგეთის საკრებულოს 2022 წლის 12 ოქტომბრის №37-37222853 წერილი.
[157] ბათუმის საკრებულოს 2023 წლის 26 აპრილის №15-15231168 წერილი.
[158] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტი.
[159] იქვე, 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.
[160] თბილისის საკრებულოს 2023 წლის 26 იანვრის №03-032302638 პასუხი.
[161] იქვე.
[162] ქუთაისის საკრებულოს 2022 წლის 28 აპრილის №45-45221184 წერილი,

ხელმძღვანელმა წარმოადგინა. ბიურომ დოკუმენტი დამაკმაყოფილებლად შეაფასა.[163] გარდა ამისა, ამავე მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში საკრებულოს ბიუროს სხდომაზე ამავე სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ 2022 წლის 25 მაისს წარადგინა.[164]

დანარჩენ საკრებულოებში მერიის თანამდებობის პირთა ანგარიშები ბიუროს არ მოუსმენია.

მიუხედავად იმისა, რომ საკრებულოს ბიუროს მიერ თანამდებობის პირთა ანგარიშების მოსმენა დამოუკიდებელი, ფორმალური პროცედურაა, უმჯობესია, ეს უფლებამოსილება თვითმმართველობის კოდექსით ოფიციალურად გადაეცეს საკრებულოს, ვინაიდან ბიურო არის ორგანიზაციული ფუნქციებით აღჭურვილი ორგანო და ასეთ შინაარსობრივ საკითხებს ის არ უნდა განიხილავდეს. მსგავს შეთავაზებას შეიცავდა მოსაზრებები, რომლებიც საიამ პარლამენტს თვითმმართველობის კოდექსში ცვლილებების თაობაზე წარუდგინა.[165]

დ) მერისთვის უნდობლობის გამოცხადება

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით, საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება მერისთვის უნდობლობის გამოცხადება.[166] ამ პროცედურის დაწყების საფუძველია საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტის წერილობითი ინიციატივა.[167] მერისთვის უნდობლობა გამოცხადებულად მიიჩნევა, თუ მას მხარს დაუჭერს საკრებულოს სიითი შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი. ეს კი იწვევს მერის უფლებამოსილების შეწყვეტას.[168]

საანგარიშო პერიოდში არცერთ განსახილველ საკრებულოში მერისთვის უნდობლობის გამოცხადების საკითხი დღის წესრიგში არ დამდგარა.

ე) მერიისა და გამგეობის საშტატო ნუსხების დამტკიცება

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით, საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება მერიისა და მისი სტრუქტურული ერთეულების დებულებების, ასევე საშტატო ნუსხების დამტკიცება.[169] ეს აქტები საკრებულოს სხდომაზე განიხილება და ამ ორგანოს ნორმატიული აქტით მტკიცდება.

თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და გამგეობების საშტატო ნუსხები 2021 წლის 29 დეკემბრის სხდომაზე დამტკიცდა.[170] ხელფასების ზრდის თაობაზე კრიტიკული მოსაზრებები გამოთქვა 9 ოპოზიციონერმა დეპუტატმა. უმრავლესობის წარმომადგენლებმა კი ინიციირებულ პროექტს და მომხსენებელს მხარი დაუჭირეს.[171]

---

[163] ქუთაისის საკრებულოს ბიუროს 2022 წლის 30 მარტის №4 სხდომის ოქმი.
[164] ქუთაისის საკრებულოს ბიუროს 2022 წლის 25 მაისის №9 სხდომის ოქმი.
[165] „საია უარყოფითად აფასებს მუნიციპალური ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში პასუხისმგებლობის მხოლოდ საკრებულოზე გადატანის ინიციატივას“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, 2022 წლის 14 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3yyzl46, განახლებულია: 12.03.2023.
[166] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ.გ“ ქვეპუნქტი.
[167] იქვე, 51-ე მუხლი 1-ლი პუნქტი.
[168] იქვე, მე-10 პუნქტი.
[169] იქვე. 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტი.
[170] თბილისის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №5 სხდომის ოქმი.
[171] იქვე.

ბათუმის მერიის საშტატო ნუსხაში საკრებულომ ცვლილებები 2022 წლის ოქტომბერსა და დეკემბერში შეიტანა.[172] საკითხი 31 ოქტომბრის სხდომაზე მერიის საფინანსო სამსახურის უფროსმა წარმოადგინა. პროექტს ოპოზიციამ მხარი არ დაუჭირა, ვინაიდან, მათი აზრით, არ იყო დაცული მოხელეების რანგების მიხედვით ხელფასის მომატების პრინციპი.[173] დეკემბერში განხორციელებულ ცვლილებაზე კი დეპუტატთა შეკითხვები არ ფიქსირდება.[174]

ოზურგეთის საკრებულოს 2022 წლის 23 მარტის სხდომაზე ერთ-ერთი განსახილველი საკითხი იყო მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრა და საშტატო ნუსხის დამტკიცება.[175] საკითხის განხილვას საკრებულოში მწვავე დაპირისპირება მოჰყვა. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სიღარიბის ფონზე მერიის თანამდებობის პირებისთვის ხელფასის ამგვარი გაზრდა არასწორია. ამ პარტიის სხვა წევრები ასევე აღნიშნავდნენ, რომ ხელფასების გაზრდა არამიზნობრივი ხარჯი იყო. „ქართული ოცნების“ მხრიდან დოკუმენტს სრული მხარდაჭერა ჰქონდა.[176]

რუსთავის წარმომადგენლობით ორგანოში 2022 წლისთვის მერიის ახალი საშტატო ნუსხის განსაზღვრის თაობაზე 2021 წლის ნოემბერში იმსჯელეს, ჯერ კიდევ წინა მოწვევის საკრებულოს სხდომაზე.[177] ამ აქტში ცვლილებების საკითხი 2022 წლის ბოლოსაც დადგა. დოკუმენტს მხარი 35-ვე დეპუტატმა დაუჭირა.[178]

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები საკრებულომ 2021 წლის 21 დეკემბრის სხდომაზე განიხილა.[179] სხდომის ოქმი არ შეიცავს ინფორმაციას საკითხის გარშემო მსჯელობის შინაარსის შესახებ (მხოლოდ მითითებულია, რომ აზრი გამოთქვა 3-მა დეპუტატმა). დადგენილება საკრებულომ ერთხმად მიიღო.[180]

ზუგდიდის საკრებულომ 2022 წლის 3 ივნისის რიგგარეშე სხდომაზე განიხილა ზუგდიდის მერიის საშტატო ნუსხაში ცვლილებების საკითხი,[181] რომელიც ეხებოდა მუნიციპალიტეტის მერიისთვის საშტატო ერთეულის დამატებას. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრები აღნიშნავდნენ, რომ მერიაში არსებული შტატებიდან გამომდინარე, საჭირო არ იყო კიდევ ახალი შტატის დამატება. საბოლოოდ, ცვლილებას მხარი დაუჭირა 34-მა დეპუტატმა, ხოლო 8 (ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) წინააღმდეგი იყო.[182] 1-ელ ივლისს დაამტკიცეს მერიის დებულება, რომელზეც დეპუტატებს შენიშვნები ან შეკითხვები არ ჰქონიათ.[183]

---

[172] 2018 წელს მიღებულ დოკუმენტში არსებითი ცვლილებები ჯერ კიდევ წინა მოწვევის საკრებულომ, 2021 წლის ნოემბრის ბოლოს შეიტანა. შესაბამისად, ეს საკითხი მომდევნო წლის ბოლომდე აღარ დამდგარა დღის წესრიგში.

[173] ბათუმის საკრებულოს 2022 წლის 31 ოქტომბრის №6 სხდომის ოქმი.

[174] ბათუმის საკრებულოს 2022 წლის 16 დეკემბრის №8 სხდომის ოქმი.

[175] ოზურგეთის საკრებულოს 2022 წლის 23 მარტის №5 სხდომის ოქმი.

[176] ოზურგეთის საკრებულოს 23 მარტის №5 სხდომის ოქმი.

[177] იხ. რუსთავის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის №252 დადგენილება „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების, პროფესიული საჯარო მოხელეების და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 1-ლი თებერვლის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/40O59Ow, განახლებულია: 31.03.2023.

[178] რუსთავის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის №17 სხდომის ოქმი.

[179] დუშეთის საკრებულოს 2021 წლის 21 დეკემბრის №2 სხდომის ოქმი.

[180] იქვე.

[181] ზუგდიდის საკრებულოს 2022 წლის 3 ივნისის №6 სხდომის ოქმი.

[182] იქვე.

[183] ზუგდიდის საკრებულოს 2022 წლის 1-ლი ივლისის №9 სხდომის ოქმი.

თელავის საკრებულომ მერიის საშტატო ნუსხაში ცვლილებები 2021 წლის 29 დეკემბერს და 2022 წლის 28 დეკემბერს შეიტანა. საკითხს დეპუტატთა სრული მხარდაჭერა ჰქონდა.[184] აღსანიშნავია, რომ ამ საკრებულომ მერიის ახალი საშტატო ნუსხა 2023 წლის იანვარში დაამტკიცა.[185]

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხაში ცვლილებები საკრებულომ 2022 წლის 31 აგვისტოს და 28 დეკემბერს შეიტანა. გარდა ამისა, იმავე წლის 25 მაისის სხდომაზე დეპუტატებმა განიხილეს მერიისა და მისი სტრუქტურული ერთეულების დებულებები, რომლებიც მერმა წარადგინა.[186] აღსანიშნავია, რომ საიამ ქუთაისის საკრებულოდან მიიღო ოქმების ამონაწერები, რომლებიც მხოლოდ დღის წესრიგების დამტკიცების პროცედურას აღწერდა. შესაბამისად, ამ და სხვა საკითხებზე მსჯელობის თაობაზე ორგანიზაციას ინფორმაცია არ აქვს.

გორის საკრებულომ მერიის საშტატო ნუსხა 2021 წლის 24 დეკემბრის სხდომაზე დაამტკიცა. ის საკრებულოს თავმჯდომარემ წარადგინა. საკითხს დებატები არ მოჰყოლია, რადგან ოპოზიციონერი დეპუტატები დარბაზში აღარ იმყოფებოდნენ, ხოლო სხდომის ოქმიდან „ქართულ ოცნების“ დეპუტატების მიერ დასმული შეკითხვები არ იკვეთება. კენჭისყრისას წინააღმდეგი მხოლოდ 3 დეპუტატი იყო.[187] ამ სამართლებრივ აქტში ცვლილებები 2022 წლის აგვისტოში შეიტანეს. საკითხი ისევ საკრებულოს თავმჯდომარემ წარადგინა, შეკითხვებს კი სხდომაზე დამსწრე მერიის წარმომადგენელმა უპასუხა. ფრაქციის „გორი საქართველოსთვის“ წევრმა პროტესტი გამოთქვა იმის გამო, რომ არ მიეცა საშუალება, დაწვრილებით გასცნობოდა შემოთავაზებულ ცვლილებებს. საკითხის განხილვას სხდომაზე მწვავე დაპირისპირება მოჰყვა, თუმცა, საბოლოოდ, დადგენილების დამტკიცება მაინც მოხერხდა.[188]

3) მერის და მერიის თანამდებობის პირების მიმართ წერილობითი შეკითხვა

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით, საკრებულოს წევრი უფლებამოსილია, კითხვით მიმართოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, მუნიციპალიტეტის მერს, სხვა თანამდებობის პირს და მიიღოს პასუხი. შესაბამისი ორგანო და თანამდებობის პირი ვალდებულნი არიან, ერთი კვირის ვადაში უპასუხონ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის შეკითხვას. კითხვის ავტორთან შეთანხმებით, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 10 დღით.[189] ზედამხედველობის ეს მექანიზმი მხოლოდ 4 საკრებულოში გამოიყენეს. კერძოდ:

თბილისის საკრებულოდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, საკრებულოს წევრები მერიის თანამდებობის პირთა მიმართ შეკითხვების დასმის კანონმდებლობით განსაზღვრულ უფლებას იყენებენ საკრებულოს სხდომებსა და კომისიებზე (მათ შორის, სამუშაო შეხვედრების დროს) საკითხების განხილვისას. როგორც საკრებულოს წერილშია მითითებული, იმის გათვალისწინებით, რომ ეს არის მუდმივი პროცესი და დაკავშირებულია სხდომაზე წარდგენილ პროექტებთან, იგი იძლევა ამ შეკითხვებზე პასუხების დეტალურად მოსმენის შესაძლებლობას. შესაბამისად, საკრებულოს წევრები, უმეტესად,

[184] თელავის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №15 სხდომის ოქმი.
[185] იხ. თელავის საკრებულოს 2023 წლის 26 იანვრის №3 დადგენილება „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“, საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Kk4XzW, განახლებულია: 31.03.2023.
[186] ქუთაისის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის №7 სხდომის ოქმი.
[187] გორის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის №22 სხდომის ოქმი.
[188] გორის საკრებულოს 2022 წლის 2 აგვისტოს №10 სხდომის ოქმი.
[189] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, 45-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

სარგებლობენ შეკითხვების არა წერილობით, არამედ ვერბალური ფორმით დასმის შესაძლებლობით მერიის თანამდებობის პირთა/საკითხის მომხსენებელთა მიმართ.[190]

როგორც თბილისის საკრებულოდან მიღებული ინფორმაციიდან ირკვევა, 2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში თბილისის საკრებულოს წევრების მიერ, შეკითხვის სახით ან ინფორმაციის მოთხოვნის მიზნით, მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სამსახურში სულ 156 წერილი გაიგზავნა.[191] მიუხედავად იმისა, რომ საია ითხოვდა საკრებულოს შესაბამისი სუბიექტების მიერ მერიაში გაგზავნილ წერილობით შეკითხვებს, წარმომადგენლობითი ორგანო ზოგადი პასუხით შემოიფარგლა - მან მიუთითა მხოლოდ გაგზავნილი შეკითხვების რაოდენობაზე და თავი აარიდა დაკონკრეტებას, რომელი თანამდებობის პირების მიმართ რა სახის შეკითხვები გაიგზავნა და რა პასუხები მიიღო საკრებულომ. აღსანიშნავია, რომ ფრაქციამ „თბილისი საქართველოსთვის“ ორგანიზაციას ცალკე გამოუგზავნა პასუხი, რომლის მიხედვითაც, მათ მერიაში 2022 წლის 2 და 15 თებერვალს გააგზავნეს წერილები სხვადასხვა ინფორმაციის მოთხოვნით. კერძოდ, ისინი ეხებოდა: მიკროავტობუსების შესყიდვის დოკუმენტებს; ინტეგრირებული სამგზავრო ბარათებიდან შპს „თბილისის მიკროავტობუსთან“ გადასარიცხი თანხის დაანგარიშების წესს; ასევე ინფორმაციას მოსახლეობის მიერ შეძენილი საზოგადოებრივი ტრანსპორტის აბონემენტების ჯამური რაოდენობის შესახებ. ფრაქციის განმარტებით, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას არ მიუწოდებია მოთხოვნილი მასალები. მათივე თქმით, რეაგირება ხდება მხოლოდ იმ წერილებზე, რომლებიც ეხება მოქალაქეების დაფინანსებას სხვადასხვა მედიკამენტის შესაძენად.[192]

თბილისის საკრებულოს პასუხებისგან განსხვავებით, დეპუტატებმა არაერთხელ მიუთითეს მერიისგან პასუხების მიუღებლობასა ან დაგვიანებაზე. კერძოდ, 2022 წლის 15 თებერვლის სხდომაზე ოპოზიციონერმა დეპუტატმა აღნიშნა, რომ მერია და მისი სსიპ-ები დეპუტატების შეკითხვებს აიგნორებენ, რაც კანონმდებლობის დარღვევაა.[193] 10 ივნისის სხდომის მიმდინარეობისას ასევე ოპოზიციის წევრმა განაცხადა, რომ მერია არ პასუხობს მის შეკითხვებს და არ უგზავნის დოკუმენტებს.[194] 16 ივლისის სხდომაზე ერთ-ერთ ქვეპროგრამაში ცვლილების წარმოდგენისას ოპოზიციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მერიის შესაბამის სამსახურში გაგზავნილ შეკითხვაზე პასუხი მხოლოდ მას შემდეგ მიიღო, რაც პირადად სამსახურის უფროსს დაუკავშირდა. გარდა ამისა, მან გამოთქვა წუხილი, რომ ეს პასუხი არ იყო სრულყოფილი.[195] მერიიდან არასრულყოფილი პასუხის მიღების შემთხვევებზე მიუთითა ერთ-ერთმა დეპუტატმა 9 აგვისტოს სხდომაზეც.[196] ასევე უპასუხო წერილების თაობაზე ისაუბრა ოპოზიციის წარმომადგენელმა 28 დეკემბრის სხდომაზე და აღნიშნა, რომ საკრებულოდან გაგზავნილი 161 წერილიდან 70-ს მერიამ არ უპასუხა.[197]

---

[190] თბილისის საკრებულოს 2023 წლის 26 იანვრის №03-032302638 პასუხი.

[191] თბილისის საკრებულოს პასუხები: 2022 წლის 28 აპრილის №03-032211861, 2 აგვისტოს №03-032221410, 19 ოქტომბრის №03-032229211, 2023 წლის 26 იანვრის №03-032302638 წერილები.

[192] ამ ფრაქციამ შესაბამისი ინფორმაცია საიას მეილით მიაწოდა.

[193] საბა ბუაძე (ლელო), თბილისის საკრებულოს 2022 წლის 15 თებერვლის №7 სხდომის ოქმი.

[194] ლილე ლიპარტელიანმა („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) მერიას შენიშვნის სახით მიმართა, რომ უპასუხოს მათ შეკითხვას მერიის ბალანსზე რიცხული ავტომობილების თაობაზე და შესაბამისი სია გამოუგზავნოს. იხ. თბილისის საკრებულოს 2022 წლის 10 ივნისის №11 სხდომის ოქმი.

[195] ნინო კვიტაიშვილი („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“), იხ. თბილისის საკრებულოს 2022 წლის 16 ივლისის №12 სხდომის ოქმი.

[196] ლილე ლიპარტელიანი („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“), იხ. თბილისის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს №13 სხდომის ოქმი.

[197] საბა ბუაძე (ლელო), თბილისის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №19 სხდომის ოქმი.

საია უარყოფითად აფასებს, ერთი მხრივ, მერიაში გაგზავნილი წერილების თაობაზე თბილისის საკრებულოს მიერ საიასთვის არასრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებას, მეორე მხრივ კი - ოპოზიციონერი დეპუტატების შეკითხვებზე მერიის მიერ პასუხების გაუცემლობას/დაგვიანებას.

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირების მიმართ შეკითხვის დასმის შესაძლებლობა გამოიყენა საკრებულოს 3-მა წევრმა (აქედან ორი „ქართული ოცნების“ დეპუტატია, 1 - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“).[198] თბილისის მსგავსად, არც ქუთაისის საკრებულოს წერილიდან ირკვევა შეკითხვების შინაარსი და მათზე რეაგირება.

მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოში წერილობითი შეკითხვების გაგზავნის პრაქტიკა გორის საკრებულოშიც გამოიკვეთა. ამჯერად საიამ მიიღო ინფორმაცია გაგზავნილი წერილების და პასუხების შინაარსთან დაკავშირებით. კერძოდ, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილემ 2022 წლის 8 ივნისს გორის მერიას 4 წერილით მიმართა და მოითხოვა: ინფორმაცია მერიის დაქვემდებარებაში მყოფ ა(ა)იპ-ებში დასაქმებულ თანამშრომელთა (როგორც ძირითად შტატში, ასევე ხელშეკრულებით დასაქმებულები) შესახებ; მერის, მერის პირველი მოადგილის, მერის მოადგილის, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა ბრძანებების ასლები, მათ შორის, დოკუმენტები მივლინებების, შვებულებების, ადმინისტრაციული დავისა და მერის კომპეტენციას მიკუთვნებული ნებისმიერი სხვა საკითხის თაობაზე; სსიპ-ების მიერ გორის მერიის ანგარიშ(ებ)ზე განხორციელებული და მუნიციპალური ბიუჯეტის საფუძველზე შესრულებული გადარიცხვების სრული ჩამონათვალი (საფუძვლების მითითებით).[199]

20 ივნისს გორის მუნიციპალიტეტის მერის პასუხით დეპუტატს განემარტა, რომ მის წერილებში კითხვა არ იყო დასმული, არამედ მოთხოვნილი იყო დოკუმენტაცია, რაც არ შეესაბამებოდა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსს. გარდა ამისა, მერის პასუხის მიხედვით, დეპუტატის წერილებში არ იყო მითითებული, რომელი ინფორმაცია საკრებულოს წევრის რომელი კონკრეტული უფლებამოსილების განსახორციელებლად ესაჭიროებოდა, ასევე არ იყო დასაბუთებული კონკრეტული ინფორმაციის შესაბამისი უფლებამოსილების განსახორციელებლად მიღების აუცილებლობა.[200] აქედან გამომდინარე, მერიამ მას მოთხოვნილი ინფორმაცია არ მიაწოდა.

ამის პასუხად, 2022 წლის 30 ივნისს ფრაქციამ განმეორებით მიმართა გორის მერს და განუმარტა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ თანახმად, საკრებულოს წევრს უფლება აქვს, კითხვით მიმართოს აღმასრულებელ ორგანოს და მიიღოს მისთვის საინტერესო ნებისმიერი ინფორმაცია, ხოლო მერიის მხრიდან პასუხის გაცემაზე უარის თქმა არის კანონის უხეში დარღვევა. ფრაქციამ ასევე მიუთითა, რომ მერია ვალდებულია, საკრებულოს ინფორმაცია მიაწოდოს იმის მიუხედავად, დეპუტატის წერილი შეკითხვის ფორმით არის თუ არა ჩამოყალიბებული.[201] არცერთ ზემოაღნიშნულ წერილზე საკრებულოს წევრს ინფორმაცია არ მიუღია.

გორის მერიის ქმედება კანონთან შეუსაბამოა. კანონმდებლობის მიხედვით, მუნიციპალიტეტის ორგანო და თანამდებობის პირი ვალდებულნი არიან, ერთი კვირის ვადაში უპასუხონ საკრებულოს წევრის შეკითხვას. გარდა ამისა, მათი ამგვარი მიდგომა არის ცუდი პრაქტიკა ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე ზედამხედველობის და საკრებულოს მიმართ ანგარიშვალდებულების კუთხით.

---

[198] ქუთაისის საკრებულოს 2023 წლის 7 მარტის №45-45230663 წერილი.

[199] გორის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ 2022 წლის 8 ივნისის №21-21221591, №21-21221592, №21-21221593, №21-21221594 წერილები.

[200] გორის მერის 2022 წლის 20 ივნისის №20-2022171264 წერილი.

[201] გორის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ 2022 წლის 30 ივნისის №21-21221811, №21-21221812, №21-21221813, №21-21221814 და №21-21221815 წერილები.

რუსთავის საკრებულოს 2022 წლის 11 ოქტომბრის სხდომაზე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა მიუთითა მერიასთან არაჯეროვან თანამშრომლობაზე და ახსენა 13 სექტემბერს ამ ორგანოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სახელზე გაგზავნილი წერილი, რომლითაც ითხოვდა ინფორმაციას მერიის პიარის მიზნით პრესსამსახურისთვის გამოყოფილი ხარჯების შესახებ.[202] საკრებულოს დეპუტატს პასუხი ვადების დარღვევით ეცნობა.[203]

სხვა მუნიციპალიტეტების საკრებულოების წევრებს საანგარიშო პერიოდში მერიის თანამდებობის პირის მიმართ წერილობითი შეკითხვის დასმის შესაძლებლობით არ უსარგებლიათ. მსგავსი პრაქტიკა მიუთითებს ამ საზედამხედველო მექანიზმისა და, ზოგადად, მაკონტროლებელი ფუნქციის სისუსტეზე საკრებულოში. **მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს წევრები კონტროლის მექანიზმებს აქტიურად იყენებდნენ.**

ზ) მერიის მიერ წარმოდგენილი საკითხების განხილვისას კითხვით მიმართვა და განცხადებების პროცედურა

სხვა საზედამხედველო მექანიზმების გამოყენების შესწავლის პარალელურად, მნიშვნელოვანია საკრებულოს სხდომაზე განსახილველ საკითხებზე კითხვების დასმისა და პასუხების გაცემის პრაქტიკაზე დაკვირვებაც, ვინაიდან საკრებულოში წარმოდგენილი სამართლებრივი აქტების პროექტების 90%-ზე მეტი მერიის მიერ არის ინიციირებული. საკითხებზე მსჯელობის ინტენსივობა განსაკუთრებით წარმოაჩენს საკრებულოს მხრიდან მერიის საქმიანობაზე კონტროლის ხარისხს. საკრებულოს ღია სხდომების გათვალისწინებით, კონტროლის ამ მექანიზმის გამოყენება თვალსაჩინოა საზოგადოებისთვის და მეტი სტიმულია აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის, რომ სათანადო არგუმენტებით წარდგეს მათ წინაშე. ეს ასევე აჩვენებს მერიის ანგარიშვალდებულების ხარისხსაც. ამ ქვეთავში მოცემულია ინფორმაცია კითხვების დასმის თაობაზე იმ საკრებულოებიდან, რომელთა ოქმებშიც სათანადოდ იყო ასახული კონკრეტული საკითხის მიმართ დეპუტატების აქტიურობა. სხვა შემთხვევებში მითითებულია ზოგადი ტენდენციის შესახებ, რომელიც საიას მონიტორინგის (სხდომებზე დასწრება) შედეგად გამოვლინდა.

თბილისის საკრებულოს სხდომებზე დაკვირვებით და ოქმების ანალიზით გამოიკვეთა, რომ განსახილველ დარგობრივ საკითხებზე კითხვების დასმისა და განცხადებების მხრივ, მთლიანობაში, ოპოზიცია ლიდერობდა (გარდა 2022 წლის 6 მაისის სხდომისა, რომელსაც „ნაციონალური მოძრაობა“ არ ესწრებოდა.[204] ამან გავლენა მოახდინა საკრებულოს წევრთა ჩართულობის ხარისხზე). 2021 წლის დეკემბერში და 2022 წელს გამართულ 20 სხდომაზე განხილულ საკითხებთან დაკავშირებით დეპუტატთა აქტიურობა განსხვავებული იყო (მაგალითად, 2021 წლის 27 დეკემბრის სხდომაზე განსახილველი 41 საკითხიდან მხოლოდ 3-ზე დაისვა კითხვა,[205] 2022 წლის 25 იანვრის სხდომაზე კი კითხვები და კრიტიკული მოსაზრებები მხოლოდ ოპოზიციის 2-მა წევრმა გამოთქვა[206]). ოპოზიცია ზოგჯერ ნეგატიურად აფასებდა იმ ფაქტს, რომ წარმოდგენილი საკითხი სათანადოდ არ იყო დასაბუთებული. მაგალითად, 2021 წლის 21 დეკემბრის სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხებიდან ადგილობრივი გადასახადის შემოღების წესში ცვლილება გააკრიტიკა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელმა, ვინაიდან პროექტს არ ახლდა ფინანსური დასაბუთება (კერძოდ, რომელი სპორტული ობი-

[202] რუსთავის საკრებულოს 2022 წლის 11 ოქტომბრის №13 სხდომის ოქმი.
[203] იქვე.
[204] თბილისის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის №10 სხდომის ოქმი.
[205] თბილისის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის №4 სხდომის ოქმი.
[206] თბილისის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის №6 სხდომის ოქმი.

ექტები ისარგებლებდნენ ქონებაზე გადასახადის შეღავათით და რა გავლენა ექნებოდა ამ ცვლილებას ბიუჯეტზე).[207] გარდა ამისა, დეპუტატები ნაკლებად აქტიურობდნენ განკარგულებების (ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები) პროექტებთან მიმართებით, რომლებიც დღის წესრიგის, დაახლოებით, 85%-ს შეადგენდა.

ზედამხედველობის კუთხით საყურადღებოა თბილისის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის სხდომა, სადაც სამშენებლო საკითხებთან დაკავშირებულ ინიციატივებზე კრიტიკული პოზიცია გამოხატეს ოპოზიციონერმა დეპუტატებმა. მათი მოსაზრებით, ამ მიმართულებით უპირატესობა მმართველი პარტიის შემომწირველ ბიზნესმენებს ენიჭებათ, შედეგად კი, ისინი უფრო მეტ სარგებელს იღებენ, ვიდრე დაზარალებული მოსახლეობა და მუნიციპალიტეტი.[208] ამ ბრალდებაზე მერიისა ან „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს რაიმე არგუმენტირებული პასუხი არ გაუციათ.[209]

თბილისის საკრებულოს სხდომაზე „ქართული ოცნების“ დეპუტატებმა სულ რამდენჯერმე გამოთქვეს საკითხის უკეთ შესწავლის სურვილი. მაგალითად, 6 მაისს განცხადებების პროცედურის დროს ერთ-ერთმა მაჟორიტარმა დეპუტატმა მოითხოვა კომპანია „თელასის“ წარმომადგენლებთან კომისიის ფორმატში შეხვედრა მოქალაქეთა წუხილებზე მათი რეაგირების ზომების გასარკვევად (რა ვალდებულებები გააჩნია ამ კომპანიას და რა - არა). ასევე, ფრაქციის თავმჯდომარე გამოვიდა ინიციატივით, უკეთ შეესწავლათ სატრანსპორტო საკითხებთან დაკავშირებული პრობლემები.[210] გარდა ამისა, 9 სექტემბრის სხდომაზე „ქართული ოცნების“ წარმომადგენელმა გააკრიტიკა კომპანია GWP და მოუწოდა, რომ ერთ-ერთ მისამართზე მოეგვარებინათ მათი მიზეზით გამოწვეული გზის დაზიანების პრობლემა, რადგან ეს კორპუსებსაც უქმნიდა საფრთხეს.[211] აღსანიშნავია, რომ განცხადებების ფორმატში დასმულ საკითხებზე პასუხების გასაცემად რამდენჯერმე ჩაერთო მერიის წარმომადგენელიც.[212] მსგავსი შემთხვევები გამოვლინდა თელავის საკრებულოშიც.[213]

სხდომებზე მერიის წარმომადგენლების მხრიდან პასუხების გაცემა სწორი პრაქტიკაა, ვინაიდან ის აძლიერებს ზედამხედველობის ხარისხს. შედეგად, როგორც დეპუტატებს, ისე საზოგადოებას ეძლევა საშუალება, მოისმინონ ადგილობრივი ხელისუფლების აზრი აქტუალური საკითხების შესახებ. ამასთანავე, დადებითი ტენდენციაა საკრებულოს უმრავლესობის წევრთა მიერ აღმასრულებელი ორგანოს კრიტიკა და ემსახურება გამოვლენილი პრობლემების აღმოფხვრას.

საყურადღებო იყო თბილისის საკრებულოს 2022 წლის 10 ივნისის სხდომაც. განცხადებების პროცედურის დროს ერთ-ერთმა ოპოზიციონერმა დეპუტატმა გამოხატა პოზიცია წყალმომარაგების კომპანიასთან დადებული ხელშეკრულების გადახედვის თაობაზე და განაცხადა, რომ, თუ ის ვეღარ ასრულებს ფუნქციებს, მუნიციპალიტეტმა უნდა შეცვალოს პროვაიდერი.[214] ამავე სხდომაზე კონკრეტული მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემის თაობაზე ოპოზიციონერმა დეპუტატმა იკითხა, მერია უთანხმებს თუ არა ასეთ თემებს ადგილობრივ მოსახლეობას, ვინაიდან ღია კაფე დისკომფორტს, ხმაურის გამო, პირველ ყოვლისა, სწორედ მათ უქმნის.[215] მსგავსი ტენდენცია გამოვლინდა 16 ივლისის სხდომა-

[207] თბილისის საკრებულოს 2021 წლის 21 დეკემბრის №3 სხდომის ოქმი.
[208] თბილისის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის №10 სხდომის ოქმი.
[209] იქვე.
[210] იქვე.
[211] თბილისის საკრებულოს 2022 წლის 9 სექტემბრის №14 სხდომის ოქმი.
[212] თბილისის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის №10 სხდომის ოქმი.
[213] იხ. მაგალითად, თელავის საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის №6 სხდომის ოქმი.
[214] თბილისის საკრებულოს 2022 წლის 10 ივნისის №11 სხდომის ოქმი
[215] იქვე.

ზეც. კერძოდ, დაუსრულებელ შენობა-ნაგებობებთან დაკავშირებით კრიტიკული პოზიცია გამოხატეს ოპოზიციის წარმომადგენლებმა.[216] მათი განცხადებით, ასეთ შემთხვევებში გათვალისწინებული უნდა იყოს საზოგადოების და არა - ერთი რომელიმე კომპანიის ინტერესები. მოქალაქეთა საჭიროებებთან კონკრეტული პროექტის დაკავშირება მნიშვნელოვანი ასპექტია წარმომადგენლობითი ორგანოს მანდატის სათანადოდ განსახორციელებლად.

თბილისის საკრებულოში შეკითხვების დასმისა და პასუხების გაცემის პრაქტიკაზე დაკვირვებით გამოიკვეთა ტენდენცია, რომ „ქართული ოცნების" წარმომადგენლები თავიანთ გამოსვლებში, უმეტესად, მერიის პოზიციას ამართლებენ, მხარს უჭერენ ან მადლიერებას გამოხატავენ. კონკრეტულ თემაზე კრიტიკას კი ისინი ოპოზიციის მისამართით უკუბრალდებით პასუხობენ. შესაბამისად, ნაკლებად ვლინდება მათი მხრიდან ეფექტიანი ზედამხედველობის ასპექტი.

ბათუმის საკრებულოს სხდომებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე მოსაზრებებს, ძირითადად, ოპოზიცია გამოთქვამდა. ამ საკრებულოში კრიტიკულობით გამოირჩეოდა პარტია „საქართველოსთვის" წევრი, თუმცა მის პოზიციებს „ქართული ოცნება" არასოდეს იღებდა მხედველობაში (ზოგჯერ მის მიერ ინიციირებულ საკითხს დღის წესრიგშიც არ სვამდნენ[217]). დეპუტატი ასევე გამოთქვამდა პროტესტს იმის გამო, რომ მის ზეპირ კითხვებს მერიის წარმომადგენლები არ პასუხობდნენ.[218] ოპოზიციის მიმართ ამგვარი დამოკიდებულება ხელს უშლის საზედამხედველო მექანიზმების ეფექტიანობას. 29 სექტემბრის სხდომაზე თავმჯდომარემ ხსენებული დეპუტატის მიერ წარდგენილი საკითხი დღის წესრიგში, განცხადებების ბლოკში ჩასვა და აპარატს მერიაში მისი გაგზავნა დაავალა.[219] 2022 წლის 22 აგვისტოს სხდომაზე განიხილეს ბათუმის ბულვარის დაცვისა და განვითარების გეგმა, რომელიც ბათუმის მერიამ წარმოადგინა. საკითხს ხანგრძლივი დებატები მოჰყვა. საბოლოოდ, საკრებულოს თავმჯდომარე დაეთანხმა პროექტიდან ერთი კონკრეტული საკითხის ამოღებას და მხოლოდ ამის შემდეგ უყარეს კენჭი შესაბამის დადგენილებას.[220]

ოზურგეთის საკრებულოშიც ტენდენციის სახით იკვეთება, რომ კითხვების უმეტესობას „ნაციონალური მოძრაობა" სვამს. თუმცა, ისინი ხშირად პროტესტის ნიშნად ტოვებენ სხდომას, რის შემდეგაც „ქართული ოცნების" წარმომადგენლები მხოლოდ ფორმალურად გამოთქვამენ მოსაზრებებს განსახილველ საკითხებზე, რაც კონტროლის ნიშნებს არ შეიცავს და კრიტიკული ხასიათით არ გამოირჩევა. მაგალითად, 2022 წლის 15 ივნისის სხდომაზე განსახილველი საკითხები რეორგანიზაციის შედეგად მიღებული სამსახურების დებულებების დამტკიცებასა და ზოგიერთი სამსახურის ლიკვიდაციას შეეხებოდა. როგორც ოპოზიციის, ისე „ქართული ოცნების" წარმომადგენლების მხრიდან კითხვები დაისვა პარკირების მართვის ცენტრის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით.[221] ამავე სხდომაზე ერთ-ერთი საკითხი იყო ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პარკირების მართვის ცენტრის ლიკვიდაციის მიზანშეწონილობაზე მერისთვის თანხმობის მიცემა, რაზეც კრიტიკული კითხვები და შენიშვნები მხოლოდ ოპოზიციურმა პარტიებმა გამოთქვეს.[222]

[216] თბილისის საკრებულოს 2022 წლის 16 ივლისის №12 სხდომის ოქმი.
[217] იხ. მაგალითად, ბათუმის საკრებულოს 2022 წლის 19 ივლისის №3 სხდომის ოქმი.
[218] იხ. მაგალითად, ბათუმის საკრებულოს 2022 წლის 29 სექტემბრის №5 სხდომის ოქმი.
[219] ბათუმის საკრებულოს 2022 წლის 29 სექტემბრის №5 სხდომის ოქმი.
[220] ბათუმის საკრებულოს 2022 წლის 22 აგვისტოს №4 სხდომის ოქმი.
[221] ოზურგეთის საკრებულოს 2022 წლის 15 ივნისის №10 სხდომის ოქმი.
[222] იქვე.

გორის საკრებულოს 2022 წლის 13 იანვრის სხდომაზე ქონების მართვის კომისიის წევრმა წარმოადგინა გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის პროექტი. მომხსენებლის მითითებით, კომისიამ დადებითად შეაფასა ეს აქტი, თუმცა გამოთქვა შენიშვნა, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა, თუ მერია გაითვალისწინებდა დათქმული პირობების შესასრულებლად გონივრულ ვადებს, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული პირობის შეცვლის შემთხვევები. სხდომაზე დამსწრე მერიის წარმომადგენელმა ამაზე განაცხადა, რომ ვადების გაწერას არ ეთანხმებოდა, თუმცა საკრებულომ პროექტს მხარი მისი შენიშვნის გაუთვალისწინებლად დაუჭირა.[223] ამავე საკრებულოში 2022 წლის 9 სექტემბრის სხდომაზე ოპოზიციონერი დეპუტატების პროტესტი მოჰყვა მერიის დაქვემდებარებაში ახალი ა(ა)იპ-ის შექმნას. მათი აზრით, ეს საკითხი არ იყო საკმარისად დასაბუთებული და დამატებით ხარჯებსაც საჭიროებდა. პროტესტის მიუხედავად, საკრებულომ შესაბამისი განკარგულების პროექტი ხმათა უმრავლესობით დაამტკიცა.[224]

გორის საკრებულოს და კომისიის სხდომებზე მერიის თანამდებობის პირებს შეკითხვებს, ძირითადად, ოპოზიცია უსვამს.[225] მმართველი პარტიის წარმომადგენლები არც კრიტიკულები არიან და არც დაინტერესებულნი, სიღრმისეულად შეისწავლონ საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ დეპუტატები სხდომაზე მოსაზრებებს გამოთქვამენ, ოქმებში ეს ასახული არ არის. მსგავსი ტენდენცია შეიმჩნევა დუშეთის საკრებულოს შემთხვევაშიც, სადაც სხდომის მიმდინარეობისას უმეტესად ისმება კითხვები, თუმცა ეს სხდომის ოქმებში არ აისახება. როგორც საკრებულოდან საიას განუმარტეს, სხდომების ჩაწერაც არ ხდება.[226] დუშეთის საკრებულოში 2022 წლის 25 თებერვლის სხდომაზე განიხილეს „მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების მართვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში“. როგორც მმართველი გუნდის, ისე ოპოზიციის წარმომადგენლებმა ამ საკითხთან მიმართებით განაცხადეს, რომ სასურველი იქნებოდა, შეემუშავებინათ გრაფიკი და საკრებულოს სხდომაზე მოესმინათ ააიპ-ების ხელმძღვანელების ანგარიშები. კრიტიკის მიუხედავად, მართვის ეფექტიანობის ანგარიში საკრებულომ მიიღო.[227] სხდომებზე განხილულ საკითხებთან დაკავშირებით განსხვავებული იყო დეპუტატთა აქტიურობა. მთლიანობაში კი, რაოდენობრივად, მმართველი პარტია ლიდერობდა, ვინაიდან საკრებულოს 33 დეპუტატიდან 23 „ქართული ოცნების“ წევრია.

ზუგდიდის საკრებულოს 2022 წლის 2 სექტემბრის სხდომაზე აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა განაშენიანების გეგმის დამტკიცებას. „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატები აცხადებდნენ, რომ მერია უკვე მერამდენედ წარმოადგენდა ამ საკითხს დასამტკიცებლად იმის მიუხედავად, რომ მშენებლობები თითქმის უკვე დასრულებული იყო. საბოლოოდ, ფრაქციის წევრებმა მას მხარი მაინც დაუჭირეს იმ მოტივით, რომ ხელს არ შეუშლიდნენ ბიზნესს, თუმცა მერიის საქმიანობას ამ კუთხით უკანონოდ მიიჩნევდნენ.[228]

მერიის მიმართ კონტროლით შედარებით გამორჩეულია რუსთავის საკრებულო, რაც განპირობებულია იმით, რომ მერის პარტიულობა განსხვავდება საკრებულოს უმრავლესობის პარტიულობისგან. მაგალითად, 2022 წლის 28 თებერვლის სხდომაზე რუსთავის მერიამ წარმოადგინა განკარგულების პროექტი, რომელიც ეხებოდა პირობით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო

[223] გორის საკრებულოს 2022 წლის 13 იანვრის №1 სხდომის ოქმი.
[224] გორის საკრებულოს 2022 წლის 9 სექტემბრის №12 სხდომის ოქმი.
[225] ეს ტენდენცია სხდომების მონიტორინგით გამოიკვეთა. ოქმები არ შეიცავს დეტალურ ინფორმაციას კითხვების თაობაზე.
[226] დუშეთის საკრებულოს 2022 წლის 13 ოქტომბრის №01-133222861 წერილი.
[227] დუშეთის საკრებულოს 2022 წლის 25 თებერვლის №3 სხდომის ოქმი.
[228] ზუგდიდის საკრებულოს 2022 წლის 2 სექტემბრის №15 სხდომის ოქმი.

დარღვევის გამოსწორების ვადის განსაზღვრას. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და პარტია „საქართველოსთვის” დეპუტატების განცხადებით, საკითხს მხარს მხოლოდ მას შემდეგ დაუჭერდნენ, რაც შესაბამისი სამსახური ამ პროექტთან დაკავშირებით საკმარის და დაზუსტებულ ინფორმაციას წარმოადგენდა და მას მომდევნო სხდომაზე ხელახლა განიხილავდნენ.[229] **მსგავსი ტენდენცია მისასალმებელია, როდესაც საკითხი დამუშავებას და დაზუსტებას საჭიროებს.**

თელავის საკრებულოშიც კითხვების დასმისა და განცხადებების უფლების გამოყენების კუთხით ოპოზიცია ლიდერობდა.[230] სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით დეპუტატთა აქტიურობა განსხვავდებოდა. „ქართული ოცნების“ წარმომადგენელთა გამოსვლები ამჯერადაც მხარდამჭერი ხასიათის იყო და არ შეიცავდა კონტროლის ელემენტს.

ზოგიერთი საკრებულოს საქმიანობაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ კრიტიკული პოზიციები ყველაზე ხშირად ფიქსირდება განცხადებების პროცედურისას და უფრო მეტად აქტიურობენ ოპოზიციონერი დეპუტატები. თბილისის საკრებულოში ტენდენციის სახით გამოიკვეთა, რომ საკრებულოს სხდომების დაახლოებით 1/3 პოლიტიკურ განცხადებებს ეთმობა (სხდომის დასაწყისში), რა დროსაც დეპუტატები საუბრობენ აქტუალურ საკითხებზე, ახმოვანებენ მოსახლეობის პრობლემებს, ან ისმის ურთიერთბრალდებები. ოპოზიცია განცხადებების პროცედურის ფარგლებში ყოველ სხდომაზე გამოთქვამს წუხილს მერიის მიმართ არასაკმარისი კონტროლის თაობაზე. განცხადებების ფორმატის გამოყენების ინტენსივობის გათვალისწინებით, **უმჯობესი იქნება, ეს პროცედურა ითვალისწინებდეს მერიის წარმომადგენელთა ჩართულობას და დეპუტატების კრიტიკულ მოსაზრებებზე მათი მხრიდან პასუხის გაცემის ვალდებულება.** ეს შესაძლებლობას მისცემს საზოგადოებას, უკეთ გაერკვეს დედაქალაქის პრობლემებში და მიიღოს ამომწურავი განმარტებები, მათ შორის, მოგვარების გზების შესახებ. ამავე საკრებულოს სხდომის ოქმებში იკვეთება, რომ დეპუტატები თავს იკავებენ ცალკეული საკითხებისთვის ხმის მიცემისგან, თუმცა მათთან დაკავშირებით შენიშვნები ან კითხვები არ ფიქსირდება. **უმჯობესია, დეპუტატებმა მეტად იაქტიურონ და გამოთქვან მოსაზრებები მათთვის გაურკვეველ თუ მიუღებელ საკითხებზე, რაც ხელს შეუწყობს ამ თემების სათანადოდ დამუშავებას და საზოგადოების ინფორმირებას მათი როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეების შესახებ.**

თბილისის მსგავსად, ბათუმის საკრებულოს წევრები სხდომებს იწყებდნენ პოლიტიკური დებატებით, რომლებიც განსახილველ თემებს არ ეხებოდა. განცხადებების პროცედურასთან დაკავშირებით აქ საინტერესო პრაქტიკა გამოვლინდა. კერძოდ, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე საკრებულოს თავმჯდომარემ საშუალება მისცა დეპუტატებს, გაეკეთებინათ განცხადებები, ხოლო აპარატს დაავალა, რომ ყველა გამოსვლა, ოქმის სახით, მუნიციპალიტეტის მერიაში გაეგზავნათ.[231] ეს ტენდენციაც კარგ პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ის, ერთი მხრივ, აძლიერებს საკრებულო-მერიის საქმიან ურთიერთობას, მეორე მხრივ კი, ემსახურება მოქალაქეთა იმ პრობლემების მიტანას აღმასრულებელ ორგანომდე, რომლებსაც საკრებულოს წევრები სხდომებზე ახმოვანებენ.

მიმართვებისა და განცხადებების პროცედურა არსებობს ქუთაისის საკრებულოშიც. ისინი განიხილება დღის წესრიგით გათვალისწინებული „სხვადასხვა საკითხის“ ფარგლებში, რისთვისაც შეხვედრის ბოლოს გამოიყოფა 30 წუთი. ამ საკითხებზე მსჯელობა შეიძლება

[229] რუსთავის საკრებულოს 2022 წლის 28 თებერვლის №4 სხდომის ოქმი.

[230] ტენდენცია გამოიკვეთა თელავის საკრებულოს სხდომების მონიტორინგის შედეგად. ეს ინფორმაცია ოქმებში ასახული არ არის.

[231] იხ. მაგალითად, ბათუმის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის №2 და 19 ივლისის №3 სხდომების ოქმები.

გაიმართოს ასევე საკრებულოს სხდომის დასაწყისში. რაც შეეხება ზუგდიდის საკრებულოს, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ დეპუტატებს შესაძლებლობა აქვთ, სხვადასხვა აქტუალური საკითხი წამოაყენონ. ამ პრაქტიკას ისინი ხშირად მიმართავენ.[232] ამ დროს ზოგჯერ დებატებში ერთვებიან სხდომაზე დამსწრე მერიის წარმომადგენლებიც. დისკუსიის ეს ფორმა მისასალმებელია.

ოზურგეთის საკრებულოში განცხადებების პროცედურას პერსონალურად საკრებულოს თავმჯდომარე არეგულირებს. ზოგჯერ დეპუტატებს თავისუფლად შეუძლიათ, გამოხატონ პოზიციები სხდომის დასაწყისში. რამდენჯერმე მან ფრაქციების მხოლოდ თითო წარმომადგენელს მისცა გამოსვლის უფლება, ერთხელ კი ეს პროცედურა სხდომის ბოლოს გადაიტანა (რასაც დეპუტატების პროტესტი მოჰყვა).[233] 15 ივნისის სხდომის დასრულების შემდეგ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მდინარეების ხეობებში ქვა-ღორღის ვანდალური მოპოვებისა და გარემოს დაზიანების თაობაზე განცხადება გააკეთა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა და მთავრობისგან მკაცრი ღონისძიებების გატარება მოითხოვა.[234]

რუსთავის საკრებულოს სხდომებზე განსახილველი საკითხების ირგვლივ აზრის გამოთქმის უფლებით დეპუტატები თანაბრად სარგებლობენ. „ქართული ოცნების“ წევრები მერის წარდგინებით საკითხის განხილვისას კითხვებს არასდროს სვამენ. მეტიც, როდესაც კითხვები პარტია „საქართველოსთვის“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს უჩნდებათ, „ქართული ოცნების“ დეპუტატები მერს იცავენ. „რუსთავი საქართველოსთვის“ ფრაქციის წევრმა რამდენჯერმე მიმართა „ქართული ოცნების“ დეპუტატებს, რომ, წესით, მათაც უნდა ჰქონოდათ კითხვები სხვადასხვა თემაზე და მერიიდან შემოსულ საკითხს საკრებულო პირდაპირ არ უნდა ამტკიცებდეს.[235] მმართველი გუნდის დეპუტატები აპროტესტებდნენ, რომ კონკრეტული საკითხს, რომელსაც კომისიაზე მხარდაჭერა ჰქონდა, ბიუროზე ხმას აღარ აძლევდნენ, ამიტომ უჩნდებოდათ ეჭვი, რომ ქალაქის ეკონომიკური განვითარება ვიწრო პარტიული ინტერესების გამო ფერხდებოდა და მოქალაქეები ზარალდებოდნენ.[236] აღსანიშნავია, რომ 2022 წლის 26 დეკემბერს პარლამენტმა მიიღო ცვლილებები ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში. შედეგად, საკრებულოს ბიუროს ჩამოერთვა საკითხების შინაარსობრივად განხილვის უფლება და დღის წესრიგების საბოლოო დამტკიცების უფლებამოსილება საკრებულოს ექნება.[237] ზოგადი ტენდენციის სახით, რუსთავის საკრებულოში შესამჩნევია „ქართული ოცნების“ დეპუტატების მიდგომა - ყოველგვარი შეკითხვის დასმის გარეშე მერიის მიერ ინიციირებული საკითხების უპირობოდ დამტკიცებასთან დაკავშირებით.

სხვადასხვა განცხადების გაკეთების შესაძლებლობა სხდომის ბოლოს ჰქონდათ თელავის საკრებულოს წევრებსაც, რომლებიც თავისუფლად გამოხატავდნენ თავიანთ პოზიციებს მუნიციპალიტეტის პრობლემებთან დაკავშირებით.[238] მსგავსი პრაქტიკა გამოიკვეთა გორშიც.[239]

[232] იხ. მაგალითად, ზუგდიდის საკრებულოს 2022 წლის 5 აგვისტოს №12 სხდომის ოქმი.
[233] ოზურგეთის საკრებულოს 2022 წლის3 აგვისტოს №12 სხდომის ოქმი.
[234] ოზურგეთის საკრებულოს 2022 წლის 15 ივნისის №10 სხდომის ოქმი.
[235] ეს ფაქტი გამოვლინდა სხდომების მონიტორინგის შედეგად.
[236] რუსთავის საკრებულოს 2022 წლის 27 ივნისის №9 სხდომის ოქმი.
[237] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, 24-ე, 27-ე და 35-ე მუხლები.
[238] იხ. მაგალითად, თელავის საკრებულოს 2022 წლის 29 ივლისის №8 და 31 აგვისტოს №9 სხდომების ოქმები.
[239] იხ. მაგალითად, გორის საკრებულოს 2022 წლის 13 იანვრის №1 სხდომის ოქმი.

თ) წინა წლის შესყიდვების შესახებ ანგარიშის წარმოდგენა საკრებულოში

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით, მუნიციპალიტეტის მერი, არაუგვიანეს თებერვლისა, შესყიდვების გეგმის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უგზავნის წინა წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიშს.[240]

მერმა ეს ანგარიში მხოლოდ ოზურგეთის, გორის, დუშეთისა და ქუთაისის საკრებულოებში წარადგინა. ოზურგეთში 2021 წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიშზე კითხვები არ დასმულა. საკრებულომ ეს დოკუმენტი ცნობად მიიღო 2022 წლის 23 მარტს.[241] ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა, მერიისა და საკრებულოს ერთობლივი შესყიდვების გეგმის შესაბამისად, 2021 წლის ანგარიში საკრებულოს 2022 წლის 25 თებერვალს წარუდგინა.[242] გორის საკრებულოს ის წარედგინა იმავე წლის 10 დეკემბერს. ანგარიშზე მოხსენება გააკეთა საკრებულოს კომისიის თავმჯდომარემ. დოკუმენტი შეფასდა დადებითად.[243] 2021 წელს დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიში მერიიდან საკრებულოს მხოლოდ გადმოეგზავნა და სხდომაზე არ განუხილავთ.[244] რაც შეეხება თელავს, ანგარიში საკრებულოში არ წარმოდგენილა, თუმცა მისი ელექტრონული ვარიანტი საჯარო ინფორმაციის სახით მიეწოდა საიას.[245]

შესყიდვების გეგმის თანახმად, წინა წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიშის წარდგენის ვალდებულება კოდექსით არის დადგენილი. შესაბამისად, მისი წარუდგენლობა კანონმდებლობის დარღვევაა.

ი) ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით, მუნიციპალიტეტის მერი საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს საანგარიშო წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს.[246] ეს დოკუმენტი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა მერის საქმიანობის შესაფასებლად. შესაბამისად, საკრებულოში მისი განხილვის პროცედურა მიუთითებს ამ უკანასკნელის მხრიდან მერზე ზედამხედველობის ეფექტიანობაზე.

2022 წლის 15 აპრილს თბილისის საკრებულოს სხდომაზე განსახილველ საკითხებს შორის იყო 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში. დეპუტატებს მასთან დაკავშირებით კითხვები არ დაუსვამთ.[247]

ოზურგეთის საკრებულომ 2022 წლის 23 მარტს განიხილა მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2021 წელს განხორციელებული შესყიდვების ანგარიში (მის ხარვეზებზე ისაუბრეს მმართველი გუნდის წარმომადგენლებმა და გამოთქვეს იმედი, რომ მერია მათ მომავალში გაითვალისწინებდა).[248] ამავე საკრებულოს 2022 წლის 30 მაისის რიგგარეშე სხდომაზე დღის წესრიგში იდგა მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის გეგმის შესრულების ანგარიშის განხილვა, რომელიც საბიუჯეტო-საფინანსო სამსახურის უფროსმა წარადგინა. საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დაინტერე-

[240] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ.ვ“ ქვეპუნქტი.
[241] ოზურგეთის საკრებულოს 2022 წლის 23 მარტის №5 სხდომის ოქმი.
[242] ქუთაისის საკრებულოს 2022 წლის 28 აპრილის №45-45221184 წერილი.
[243] გორის საკრებულოს 2021 წლის 10 დეკემბრის №21 სხდომის ოქმი.
[244] დუშეთის საკრებულოს 2022 წლის 10 აგვისტოს №133-133222221 და 28 დეკემბრის №01-133223623 წერილები.
[245] თელავის საკრებულოს 2022 წლის 20 აპრილის №01-272211010 წერილი.
[246] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტი.
[247] თბილისის საკრებულოს 2022 წლის 15 აპრილის №9 სხდომის ოქმი.
[248] ოზურგეთის საკრებულოს 2022 წლის 23 მარტის №5 სხდომის ოქმი.

სდა, რატომ წარმოადგინეს ანგარიში დაგვიანებით. მერის მოადგილის განცხადებით, ეს მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარე რეორგანიზაციით იყო განპირობებული.[249] 3 აგვისტოს ცნობად მიიღეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის მე-2 კვარტლის,[250] ხოლო 23 ნოემბრის სხდომაზე - მე-3 კვარტლის შესრულების ანგარიში.[251]

ბათუმის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის სხდომაზე, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე, საკრებულოს უფრაქციო წევრმა „გახარია საქართველოსთვის“ პარტიიდან წამოაყენა წინადადება, დღის წესრიგიდან ამოეღოთ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცება.[252] მისი განმარტებით, რეგლამენტის მიხედვით, საკრებულოს ეს დოკუმენტი 1-ელ მაისამდე უნდა განეხილა, ხოლო, ვინაიდან ვადა გასული იყო, მასზე აღარ უნდა ემსჯელათ. ამ საკითხს უმრავლესობამ კენჭისყრაზე მხარი არ დაუჭირა და ის მაინც განიხილეს. ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით მოსაზრებები გამოთქვეს საკრებულოს თავმჯდომარემ და ოპოზიციის 3-მა წევრმა, საბოლოოდ კი, დოკუმენტი უმრავლესობამ დაამტკიცა.[253] ქუთაისის საკრებულომ 30 მარტს განიხილა 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, რომელიც საკრებულომ დამაკმაყოფილებლად შეაფასა.[254]

2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში რუსთავის საკრებულოს 2022 წლის 20 აპრილის სხდომაზე განიხილეს.[255] ფრაქცია „ქართული ოცნების“ სახელით, საკრებულოს ერთ-ერთმა წევრმა 2021 წლის ბიუჯეტის შესრულება დამაკმაყოფილებლად მიიჩნია და მის დამტკიცებას მხარი დაუჭირა, თუმცა საკრებულოს სხვა დეპუტატები მას არ დაეთანხმნენ. მათი თქმით, შესაბამისი სამსახურების უფროსები, დაბარების მიუხედავად, კომისიის სხდომაზე არ გამოცხადებულან და მათ კითხვებზე პასუხი არ გაუციათ. ისინი არ უარყოფდნენ, რომ ბიუჯეტი შესრულდა, თუმცა, მათი შეფასებით, პასუხგაუცემელი დარჩა ხარჯვის მიზნობრიობასთან დაკავშირებული საკითხები. განკარგულების პროექტი „ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ“ საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით არ დამტკიცდა (14 მომხრე, 18 წინააღმდეგი). მისი განხილვისას შეკითხვების დასმის უფლებით ისარგებლეს მხოლოდ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და „რუსთავი საქართველოსთვის“ ფრაქციების დეპუტატებმა, განსხვავებით „ქართული ოცნების“ წევრებისგან, რომლებიც ყველა საკითხს კითხვების გარეშე უცხადებდნენ მხარდაჭერას. დოკუმენტის არადამაკმაყოფილებლად ცნობის შემდეგ რეაგირების მექანიზმის გამოუყენებლობა სწორ ტენდენციად ვერ შეფასდება.

2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში თელავის საკრებულოს 29 მარტის სხდომაზე მერის მოადგილემ და საფინანსო სამსახურის უფროსმა წარადგინეს.[256] მოხსენებისთვის გამოყოფილი იყო 20 წუთი, თუმცა ეს დრო მათ სრულად არ გამოუყენებიათ. დეპუტატებს კითხვები არ დაუსვამთ. ანგარიში დამაკმაყოფილებლად მიიჩნიეს, თუმცა კენჭისყრაში „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა მონაწილეობა არ მიიღეს.[257]

2022 წლის 29 აპრილს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განიხილეს 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების შეფასება. კითხვები დასვეს საკრებულოს ოპოზიციო-

[249] ოზურგეთის საკრებულოს 2022 წლის 30 მაისის №9 სხდომის ოქმი.
[250] ოზურგეთის საკრებულოს 2022 წლის 3 აგვისტოს №12 სხდომის ოქმი.
[251] ოზურგეთის საკრებულოს 2022 წლის 23 ნოემბრის სხდომის ოქმი.
[252] ბათუმის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის №2 სხდომის ოქმი.
[253] იქვე.
[254] ქუთაისის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის №5 სხდომის ოქმი.
[255] რუსთავის საკრებულოს 2022 წლის 20 აპრილის №7 სხდომის ოქმი.
[256] თელავის საკრებულოს 2022 წლის 29 მარტის №4 სხდომის ოქმი.
[257] იქვე.

ნერმა წევრებმა. კენჭისყრაზე ხმები თანაბრად გაიყო (19 მომხრე, 19 წინააღმდეგი), რის გამოც გადამწყვეტი ხმის უფლებით ისარგებლა ზუგდიდის საკრებულოს თავმჯდომარემ. შედეგად, 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში დამტკიცდა.[258]

დუშეთის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის სხდომაზე ერთ-ერთ საკითხად განიხილეს 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში. აზრი გამოთქვეს როგორც უმრავლესობის, ისე ოპოზიციის წარმომადგენლებმა. პროექტს მხარი დაუჭირა 19-მა წევრმა, ხოლო 7 წინააღმდეგი იყო.[259] საკრებულოს 30 სექტემბრის სხდომაზე განიხილეს ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიში, რომელსაც მხარი დაუჭირა საკრებულოს 21-მა წევრმა, 6-მა კი მის წინააღმდეგ მისცა ხმა.[260]

გორის საკრებულომ 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში 2022 წლის 8 აპრილს მოისმინა. ის საკრებულოს საფინანსო კომისიის თავმჯდომარემ წარადგინა. ანგარიში დადებითად შეფასდა როგორც დარგობრივი კომისიის, ისე საკრებულოს მიერ.[261]

კ) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის და ბიუჯეტში ცვლილებების დამტკიცება

ბიუჯეტი მუნიციპალიტეტის მთავარი საფინანსო დოკუმენტია, რომელზეც აგებულია აღმასრულებელი ხელისუფლების ერთი წლის აქტივობები. მას მერის წარდგინებით ყოველი წლის ბოლოს საკრებულო ამტკიცებს.[262] წლის განმავლობაში მასში, როგორც წესი, რამდენიმე ცვლილება შედის.

თბილისის საკრებულოში საანგარიშო პერიოდში 2 წლის ბიუჯეტი და რამდენიმე საბიუჯეტო ცვლილება დამტკიცდა. 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი 2021 წლის 27 დეკემბრის სხდომაზე განიხილეს. ის ვიცე-მერმა წარადგინა. მოხსენების შემდეგ ფრაქცია „თბილისი - საქართველოსთვის“ წევრებმა სხდომა დატოვეს, რადგან პროექტს არ ეთანხმებოდნენ. ბიუჯეტზე კითხვები დასვა ოპოზიციის 10-მა და უმრავლესობის 2-მა დეპუტატმა, ხოლო გამოსვლის უფლებით ისარგებლა ოპოზიციის 9 და უმრავლესობის 5-მა წევრმა. საბოლოოდ, მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტს მხარი დაუჭირა 27-მა დეპუტატმა, 5 წინააღმდეგი იყო, 2-მა კი თავი შეიკავა.[263]

2022 წლის ბიუჯეტში ცვლილებები თბილისის საკრებულოში წლის განმავლობაში რამდენჯერმე განიხილეს. 15 აპრილს ცვლილების დოკუმენტი წარადგინა საფინანსო სამსახურის უფროსმა. ის ეხებოდა სარეზერვო ფონდში თანხების გადატანას, რომლებიც უკრაინიდან ლტოლვილებისთვის იყო განკუთვნილი. ამ საკითხზე დაისვა მხოლოდ 2 კითხვა: თანხა გამოიყოფოდა კონკრეტული ხარჯთაღრიცხვიდან თუ ბიუჯეტის შესაძლებლობიდან გამომდინარე; ხორციელდებოდა თუ არა ამ სასტუმროების მონიტორინგი მომსახურების ხარისხის კონტროლის მიზნით.[264] 6 მაისის ცვლილება კვლავ სარეზერვო ფონდის გაზრდას ეხებოდა უკრაინელი ლტოლვილების საჭიროებებისთვის. ამ საკითხზე დაისვა შემდეგი კითხვები: როგორ აპირებდნენ მომავალში ლტოლვილების დაფინანსებას; არსებობდა რამე გეგმა თუ ისევ სარეზერვო ფონდიდან გამოიყოფოდა თანხები; როგორ ხდებოდა შესყიდვები; როგორ შეირჩეოდა სასტუმროები ლტოლვილე-

[258] ზუგდიდის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის №2 სხდომის ოქმი.
[259] დუშეთის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის №8 სხდომის ოქმი.
[260] დუშეთის საკრებულოს 2022 წლის 30 სექტემბრის №15 სხდომის ოქმი.
[261] გორის საკრებულოს 2022 წლის 8 აპრილის №5 სხდომის ოქმი.
[262] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, 91-ე მუხლი.
[263] თბილისის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის №4 სხდომის ოქმი.
[264] თბილისის საკრებულოს 2022 წლის 15 აპრილის №9 სხდომის ოქმი.

ბის დასახმარებლად.[265] კიდევ ერთი ცვლილება 16 ივლისის სხდომაზე შევიდა. მასთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა.[266]

თბილისის საკრებულოს 9 სექტემბრის სხდომაზე განიხილეს 2022 წლის ბიუჯეტში ცვლილებები, რომლითაც გაიზარდა ბიუჯეტის საერთო მოცულობა. მომხსენებელს კრიტიკული შეკითხვა დაუსვა „ლელოს“ წარმომადგენელმა. მისი მოსაზრებით, შეუძლებელია, რამდენიმე დაწესებულების შერწყმის შედეგად საშტატო ერთეულები არ შემცირდეს (სულ მცირე, სტრუქტურათა რამდენიმე ხელმძღვანელის ნაცვლად, იქნება ერთი ხელმძღვანელი). ამ კითხვაზე პასუხი გასცა არა მომხსენებელმა (მერიის საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელმა), არამედ საკრებულოს დეპუტატმა „ქართული ოცნებიდან“.[267]

2023 წლის ბიუჯეტის პროექტი დეპუტატებმა 2022 წლის 28 დეკემბერს დაამტკიცეს. აღსანიშნავია, რომ 2023 წლის ბიუჯეტთან ერთად დეპუტატებმა მერის 2022 წლის ანგარიშიც განიხილეს. დისკუსია ორივე დოკუმენტს მიემართებოდა, თუმცა ბიუჯეტს კითხვები თითქმის არ ეხებოდა. კენჭისყრისას დოკუმენტს მხარი 30-მა დეპუტატმა დაუჭირა, 3 წინააღმდეგი იყო.[268]

თბილისის საკრებულოში ბიუჯეტის პროექტების განხილვებიდან გამოიკვეთა, რომ აქტიურობა მცირეა. ამასთანავე, უარყოფითად უნდა შეფასდეს ბიუჯეტის პროექტისა და მერის ანგარიშის ერთობლივად განხილვა, ვინაიდან ანგარიშის მიმართ დეპუტატების აქტიურობამ, ფაქტობრივად, გადაფარა ბიუჯეტის დოკუმენტი და მასზე სრულყოფილად მსჯელობა ვერ მოხერხდა.

რაც შეეხება სხვა საკრებულოებს, ოზურგეთში 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი 2021 წლის 28 დეკემბრის სხდომაზე განიხილეს. საკითხი წარმოადგინა მერის მოადგილემ და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა. ფრაქცია „ოზურგეთი საქართველოსთვის“ წევრებმა განაცხადეს, რომ მათ დოკუმენტთან დაკავშირებით შენიშვნები ჰქონდათ და მას მხარს არ დაუჭერდნენ. კითხვები დასვეს როგორც ოპოზიციის, ისე უმრავლესობის წარმომადგენლებმა. საბოლოოდ, მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტს ხმა მისცა 28 წევრმა, 11 წინააღმდეგი იყო.[269] 30 მაისის რიგგარეშე სხდომაზე მთავარ საკითხად განიხილებოდა ბიუჯეტში ცვლილებები, რომელსაც დაეთანხმა როგორც მმართველი გუნდი, ისე ოპოზიცია. მიზეზი ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ზრდა იყო. სხდომაზე კითხვები დასვეს ოპოზიციის წარმომადგენლებმა ინფრასტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებით.[270]

ოზურგეთის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი 2022 წლის 23 დეკემბრის სხდომაზე საკრებულოს გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა. მან ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ კორექტირებულ ბიუჯეტში, ძირითადად, გათვალისწინებული იყო ის შენიშვნები და რეკომენდაციები, რომლებიც საკრებულოს კომისიებმა და ფრაქციებმა, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებმა წარმოადგინეს. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ კომისია აქტიურად იყო ჩაბმული პროექტის შემუშავებაში, მათი შენიშვნები და წინადადებები გათვალისწინებულია, შესაბამისად, ბიუჯეტს მხარს უჭერენ. საკრებულოს 45 წევრიდან სხდომას 36 მათგანი ესწრებოდა. ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ 8 წევრმა ბიუჯეტის პროექტის კენჭისყრამდე პროტესტის

[265] თბილისის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის №10 სხდომის ოქმი.
[266] თბილისის საკრებულოს 2022 წლის 16 ივლისის №12 სხდომის ოქმი.
[267] თბილისის საკრებულოს 2022 წლის 9 სექტემბრის №14 სხდომის ოქმი.
[268] თბილისის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №19 სხდომის ოქმი.
[269] ოზურგეთის საკრებულოს 2021 წლის 28 დეკემბრის №2 სხდომის ოქმი.
[270] ოზურგეთის საკრებულოს 2022 წლის 30 მაისის №9 სხდომის ოქმი.

ნიშნად დატოვა დარბაზი. დარჩენილი 28 წევრიდან საფინანსო დოკუმენტს ხმა მისცა 26-მა, წინააღმდეგი იყო 2 დეპუტატი.[271]

თელავის საკრებულოში 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი 2021 წლის 29 დეკემბრის სხდომაზე განიხილეს. დოკუმენტი თელავის მერმა წარმოადგინა. კითხვები დასვა ოპოზიციის 4-მა და უმრავლესობის 1-მა წარმომადგენელმა. საბოლოოდ, მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტს მხარი დაუჭირა 23-მა წევრმა, 1 წინააღმდეგი იყო, 11-მა კი თავი შეიკავა.[272] 27 ივნისს გაიმართა მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში ცვლილებების განხილვა. კითხვები დასვა ოპოზიციის 5-მა და უმრავლესობის 2-მა წარმომადგენელმა. ოპოზიციის წევრებმა დააყენეს მერიის იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომელთა გამოც, ხდებოდა საჯარო მოხელეების გათავისუფლება, ხოლო მერიას, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ბიუჯეტიდან სოლიდური კომპენსაციების გაცემა უწევდა.[273]

ამავე საკრებულოში 2022 წლის დეკემბერში განიხილეს 2023 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი, რომელმაც ყველაზე დიდი ინტერესი და კითხვები გამოიწვია (თუმცა, ოქმში მხოლოდ 7 შეკითხვაა შესული).[274] საკითხი წარმოადგინა მერმა, ხოლო პროექტზე დაწვრილებით ისაუბრა მერიის საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელმა. აღსანიშნავია, რომ მერმა ყველა შეკითხვას დეტალურად უპასუხა, თუმცა ოპოზიციის კითხვების მიმართ აშკარად იგრძნობოდა ირონია და ხშირად პოლიტიკური შეფასებებიც კეთდებოდა.[275] ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შემდეგ ოპოზიციის ყველა წარმომადგენელმა საკრებულოს სხდომა დატოვა.[276]

თელავის საკრებულოს რაც შეეხება, აღსანიშნავია, რომ ყველა ნორმატიული აქტის პროექტი (მათ შორის, ბიუჯეტის პროექტს და მასში ცვლილებებს) თავდაპირველად ქვეყნდებოდა საჯარო განხილვისთვის (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად), სხდომაზე მის განხილვას კი საკრებულო რამდენიმე კვირის მერე იწყებდა. **ეს მიდგომა მისასალმებელი და სხვა საკრებულოებისთვის სარეკომენდაციოა, ვინაიდან ხელს უწყობს მოსახლეობის ინფორმირებას და პროექტის განხილვებში ჩართულობას.**

რუსთავის მუნიციპალიტეტში 2022 წლის ბიუჯეტი 2021 წლის 25 ნოემბერს დაამტკიცა წინა მოწვევის საკრებულომ.[277] 2022 წლის 14 თებერვალს ახალი მოწვევის საკრებულომ ბიუჯეტში ცვლილებები შეიტანა. საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ 3-მა და „ქართული ოცნების“ 4-მა წევრმა, ასევე საკრებულოს თავმჯდომარემ.[278] ცვლილებების განხილვისას დეპუტატებმა მოსაზრებები გამოთქვეს შენობების რეაბილიტაციასთან დაკავშირებით. მათ წარმოდგენილ დოკუმენტს მხარი ერთხმად დაუჭირეს. საკრებულოს თავმჯდომარემ დადებითად შეაფასა ბიუჯეტის ცვლილებები და მასზე დეპუტატების შეთანხმების ფაქტი.[279]

რუსთავის საკრებულოში 2022 წლის 31 მაისის სხდომაზე ხმაურიანად განიხილებოდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სტუდენტთა სწავლის დაფინანსების განხორციელების წესში“ შესატანი ცვლილებები. ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატები მიიჩნევდნენ, რომ ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტო-

[271] ოზურგეთის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის სხდომის ოქმი.
[272] თელავის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №3 სხდომის ოქმი.
[273] თელავის საკრებულოს 2022 წლის 27 ივნისის №7 სხდომის ოქმი.
[274] თელავის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №15 სხდომის ოქმი.
[275] ტენდენცია გამოიკვეთა სხდომის მონიტორინგის შედეგად.
[276] თელავის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №15 სხდომის ოქმი.
[277] „რუსთავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა“, TV4, 2021 წლის 25 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3J96U1D, განახლებულია: 31.03.2023.
[278] რუსთავის საკრებულოს 2022 წლის 14 თებერვლის №1 რიგგარეშე სხდომის ოქმი.
[279] იქვე.

რანტურის სტუდენტებს დაფინანსების მოპოვება ერთნაირად უნდა შესძლებოდათ. სხვა შემთხვევაში ნებისმიერი გადაწყვეტილება დისკრიმინაციული იქნებოდა. საკითხს კენჭისყრაზე 19 მომხრე ჰყავდა, ხოლო 15 - მოწინააღმდეგე, რომელთა შორის მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატები აღმოჩნდნენ.[280] 27 ივლისის სხდომაზე ბიუჯეტში კიდევ ერთი ცვლილების პროექტის მიმართ კრიტიკული შენიშვნები გამოთქვეს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა (მათი აზრით, საჭირო იყო იმის ახსნა, რა იდგა კონკრეტული ციფრების უკან, რამ გამოიწვია ეს ცვლილებები და რას ისახავს მიზნად). საბოლოოდ, ბიუჯეტის ცვლილების პროექტს მხარი 24-მა დეპუტატმა დაუჭირა.[281] დოკუმენტზე მსჯელობისას კიდევ ერთხელ გამოითქვა საყვედური აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი სამსახურების მიმართ, მათი მხრიდან არასათანადო თანამშრომლობის გამო. დეპუტატების თქმით, ამგვარი დამოკიდებულება ართულებს ბიუროს, კომისიებისა თუ საკრებულოს სხდომებზე ინიციირებული საკითხების დროულ და ეფექტიან განხილვას.

რუსთავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი 2022 წლის 24 ნოემბრის სხდომაზე განიხილეს. საკითხზე მოხსენებით გამოვიდა მუნიციპალიტეტის მერი. მან განმარტა, რომ წარმოდგენილ ბიუჯეტზე კომისიების შეხვედრებზე იმსჯელეს, სადაც სხვადასხვა სამსახურის უფროსებმა კითხვებს დეტალურად და დასაბუთებულად უპასუხეს, ხოლო 2023 წლის ბიუჯეტის მონაცემები შედგენილი იყო რუსთაველებთან კონსულტაციების შედეგად. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა ეს სხდომა პროტესტის ნიშნად დატოვეს, რაც, თავის მხრივ, გააკრიტიკა ქალაქის მერმა. პროექტს 24 ნოემბრის სხდომაზე არც პარტია „საქართველოსთვის“ წევრებმა დაუჭირეს მხარი. შედეგად, იმის გამო, რომ მას მხოლოდ 16-მა დეპუტატმა მისცა ხმა, ბიუჯეტი ვერ დამტკიცდა.[282] განმეორებით ის მერიამ 23 დეკემბრის სხდომაზე გამოიტანა. ამჯერად საკითხი მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა წარმოადგინა, თუმცა სხდომას მერის მოადგილეებიც ესწრებოდნენ. კამათი გამოიწვია ბიუჯეტის გენდერულ ჭრილში დაგეგმვამ, თუმცა, საბოლოოდ, მუნიციპალიტეტის მომდევნო წლის ბიუჯეტი ყველა დეპუტატის (35 ხმა) მხარდაჭერით დამტკიცდა.[283]

რუსთავის წარმომადგენლობით ორგანოსთან მიმართებით, დამატებით, აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება. პარლამენტმა 2022 წლის დეკემბერში ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში შეიტანა ცვლილებები, რომლის მიხედვითაც, მომდევნო წლის ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში მხოლოდ საკრებულოს შეუწყდებოდა უფლებამოსილება.[284] საიამ ამ პროექტზე კრიტიკული პოზიცია გამოხატა და პარლამენტს როგორც წერილობით,[285] ისე ზეპირად, კომიტეტის სხდომაზე წარუდგინა მოსაზრებები. ცვლილებები, რეალურად, მიემართებოდა იმ საკრებულოებს, სადაც „ქართული ოცნება“ უმრავლესობას არ ფლობდა და იყო იმის შანსი, რომ ისინი მომდევნო წლის ბიუჯეტს

[280] რუსთავის საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის №2 რიგგარეშე სხდომის ოქმი.

[281] რუსთავის საკრებულოს 2022 წლის 27 ივლისის №10 სხდომის ოქმი.

[282] რუსთავის საკრებულოს 2022 წლის 24 ნოემბრის №15 სხდომის ოქმი.

[283] რუსთავის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის №17 სხდომის ოქმი.

[284] საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ და საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (№07-3/261/10, 26.10.2022), საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/#law-drafting/24962, განახლებულია: 31.03.2023.

[285] „საია უარყოფითად აფასებს მუნიციპალური ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში პასუხისმგებლობის მხოლოდ საკრებულოზე გადატანის ინიციატივას“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, 2022 წლის 14 ნოემბერი.

ვერ დაამტკიცებდნენ (ზუგდიდი, ჩხოროწყუ და რუსთავი). როგორც გამოჩნდა, რუსთავში მართლაც არსებობდა ამის საშიშროება, ვინაიდან 24 ნოემბრის სხდომაზე საკრებულომ 2023 წლის ბიუჯეტი ვერ დაამტკიცა. თუმცა, 1 თვის შემდეგ, სავარაუდოდ, საკანონმდებლო ცვლილებების გავლენით, დეპუტატები იმავე რედაქციაზე შეთანხმდნენ და დოკუმენტი ერთსულოვანი გადაწყვეტილებით დაამტკიცეს.

ბათუმის 2022 წლის ბიუჯეტი წინა მოწვევის საკრებულომ 2021 წლის ნოემბერში დაამტკიცა.[286] დოკუმენტში ცვლილებები 2022 წლის ივლისში შევიდა. 19 ივლისის სხდომაზე ამ საკითხზე მომხსენებელი იყო ბათუმის მერი.[287] გამოსვლის უფლებით ისარგებლა ოპოზიციის 6-მა და ქართლი ოცნების 1-მა წარმომადგენელმა. დისკუსიაში ასევე ჩაერთო სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრი და აქტივისტი. ბიუჯეტის ცვლილებას მხარი დაუჭირა 19-მა დეპუტატმა (11 - მოწინააღმდეგე).[288] კიდევ ერთი ცვლილება ოქტომბერში შევიდა. ამჯერად საკითხი მერიის საფინანსო სამსახურის უფროსმა წარმოადგინა. შეკითხვისა და პოზიციის გამოხატვის უფლებით ისარგებლა ოპოზიციის 3-მა და უმრავლესობის 1-მა წარმომადგენელმა. ეს ცვლილებაც იმავე კვორუმით დამტკიცდა (19/11).[289] ბათუმის 2023 წლის ბიუჯეტი კი 2022 წლის 16 დეკემბრის სხდომაზე დაამტკიცეს. დოკუმენტი მერიის საფინანსო სამსახურის უფროსმა წარმოადგინა, რაც ერთ-ერთმა ოპოზიციონერმა დეპუტატმა გააპროტესტა. მისი აზრით, ბიუჯეტის პროექტს მერი უნდა წარადგენდეს.[290] გამოსვლის უფლებით ისარგებლა მხოლოდ ოპოზიციის 2-მა წარმომადგენელმა. ბიუჯეტი ხმათა უმრავლესობით (19 მომხრე) დამტკიცდა.[291]

რუსთავისა და ბათუმის მსგავსად, 2022 წლის ბიუჯეტი ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ძველი მოწვევის საკრებულომ დაამტკიცა.[292] მასში ცვლილება იმავე წლის 3 ივნისს განიხილეს. საკითხზე მოხსენებით საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე გამოვიდა, თუმცა დეტალური განმარტებები მერიის წარმომადგენელმა გააკეთა. წინადადებები და მოსაზრებები გამოთქვა 7-მა დეპუტატმა. ბიუჯეტის გაზრდას მხარი 42-მა წევრმა დაუჭირა.[293] ზუგდიდის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტი 28 დეკემბრის რიგგარეშე სხდომაზე გავიდა. დოკუმენტზე მოხსენება გააკეთა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერმა. მან თითოეულ საკითხთან დაკავშირებით მიუთითა, რომ საკრებულოს ფრაქციების მოსაზრებები გათვალისწინებულია. 2023 წლის ბიუჯეტი საკრებულოს 40 წევრის მხარდაჭერით (1 წინააღმდეგი) დამტკიცდა.[294] დოკუმენტი, საბოლოოდ მიღებამდე, თელავის მსგავსად, საჯარო განხილვისთვის გამოქვეყნდა.[295]

დუშეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის სხდომაზე განიხილეს. დოკუმენტს მხარი დაუჭირა საკრებულოს 24-მა წევრმა 8-ის წინააღმდეგ.[296] 2023 წლის ბიუჯეტი 2022 წლის 23 დეკემბრის რიგგარეშე სხდომაზე დაამტკიცეს. დეპუტატების მხრიდან სხვადასხვა სახის 14 შენიშვნა და რეკომენდაცია გამოითქვა,

[286] „ბათუმის ძველმა საკრებულომ 2022 წლის ბიუჯეტი პროტესტის ფონზე დაამტკიცა“, netgazeti.ge, 2021 წლის 26 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/life/578337/, განახლებულია: 31.03.2023.
[287] ბათუმის საკრებულოს 2022 წლის 19 ივლისის №3 სხდომის ოქმი.
[288] ბათუმის საკრებულოს 2022 წლის 19 ივლისის №3 სხდომის ოქმი.
[289] ბათუმის საკრებულოს 2022 წლის 31 ოქტომბრის №6 სხდომის ოქმი.
[290] ბათუმის საკრებულოს 2022 წლის 16 დეკემბრის №8 სხდომის ოქმი.
[291] იქვე.
[292] „ზუგდიდის ძველმა საკრებულომ 2022 წლის ბიუჯეტი დაამტკიცა“, netgazeti.ge, 2021 წლის 26 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/578368/, განახლებულია: 31.03.2023.
[293] 2022 წლის 3 ივნისის №6 სხდომის ოქმი.
[294] ზუგდიდის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №27 სხდომის ოქმი.
[295] ზუგდიდის საკრებულოს 2022 წლის 16 ნოემბრის №22 სხდომის ოქმი.
[296] დუშეთის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის №3 სხდომის ოქმი.

რომელთაგან ყველა გაითვალისწინეს.[297] დოკუმენტს მხარი ოპოზიციის ნაწილმაც დაუჭირა.[298]

ქუთაისის საკრებულომ 2022 წლის ბიუჯეტი 2021 წლის 29 დეკემბრის სხდომაზე დაამტკიცა.[299] პროექტი მერიის საფინანსო სამსახურის უფროსმა წარმოადგინა (თუმცა, სხდომას ესწრებოდა მუნიციპალიტეტის მერიც). ამ ფაქტმა ოპოზიციის უკმაყოფილება გამოიწვია. მათი განცხადებით, ასეთ მნიშვნელოვან დოკუმენტს მერის მოადგილე მაინც უნდა წარადგენდეს. 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი 2022 წლის 28 დეკემბრის სხდომაზე განიხილეს და დაამტკიცეს.[300]

2022 წლის ბიუჯეტი გორის საკრებულომ 2021 წლის 24 დეკემბერს დაამტკიცა.[301] პროექტი წარმოადგინა საკრებულოს საფინანსო კომისიის თავმჯდომარემ, შინაარსობრივი მოხსენება კი მერიის თანამშრომელმა გააკეთა. კომისიის თავმჯდომარის თქმით, კომისიაზე განხილვის შემდეგ შესაბამისი შენიშვნები მერს გაეგზავნა, ჩასწორებული პროექტი კი კომისიამ მისაღებად მიიჩნია. საკრებულოს ოპოზიციონერმა დეპუტატებმა აღნიშნეს, რომ ამ მნიშვნელობის დოკუმენტის წარდგენას მერიც უნდა ესწრებოდეს. ისინი ასევე არ დაეთანხმნენ ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულ ცალკეულ ცვლილებებს, შემდეგ კი სხდომა პროტესტის ნიშნად დატოვეს. საბოლოოდ, 2022 წლის ბიუჯეტი ხმათა უმრავლესობით დამტკიცდა.[302] რაც შეეხება 2023 წლის ბიუჯეტს, გორის საკრებულომ ის 2022 წლის 23 დეკემბრის სხდომაზე დაამტკიცა. პროექტი მერიის საფინანსო სამსახურის უფროსმა წარმოადგინა. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა მას მხარი არ დაუჭირეს. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ხარჯები არასწორი პრიორიტეტებით იყო გაწერილი და, იმავდროულად, მათი არცერთი ინიციატივა არ იყო გათვალისწინებული. სხდომას მუნიციპალიტეტის მერიც ესწრებოდა, რომელმაც რამდენიმე განმარტება გააკეთა ბიუჯეტის პროექტის შემუშავების პროცესთან დაკავშირებით.[303] აღსანიშნავია, რომ გორის საკრებულოს ოქმები განსახილველი პროექტების შინაარსის შესახებ ინფორმაციას ან საერთოდ არ შეიცავს, ან მოცემულია მხოლოდ მწირი მასალა (უშუალოდ პროექტები ერთვის ოქმს), რაც არ არის მისასალმებელი პრაქტიკა.

ლ) დამოუკიდებელი აუდიტი

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით, არაუმეტეს წელიწადში ერთხელ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოწვეულმა აუდიტორმა შეიძლება ჩაატაროს მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის დამოუკიდებელი აუდიტი. საკრებულო აღნიშნულის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედის მოთხოვნით.[304]

საკრებულოებიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, საანგარიშო პერიოდში არცერთ საკრებულოს მუნიციპალიტეტის ორგანოების დამოუკიდებელი აუდიტი არ ჩაუტარებია.

---

[297] საგზაო მოძრაობის დარეგულირება და ბიუჯეტში ასახვა, ახალი ქალაქმშენებლობის გენერალური გეგმის შემუშავება, 4 ნაგავმზიდის შეძენა, ინფრასტრუქტურული და სხვა პროექტების დაფინანსების გაზრდა და სხვა.
[298] დუშეთის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის №20 სხდომის ოქმი.
[299] 2021 წლის 29 დეკემბრის №2 სხდომის ოქმი.
[300] 2022 წლის 28 დეკემბრის №14 სხდომის ოქმი.
[301] გორის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის №22 სხდომის ოქმი.
[302] იქვე.
[303] გორის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის №19 სხდომის ოქმი.
[304] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, 140-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

მ) საკრებულოს მიერ მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს და თანამდებობის პირების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სასამართლოში გასაჩივრება

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით, თუ მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს, მერიის თანამდებობის პირის ან სხვა მოხელის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ეწინააღმდეგება მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ან/და საქართველოს კანონმდებლობას, საკრებულო სიითი შემადგენლობის უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას მისი სასამართლოში გასაჩივრების შესახებ.[305]

არცერთი განხილული საკრებულოს მიერ მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს და თანამდებობის პირების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევა არ გამოვლენილა.

ნ) ინტერპელაცია

შესწავლილი 9 საკრებულოდან ინტერპელაციის მექანიზმი 7 მათგანის რეგლამენტშია გაწერილი (ის არ გვხვდება თბილისისა და ბათუმის წარმომადგენლობით ორგანოებში). საკრებულოს ფრაქციასა ან კომისიას უფლება აქვს, ინტერპელაციის წესით დააყენოს საკითხი საკრებულოს თავმჯდომარის, მერის ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ორგანიზაციის თანამდებობის პირის წინაშე. ინტერპელაციის წესით დასმულ შეკითხვას თანამდებობის პირი საკრებულოს სხდომაზე უპასუხებს. ფრაქციისა ან შესაბამისი კომისიის მოთხოვნით, მოცემულ საკითხზე გათვალისწინებულია დებატების გამართვის შესაძლებლობაც.[306]

საანგარიშო პერიოდში ქუთაისის, რუსთავის, ოზურგეთის, თელავის, გორის, დუშეთისა და ზუგდიდის საკრებულოებს მერიის თანამდებობის პირების მიმართ ინტერპელაციის მექანიზმი არ გამოუყენებიათ.

ო) თანამდებობის პირების სხდომებზე დასწრება, მოწვევა/დაბარება

საკრებულოს საზედამხედველო საქმიანობის ერთ-ერთი ელემენტია ამ ორგანოს სხდომებზე მერიის თანამდებობის პირთა დასწრება - როგორც საკუთარი ინიციატივით, ისე საკრებულოს მოთხოვნით. ეს მექანიზმი თბილისის, ბათუმის, ოზურგეთის, ქუთაისის, გორის, დუშეთისა და რუსთავის საკრებულოების რეგლამენტებითაა გათვალისწინებული. როგორც მონიტორინგით გამოიკვეთა, მერიის თანამდებობის პირები საკრებულოს სხდომებს საკუთარი ინიციატივით ძირითადად მაშინ ესწრებოდნენ, როცა ისინი მერიის მიერ ინიციირებულ საკითხს მომხსენებლების რანგში წარადგენდნენ.

თბილისის საკრებულოს რეგლამენტის მიხედვით, საკრებულოს მიერ არჩეული, დანიშნული ან შეთანხმებული თანამდებობის პირი უფლებამოსილია, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია, დაესწროს კომისიის სხდომებს, პასუხი გასცეს დასმულ შეკითხვებს და წარადგინოს გაწეული საქმიანობის ანგარიში. ასეთ თანამდებობის პირს კომისიამ მოთხოვნისთანავე უნდა მოუსმინოს.[307]

---

[305] იქვე, 62-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

[306] ინტერპელაციის თაობაზე 7-ვე საკრებულოს რეგლამენტით ერთნაირი პროცედურაა გაწერილი. იხ. მაგალითად, დუშეთის საკრებულოს რეგლამენტის 115-ე მუხლი.

[307] თბილისის საკრებულოს რეგლამენტი, 27-ე მუხლი.

საანგარიშო პერიოდში არ გამოვლენილა დაბარების შედეგად თანამდებობის პირის გამოცხადების შემთხვევა თბილისის საკრებულოში, ამგვარი მოთხოვნების მიუხედავად. საჯარო ინფორმაციის სახით მიღებული დოკუმენტების მიხედვით, თბილისის მერის მიერ ინიციირებული საკითხების განხილვისას საკრებულოსა და კომისიების სხდომებს ისედაც ესწრება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირი, შესაბამისად, ამ შეხვედრებზე მათი მონაწილეობის საკითხი არის საკრებულოს საქმიანობის ჩვეული/აუცილებელი ნაწილი და მოთხოვნას არ საჭიროებს.[308] საწინააღმდეგო პოზიცია იკვეთება ოპოზიციონერი დეპუტატების განცხადებებიდან. მათი თქმით, ფრაქცია იბარებს კონკრეტულ თანამდებობის პირებს, თუმცა ისინი სხდომებზე არ ცხადდებიან. მაგალითად, 2022 წლის 15 თებერვლის სხდომაზე დღის წესრიგის დამტკიცებამდე ოპოზიციის წევრებმა განაცხადეს, რომ საკრებულოში დაიბარეს პირველი ვიცე-მერი და მუნიციპალური ინსპექციის უფროსი. თუმცა, მათ უგულებელყვეს მოთხოვნა იმ მოტივით, რომ ამ პროცედურას წინ უნდა უძღოდეს საკრებულოს რომელიმე კომისიაზე საკითხის განხილვა.[309] ამასთან დაკავშირებით საკრებულოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ მათ შეუძლიათ მერიის თანამდებობის პირების მოწვევა და არა - დაბარება. მისივე თქმით, საჭიროა სწორი კომუნიკაციის ჩამოყალიბება უწყებებს შორის.[310]

ასევე 16 ივლისის სხდომაზე განცხადებების დროს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა აღნიშნა, რომ მერი ანგარიშს უნდა წარადგენდეს საკრებულოში, მერიის ნებისმიერი თანამდებობის პირი ფრაქციის მიერ დაბარების შემთხვევაში უნდა ცხადდებოდეს ფრაქციის სხდომაზე, საკრებულოს სხდომები კი 24 საათით ადრე არ უნდა ინიშნებოდეს, ვინაიდან ასეთ დროს დღის წესრიგის სრულყოფილად დამუშავება ვერ ხერხდება.[311]

თბილისის საკრებულოს რეგლამენტი აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირების დაბარებას რაიმე პირობისა ან კომუნიკაციის წესების გარეშე ითვალისწინებს. თუკი ინიციატორის მხრიდან სხდომაზე დაბარების პროცედურული წესები დაცულია, ის ვალდებულია, გამოცხადდეს. ამდენად, საკრებულოს თავმჯდომარის განმარტება რეგლამენტის მოთხოვნას არ შეესაბამებოდა. მონიტორინგის შედეგად კი გამოიკვეთა, რომ მერიის წარმომადგენლები სხდომებს ესწრებოდნენ თანამდებობაზე მათი დამტკიცებისა ან ინიციირებული საკითხის წარდგენის დროს.

ბათუმის საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებულია მერიის ანგარიშვალდებული პირის დაბარება კომისიის სხდომაზე.[312] ეს პირები, ასევე მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებული სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირების ხელმძღვანელები, კომისიის მოთხოვნით, ვალდებულნი არიან, არაუგვიანეს მომდევნო დღისა წარადგინონ შესაბამისი დოკუმენტები და სხვა მასალები. დასკვნები და ისეთი სახის ინფორმაცია, რომელიც საჭიროებს დამუშავებას, მოძიებას, ან/და დიდი მოცულობისაა, კომისიას უნდა მიეწოდოს მოთხოვნიდან ერთი კვირის ვადაში. მერიის თანამდებობის პირი, ასევე მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებული სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირების ხელმძღვანელები უფლებამოსილები, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულები არიან, დაესწრონ კომისიის სხდომებს, პასუხი გასცენ დასმულ შეკითხვებს და წარადგინონ გაწეული საქმიანობის ანგარიშები.[313] მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ ბათუმის საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული პირები (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) საკუთარი ინიციატივით, დაბარების გა-

[308] თბილისის საკრებულოს 2022 წლის 2 აგვისტოს №03-032221410 და 19 ოქტომბრის №03-032229212 წერილები.
[309] თბილისის საკრებულოს 2022 წლის 15 თებერვლის №7 სხდომის ოქმი.
[310] თბილისის საკრებულოს 2022 წლის 15 თებერვლის №7 სხდომის ოქმი.
[311] თბილისის საკრებულოს 2022 წლის 16 ივლისის №12 სხდომის ოქმი.
[312] ბათუმის საკრებულოს რეგლამენტი, 23-ე მუხლის მე-2 პუნქტი.
[313] ბათუმის საკრებულოს რეგლამენტი, 23-ე მუხლი.

რეშე ესწრებოდნენ საკრებულოსა და კომისიების სხდომებს. ანალოგიურად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ანგარიშვალდებული პირები მონაწილეობდნენ საკრებულოსა და კომისიის სხდომებში დღის წესრიგის შესაბამისად, როდესაც ისინი საკითხს წარმოადგენდნენ განსახილველად.[314] ისინი საკრებულოს სხდომაზე არ მოუწვევია, როგორც ამას ოზურგეთის საკრებულოს რეგლამენტი ითვალისწინებს.[315]

ქუთაისის[316] საკრებულოდან წარმოდგენილი მასალების ანალიზით იკვეთება, რომ საკრებულოს სხდომებზე დამსწრე პირები მოწვეულნი არიან საკითხის განხილვის ინიციატორთა მიერ, როგორც მომხსენებლები. ქუთაისის მერი და მისი მოადგილეები სხდომებს საკუთარი ინიციატივით ესწრებოდნენ. მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა მონაწილეობა, ძირითადად, განპირობებული იყო იმით, რომ ისინი საკითხების გამოტანაზე იყვნენ პასუხისმგებელნი.[317] ქუთაისის საკრებულოში დეპუტატები შედარებით მეტად აქტიურობდნენ კომისიებში. საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული პირები, რომლებიც კომისიის სხდომებში მონაწილეობდნენ, ძირითადად, მომხსენებლები იყვნენ. გარდა ამისა, მოადგილეები, საკურატორო სფეროების მიხედვით, ინტენსიურად ესწრებოდნენ საკრებულოსა და კომისიების სხდომებს და ხშირად თავად წარადგენდნენ საკითხებს, რაც მისასალმებელი პრაქტიკაა.

გორის საკრებულოს რეგლამენტის საფუძველზე,[318] მერიის თანამდებობის პირები, ა(ა)იპ-ების ხელმძღვანელები და თანამშრომლები საკრებულოს, ბიუროსა და კომისიის სხდომებს ესწრებოდნენ მაშინ, როდესაც კონკრეტულ საკითხზე იყვნენ მომხსენებლები. გორის საკრებულოს წერილის მიხედვით, 2022 წელს მერი რამდენჯერმე მიიწვიეს სხდომაზე,[319] თუმცა ის არ გამოცხადებულა და არც რაიმე დოკუმენტი ამ საკითხზე საკრებულოში არ შესულა.[320]

გორის მუნიციპალიტეტში მერმა რამდენჯერმე უგულებელყო საკრებულოში მიწვევის მოთხოვნა. კერძოდ, 2022 წლის 14 აპრილს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ მას წერილით მიმართა და სხვადასხვა საკითხის განსახილველად საკრებულოში მისვლა მოითხოვა.[321] მერი საკრებულოს სხდომაზე არ მივიდა და არც ამის მიზეზები განმარტა წერილობით.

იგივე განმეორდა, როდესაც იმავე თვეში მერის დაბარების მოთხოვნა „გორი საქართველოსთვის” ფრაქციამ გაგზავნა.[322] გორის მერი საკრებულოს სხდომაზე არც ამ შემთხვევაში გამოცხადდა და არც წერილობითი განმარტება გაუკეთებია. ანალოგიური ფაქტი გამოვლინდა საკრებულოს 13 მაისის სხდომაზეც, რაც ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა გააპროტესტეს.[323] საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის განმარტებით, მერი კანონით არ არის ვალდებული, სხდომაზე გამოცხადდეს.[324] თავად

[314] ოზურგეთის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს №37-37222211 წერილი.
[315] ოზურგეთის საკრებულოს რეგლამენტის მე-60 მუხლის 1-ლი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი.
[316] ქუთაისის საკრებულოს რეგლამენტის მე-60 მუხლი, 25-ე მუხლი, 39^2-ე მუხლი.
[317] ქუთაისის საკრებულოს 2022 წლის 5 ოქტომბრის №45-45222781 წერილის დანართი.
[318] გორის საკრებულოს რეგლამენტი, მე-60 მუხლის 1-ლი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი.
[319] გორის საკრებულოს 2022 წლის 12 ოქტომბრის №21-21222858 წერილი.
[320] გორის საკრებულოს 2022 წლის 29 ივლისის №21-21222102 წერილი.
[321] მაგალითად, როგორებიცაა: ერთ-ერთ სოფელში საბავშვო ბაღის მშენებლობა; სასმელი წყლის მიწოდება; კულტურისა და ტურიზმის სააგენტოში მომხდარი ფაქტების შესახებ ინფორმაცია ე.წ. „ბიტკოინების ამბის“ და აღმოჩენილი ფინანსური დარღვევის შესახებ (500 000 ლარის მითვისება ბუღალტრის მიერ). იხ. გორის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ 2022 წლის 14 აპრილის №21-21221044 წერილი გორის მერს.
[322] გორის საკრებულოს ფრაქცია „გორი საქართველოსთვის“ 2022 წლის 18 აპრილის №21-21221081 წერილი.
[323] გორის საკრებულოს 2022 წლის 13 მაისის №6 სხდომის ოქმი.
[324] ფაქტი გამოვლინდა საკრებულოს სხდომის მონიტორინგის შედეგად.

მერმა მედიასთან საუბრისას აღნიშნა, რომ საკრებულოში ის საპატიო მიზეზის გამო არ მივიდა, თუმცა ეს მიზეზი არ დაუსახელებია.[325]

„გორი საქართველოსთვის“ ფრაქციამ მუნიციპალიტეტის მერი ან მისი წარმომადგენელი რამდენჯერმე ფრაქციის სხდომაზე დაიბარა (ივლისში - მერიაში დაგეგმილი რეორგანიზაციის,[326] ხოლო სექტემბერში - ახალი ა(ა)იპ-ის დაფუძნების თაობაზე[327]), თუმცა ისინი არ გამოცხადდნენ.[328]

დუშეთის საკრებულოში[329] ჩატარებული სხდომებიდან მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები მხოლოდ ერთს არ ესწრებოდნენ. დანარჩენ შემთხვევაში მონაწილეობდნენ მერი, მისი პირველი მოადგილე, საფინანსო და ქონების მართვის სამსახურის უფროსები, ვინაიდან ისინი მომხსენებლები იყვნენ შესაბამის საკითხზე.[330]

რუსთავის საკრებულოს[331] სხდომებზე მერიის მიერ ინიციირებულ საკითხებზე, ძირითადად, მოხსენებით გამოდიოდა რუსთავის მერიის წარმომადგენელი საკრებულოსთან ურთიერთობის საკითხებში. ის დეპუტატების მიერ დასმულ ყველა კითხვას ზოგადად პასუხობდა და დეტალური განმარტებების გაკეთება არ შეეძლო. საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მუდმივად მიუთითებდა, რომ ხშირად აღმასრულებელი ხელისუფლების სხვადასხვა სამსახურის ხელმძღვანელები თავიანთი უწყების ანგარიშის მოსმენას არ ესწრებოდნენ. შედეგად, კომისიის წევრებს უჭირდათ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ეფექტიანად განხილვა/გადაწყვეტა.[332] „ქართული ოცნების“ დეპუტატები ხშირად ამართლებდნენ აღმასრულებელი ხელისუფლების იმ წარმომადგენლებს, რომლებიც კომისიისა თუ საკრებულოს სხდომებზე არ ცხადდებოდნენ.

რუსთავის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) ხშირად აღნიშნავდა, რომ შეკითხვები არსებობდა მერიის სოციალური სამსახურის მიმართ, თუმცა მისი ხელმძღვანელი არც კომისიის და არც საკრებულოს სხდომაზე არ მოდიოდა. იგი ასევე საყვედურს გამოთქვამდა იმის გამო, რომ კომისიის სხდომა კვორუმის არარსებობის გამო არ ტარდებოდა (სხდომაზე არ ცხადდებოდნენ „ქართული ოცნების“ დეპუტატები). მისი თქმით, ა(ა)იპ-ებისა და შპს-ს ხელმძღვანელები, მიუხედავად კომისიის სხდომაზე დაბარებისა, ხშირად არ ცხადდებოდნენ, რაც ხელს უშლიდა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვას/შესწავლას, იმავდროულად, იწვევდა პროცესების გაჭიანურებას. მან ასევე გააკრიტიკა ქალაქის მერი, ვინაიდან მოქალაქეებს არ ხვდებოდა და მათ პრობლემებს პირადად არ ისმენდა. ამის გამო, ერთ-ერთი მოქალაქე იძულებული გახდა, საკრებულოს სხდომას დასწრებოდა, რათა მერს იქ მაინც შეხვედროდა.[333] რუსთავში „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა მერია რამდენჯერმე იმიტომ გააკრიტიკეს, რომ ისეთ მნიშვნელოვან დოკუმენტს, როგორიცაა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ცვლილებები, წარადგენდა მერიის სამსახურის უფროსი და არა - მერი ან მისი მოადგილე.[334]

[325] „საპატიო მიზეზი მქონდა” – ხინჩეგაშვილი საკრებულოში მისვლასთან დაკავშირებით“, mozaikanews, 2022 წლის მაისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ARmB9z, განახლებულია: 31.03.2023.
[326] „გორი საქართველოსთვის“ ფრაქციის 2022 წლის 26 ივლისის №21-212220713 წერილი.
[327] „გორი საქართველოსთვის“ ფრაქციის 2022 წლის 2 სექტემბრის №21-21222453 წერილი.
[328] ფაქტი გამოვლინდა მონიტორინგის შედეგად.
[329] დუშეთის საკრებულოს 61-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი.
[330] დუშეთის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №01-133223623 წერილი.
[331] რუსთავის საკრებულოს რეგლამენტი, მე-60 მუხლის 1-ლი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი.
[332] რუსთავის საკრებულოს 2022 წლის 11 ოქტომბრის №13 სხდომის ოქმი.
[333] რუსთავის საკრებულოს 2022 წლის 24 ნოემბრის №15 სხდომის ოქმი.
[334] იხ. მაგალითად, რუსთავის საკრებულოს 2022 წლის 20 აპრილის და 26 აგვისტოს სხდომების ოქმები.

ზუგდიდის საკრებულოში გამოიკვეთა ტენდენცია, რომ მერიის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს, როგორებიცაა სხვადასხვა თემაზე მერიისთვის თანხმობის მიცემა და მერიის სტრუქტურული ერთეულების დებულებების დამტკიცება, წარადგენდა საკრებულოს შესაბამისი კომისიის თავმჯდომარე. მერიის წარმომადგენლები ზოგჯერ სხდომებს არ ესწრებოდნენ, ან, თუ ესწრებოდნენ, დეპუტატების თხოვნით, მხოლოდ აზუსტებდნენ კომისიის თავმჯდომარის, როგორც მომხსენებლის, მიერ წარდგენილი საკითხის ზოგიერთ დეტალს.[335] მსგავსი პრაქტიკა გამოვლინდა გორის საკრებულოშიც.[336]

3) დოკუმენტების, დასკვნებისა და სხვა საჭირო მასალების წარდგენა

კონტროლის ეს მექანიზმი თბილისის, დუშეთის, თელავის, ოზურგეთის, გორის, ზუგდიდისა და რუსთავის საკრებულოების რეგლამენტებითაა გათვალისწინებული. კერძოდ, საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების თანამდებობის პირები, კომისიის მოთხოვნით, ვალდებულნი არიან, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში წარადგინონ შესაბამისი დოკუმენტები, დასკვნები და სხვა საჭირო მასალები.[337]

თბილისის საკრებულოს წერილის მიხედვით, ამ უფლებას იყენებენ საჭიროების შემთხვევაში, განსაკუთრებით, საკრებულოში ინიციირების წესით წარმოდგენილი სამართლებრივი აქტების პროექტების შესწავლისას. საანგარიშო პერიოდში თბილისის საკრებულოს კომისიებს ანგარიშვალდებული თანამდებობის პირებისთვის განსახილველი სამართლებრივი აქტების პროექტებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია არ მოუთხოვიათ. საკრებულოს ცნობით, ყოველი ინიციირებული საკითხი შეიცავდა საჭირო მასალას და მას დეპუტატები ამ საკითხების განხილვის დროს ეცნობოდნენ.[338]

თბილისის მსგავსად, ამომწურავი არ იყო დუშეთის საკრებულოს პასუხი საიას წერილზე. ის ძირითადად შეიცავდა მითითებებს რეგლამენტზე, საკრებულოსა და კომისიის სხდომების ოქმებზე.[339] მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ დუშეთის საკრებულოში დოკუმენტაციის მოთხოვნის პრაქტიკამ ერთ შემთხვევაში გავლენა იქონია საკითხის საბოლოო გადაწყვეტაზე. კერძოდ, ერთ-ერთ სხდომაზე მოისმინეს დუშეთის შემოსასვლელში, საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარედ, სახელმწიფო საკუთრებასა და კერძო პირის იჯარით მფლობელობაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე დუშეთის მერიის მიერ გაცემული თანხმობის საკითხი დროებითი მსუბუქი კონსტრუქციის (ავტოფარეხისა და სათავსოს) განთავსების თაობაზე. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ, საკრებულოს წევრების მოთხოვნის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის მერიამ გამოაგზავნა ავტოსამრეცხაოს შესახებ სამშენებლო-სანებართვო დოკუმენტაცია. მსჯელობის შემდეგ კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა, რომ საკითხი შესასწავლად უნდა დაჰბრუნებოდა მერიის შესაბამის სამსახურს იმის დასადგენად, შეესაბამებოდა თუ არა მშენებლობა გაცემული თანხმობის პირობებს.

თელავის საკრებულოს რამდენიმე ოპოზიციონერმა დეპუტატმა მოითხოვა დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენა სოფელში მდებარე ახლად რეაბილიტირებული სტადიონის დაზიანების საკითხის ობიექტურად შესასწავლად. საქმე ეხებოდა სამშენებლო კომპა-

[335] იხ. მაგალითად, ზუგდიდის საკრებულოს 2022 წლის 1-ლი აპრილის, 3 ივნისის, 22 ივნისის, 5 აგვისტოს და 4 ნოემბრის სხდომების ოქმები.
[336] იხ. მაგალითად, გორის საკრებულოს 2021 წლის 10 დეკემბრის №21 სხდომის ოქმი.
[337] თბილისის საკრებულოს რეგლამენტის 26-ე მუხლი, სხვა საკრებულოების რეგლამენტების 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი.
[338] თბილისის საკრებულოს 2022 წლის 19 ოქტომბრის №03-032229212 წერილი.
[339] დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 აპრილის №01-133221184 წერილი.

ნიის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხს და მისი საგარანტიო პასუხისმგებლობის ფარგლებს. ოპოზიციის წარმომადგენელმა სხდომის ბოლოს გამოიყენა განცხადების უფლება, ილაპარაკა თავის სამაჟორიტარო სოფელში არსებულ პრობლემებზე და მათი მოგვარების საკითხი წამოჭრა. ოპოზიციამ მოითხოვა ახლად რეაბილიტირებული ობიექტის დაზიანების გამომწვევი მიზეზების შესახებ დოკუმენტები და შესაძლო კორუფციულ გარიგებებზე ისაუბრა.[340]

სხვა მუნიციპალიტეტების საკრებულოებს ანგარიშვალდებული თანამდებობის პირებისგან დასკვნები, რიგგარეშე ანგარიშები და სხვა საჭირო მასალები არ მოუთხოვიათ. ამ დოკუმენტაციას, უმეტესად, კომისიებზე განხილვისას წარადგენდნენ.

ჟ) მერიის სამსახურების უფროსების დანიშვნაზე თანხმობის მიცემა

სხვა მუნიციპალიტეტებისგან განსხვავებით, თბილისის საკრებულოს უფლებამოსილებაა მერის მოადგილეებისა და სამსახურების უფროსების (რომლებიც შედიან თბილისის მთავრობის შემადგენლობაში) დანიშვნაზე მერისთვის თანხმობის მიცემა.[341] 2021 წლის 7 დეკემბერს თბილისის მერმა საკრებულოს, თანხმობის მისაღებად, მუნიციპალიტეტის მთავრობის შემადგენლობა წარუდგინა.[342] თუმცა, მერის მოხსენება უფრო ფართო იყო და შეეხებოდა გასული წლის საქმიანობის შეჯამებას და სამომავლო გეგმებს. დეპუტატებს დასამტკიცებელი თანამდებობის პირების მიმართ შეკითხვები, ფაქტობრივად, არ დაუსვამთ. მათი კითხვები მიემართებოდა მერს, ხოლო პასუხების გაცემის პროცედურის დროს მერის მოადგილეობის კანდიდატებმაც ისარგებლეს თავიანთი მოსაზრებების (პასუხების) გამოთქმის შესაძლებლობით. კითხვა-პასუხის შემდეგ, დებატებისას კრიტიკულობით მხოლოდ ოპოზიცია გამოირჩეოდა (უმეტესად, მერის მისამართით), „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები კი დასამტკიცებელი მთავრობის მიმართ მხარდაჭერითა და მადლიერების გამოხატვით შემოიფარგლებოდნენ. როგორც გამოიკვეთა, კენჭისყრაში საკრებულოს ყველა წევრი არ მონაწილეობდა. თბილისის მთავრობის შემადგენლობას მხარი 50-იდან 29 დეპუტატმა დაუჭირა.[343]

საანგარიშო პერიოდში თბილისის საკრებულოში კიდევ რამდენჯერმე დადგა დღის წესრიგში მერიის სხვადასხვა თანამდებობის პირის დამტკიცების საკითხი. 7 დეკემბრის სხდომისგან განსხვავებით, დეპუტატები ამჯერად შედარებით კრიტიკულები იყვნენ. კერძოდ, 2022 წლის 10 ივნისის სხდომის დღის წესრიგში მერის მოადგილისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის დამტკიცებაც შედიოდა.[344] მოადგილესთან დაკავშირებით „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს პირი მიწვეული იყო თებერვალში ფრაქციის მოთხოვნით კომისიის სხდომაზე, თუმცა არ გამოცხადდა, მერისგან კი პასუხად მიიღო, რომ მისი გამოცხადება მერის ნებაზე იყო დამოკიდებული. ფრაქციის მიერ დაბარებაზე ისაუბრა „ლელოს“ წევრმაც და აღნიშნა, რომ მერიის თანამდებობის პირი ვალდებულია, გამოცხადდეს სხდომაზე და ამას არ სჭირდება საკრებულოს თავმჯდომარესა ან მერთან შეთანხმება. კიდევ ერთმა ოპოზიციონერმა დეპუტატმა გამოთქვა შენიშვნა და აღნიშნა, რომ მერია ვალდებულია, უპასუხოს მათ შეკითხვებს, ვინაიდან ამ კითხვებს, თავის მხრივ, მოქალაქეები უსვამენ დეპუტატებს, ხოლო, მერიის უმოქმედობის გამო, ისინი მათ პასუხს ვერ სცემენ. ფრაქციის მიერ დაბარებაზე მერის მოადგილეობის კანდიდატმა უპასუხა, რომ ეს უარი გუნდურად იყო მიღე-

[340] ფაქტი გამოვლინდა მონიტორინგის შედეგად.
[341] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, 76-ე მუხლის მე-3 პუნქტი.
[342] თბილისის საკრებულოს 2021 წლის 7 დეკემბრის №2 სხდომის ოქმი.
[343] იქვე.
[344] თბილისის საკრებულოს 2022 წლის 10 ივნისის №11 სხდომის ოქმი.

ბული. თბილისის აღმასრულებელი ორგანოს ეს გადაწყვეტილება გაამართლა საკრებულოს თავმჯდომარემაც. დამატებით, კითხვები მის წარსულ საქმიანობასა და სამომავლო გეგმებზე კიდევ 4-მა ოპოზიციონერმა დეპუტატმა დასვა. მმართველი პარტიის წარმომადგენლებს კი მისი დაცვა მოუწიათ. შედარებით ნაკლები ჩართულობით გამოირჩეოდა ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის დამტკიცების პროცედურა (ამ თანამდებობაზე ერთ-ერთი რაიონის გამგებელი გადმოიყვანეს). „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა კანდიდატი მისი წარსული საქმიანობის გამო შეაქეს, ორმა ოპოზიციონერმა კი მხოლოდ ის იკითხა, ფრაქციის დაბარებით მოვიდოდა თუ არა კომისიის სხდომაზე. მათ თანამშრომლობის იმედი გამოთქვეს.[345] საკრებულოს შესაბამისი სუბიექტის დაბარებაზე მერიის უარი ან უმოქმედობა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის დარღვევაა, ხოლო უმრავლესობის დეპუტატების მიერ მსგავსი დარღვევის სიტყვიერი წახალისება ცუდ პრაქტიკას ამკვიდრებს საზედამხედველო მექანიზმების ეფექტიანობის მხრივ. **მსგავსი პროცედურების დროს მნიშვნელოვანია, რომ ამ მექანიზმებს არა მხოლოდ პოზიცია, არამედ საკრებულოს პარტიული უმრავლესობაც მიმართავდეს.**

მერიის რამდენიმე თანამდებობის პირი 2022 წლის 9 სექტემბრის სხდომაზეც დაამტკიცეს.[346] მუნიციპალური ინსპექციის უფროსის პოსტზე წარდგენილ კანდიდატს თემატური შეკითხვები (ინსპექციის კომპეტენციის სფეროში შემავალ სხვადასხვა გამოწვევაზე) დაუსვა დამოუკიდებელმა დეპუტატმა. მან კანდიდატს ჰკითხა, არის თუ არა მზად, მომავალში უპასუხოს დეპუტატების მიერ გაგზავნილ შეკითხვებს, გამოცხადდეს საკრებულოში ფრაქციის დაბარების შემთხვევაში და, ზოგადად, ითანამშრომლოს საკრებულოსთან. „ქართული ოცნების“ წევრმა კანდიდატის მისამართით მხარდაჭერა გამოხატა და შეკითხვები არ დაუსვამს. კითხვის უფლებით ისარგებლა ასევე 3-მა ოპოზიციონერმა დეპუტატმა. ამავე სხდომაზე დაამტკიცეს მერიის შესყიდვების საქალაქო სამსახურის ახალი უფროსიც. „ლელოს“ წევრი დაინტერესდა ამ კანდიდატის სამუშაო გამოცდილებით, ასევე ჰკითხა, რა ხედვა ჰქონდა მას გამარტივებული შესყიდვების სიმრავლის, როგორც გამოწვევის, მიმართულებით. კანდიდატს პასუხების გაცემაში დაეხმარნენ სხდომაზე დამსწრე მერიის ერთ-ერთი თანამდებობის პირი და „ქართული ოცნების“ დეპუტატი.[347]

თანამდებობის პირების დანიშვნაზე თანხმობის მიცემის პროცედურა, მეტწილად, ფორმალურ ხასიათს ატარებს. კანდიდატების მიმართ კრიტიკულობით მხოლოდ ოპოზიციის წევრები გამოირჩევიან, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები კი მხარდაჭერას გამოხატავენ.

რ) მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსის კანდიდატურის დამტკიცება

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი მერიის შიდა აუდიტის განმახორციელებელი უწყების ხელმძღვანელის დამტკიცებას მხოლოდ თბილისის შემთხვევაში ითვალისწინებს.[348] კანონმდებლობის მიხედვით, ამ თანამდებობის პირის წარდგენა/არჩევა

[345] იქვე.

[346] თბილისის საკრებულოს 2022 წლის 9 სექტემბრის №13 სხდომის ოქმი.

[347] იქვე.

[348] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, 78-ე მუხლის მე-2 პუნქტი. აქვე აღსანიშნავია, რომ პარლამენტში 2022 წლის დეკემბერში დაინიცირდა ცვლილება კოდექსში, რომლის მიხედვითაც, მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელს ყველა მუნიციპალიტეტში აირჩევს საკრებულო. იხ. ორგანული კანონის პროექტი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, №07-3/279/10, 14.12.2022, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3UpqpYS, განახლებულია: 31.03.2023.

განსხვავდება მერიის სხვა სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების არჩევის პროცედურისგან. მას საკრებულოს თავმჯდომარე წარადგენს და აირჩევა საკრებულოს უფლებამოსილების ვადით. ამასთანავე, ეს პირი თბილისის მთავრობის შემადგენლობაში არ შედის.[349]

დედაქალაქის წარმომადგენლობითმა ორგანომ პირველივე სხდომაზე დაამტკიცა მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსის კანდიდატურა. საკრებულომ ამ თანამდებობაზე იგივე პირი აირჩია მეორე ვადით. სხდომაზე მას კითხვები დაუსვა ოპოზიციის 3-მა წარმომადგენელმა. ელექტრონული საშუალებით კანდიდატის ჩართვის დროს ტექნიკური ხარვეზის გამო, მეტი კითხვის დასმა ვეღარ მოხერხდა.[350]

ს) სარევიზიო კომისიის ანგარიში

სარევიზიო კომისია არის თბილისის საკრებულოს ერთ-ერთი შემადგენელი სტრუქტურა. საკრებულოს რეგლამენტის მიხედვით, სარევიზიო კომისია შექმნილია თბილისის ორგანოების საფინანსო საქმიანობის კონტროლის, მისაღები შემოსულობების დროულობისა და აღრიცხვის, გადასახდელების კანონიერების კონტროლისა და ქალაქ თბილისის ბიუჯეტთან მათი შესაბამისობის შემოწმების მიზნით. კომისია ასევე შეისწავლის სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას თბილისის ორგანოების მოსამსახურეების მიერ კანონიერების დაცვას. კომისია 6 თვეში ერთხელ საკრებულოს წარუდგენს ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ.[351]

თბილისის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2021 წლის ანგარიში 15 აპრილის სხდომაზე განიხილეს. მომხსენებლის თქმით, დოკუმენტი შეიცავდა 12 ორგანიზაციის შემოწმების შედეგებს. ანალიზი შემდგომი შესწავლისთვის მერიის აუდიტის სამსახურს გადაეცა. ამ საკითხზე დაისვა 3 შინაარსობრივი კითხვა. აგრეთვე, ოპოზიციონერმა დეპუტატებმა დააფიქსირეს კონკრეტული ინიციატივები სარევიზიო კომისიის მანდატთან დაკავშირებით და გამოთქვეს ანტიკორუფციული კომისიის შექმნის სურვილი, ვინაიდან, მათი თქმით, სარევიზიო კომისია სრულად ვერ ფარავდა მნიშვნელოვან საკითხებს. გარდა ამისა, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრთა აზრით, მნიშვნელოვანი იყო, რომ აქ ხმების უმრავლესობა ოპოზიციას ჰქონოდა. ამ ინიციატივას არ დაეთანხმა საკრებულოს თავმჯდომარე. სარევიზიო კომისიის ანგარიში საკრებულომ ცნობად მიიღო.[352]

ანტიკორუფციული სამსახურის შექმნის იდეა წამოაყენეს დეპუტატებმა რუსთავის საკრებულოშიც. ერთ-ერთ სხდომაზე მიწვეულმა პარლამენტის წევრმა პარტია „საქართველოდან“ აღნიშნა, რომ საკრებულოს, როგორც მაკონტროლებელ საზედამხედველო უწყებას, აქვს მანდატი, შექმნას ანტიკორუფციული კომისია, რომელიც შეისწავლის აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობას და გამოავლენს პოტენციური კორუფციული რისკებისა თუ გარიგებების შემცველ დოკუმენტაციას. საუბარი იყო როგორც სამსახურებრივ (უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება), ისე პოლიტიკურ კორუფციაზე (სოციალური დაცვის პროგრამებში მოქალაქეთა ჩართვა პოლიტიკური ნიშნით და სხვა).[353] იმავე ინიციატივით გამოვიდნენ პარტია „საქართველოსთვის“ წევრები გორის საკრებულოშიც 2022 წლის 11 ნოემბერს.[354] მასზე, საბოლოოდ, უარი იმ მოტივით თქვეს, რომ საკრებუ-

[349] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, 74-ე მუხლის მე-2 პუნქტი.
[350] თბილისის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის №1 სხდომის ოქმი.
[351] თბილისის საკრებულოს რეგლამენტი, მე-19 მუხლის მე-12 პუნქტი.
[352] თბილისის საკრებულოს 2022 წლის 15 აპრილის №9 სხდომის ოქმი.
[353] რუსთავის საკრებულოს 2022 წლის 28 ოქტომბრის №14 სხდომის ოქმი.
[354] გორის საკრებულოს 2022 წლის 11 ნოემბრის №15 სხდომის ოქმი.

ლოს მსგავსი საგამოძიებო ორგანოს შექმნის უფლება სამართლებრივად არ აქვს.[355] ამ პარტიის დეპუტატებმა ანალოგიური წინადადება წარადგინეს ბათუმის საკრებულოშიც 2022 წლის 31 ოქტომბრის სხდომაზე.[356]

ტ) სხვა პროცედურები და ტენდენციები

ზემოთ აღწერილი პროცესების გარდა, თითოეულ საკრებულოში მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა კიდევ არაერთი ტენდენცია, რომლებიც საყურადღებოა საკრებულოების საზედამხედველო საქმიანობის გაუმჯობესების თვალსაზრისით. კერძოდ:

თბილისის საკრებულოს რამდენიმე სხდომაზე საკითხთა განხილვის გადადების შემთხვევები გამოვლინდა. მაგალითად, 2021 წლის 27 დეკემბრის სხდომაზე მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დადგენილებაში ცვლილების განხილვა საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივით გადაიდო (მისი თქმით, ეს საკითხი დამატებით შესწავლას მოითხოვდა).[357] ასევე, 15 აპრილის სხდომაზე ტერიტორიის ფუნქციური ზომის სტატუსის ცვლილების თაობაზე რამდენიმე წერილის განხილვა გადაიდო დამატებითი შესწავლისთვის, 1-ს კი უარი ეთქვა ცვლილებაზე.[358] თბილისის მსგავსად, ქუთაისის საკრებულოშიც დაფიქსირდა რამდენიმე მსგავსი შემთხვევა. მაგალითად, ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის დასკვნის საფუძველზე, 2022 წლის 26 იანვრის სხდომის დღის წესრიგის პროექტიდან ამოიღეს საკითხი ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სააქციო საზოგადოება „ოპპასთვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე. მიზეზად დასახელდა მისი უკეთ შესწავლის საჭიროება.[359] საბოლოოდ, ის 30 მარტის სხდომაზე განიხილეს. დუშეთის საკრებულოში სამ შემთხვევაში მოიხსნა თემა დღის წესრიგიდან ამავე მიზეზით. საკითხის შესწავლის მიზნით მისი გადადების პრაქტიკა მისასალმებელია, ვინაიდან დადებითად მოქმედებს საკრებულოს მხრიდან აღმასრულებელი ორგანოს ზედამხედველობის ხარისხზე.

გარდა გადადებისა, საკრებულოებში გამოვლინდა საკითხის ჩავარდნის (დღის წესრიგიდან მოხსნის), ასევე, კომისიის უარყოფითი დასკვნის მიუხედავად, მისი მხარდაჭერის შემთხვევები. მაგალითად, გორის საკრებულოს 2021 წლის 10 დეკემბრის სხდომაზე, კომისიის უარყოფითი დასკვნის მიუხედავად, საკრებულომ მხარი დაუჭირა ერთ-ერთ ლოკაციაზე ხელოვნური უსწორმასწორობის განთავსებას. სხვა რამდენიმე ლოკაციაზე მისი მოწყობის განკარგულება კი კენჭისყრაზე ჩააგდო.[360] მსგავსი გადაწყვეტილება მიიღო საკრებულომ 11 თებერვლის სხდომაზეც, სადაც, კომისიის დადებითი დასკვნის მიუხედავად, მხარი არ დაუჭირა ერთ-ერთი კომპანიისთვის მუნიციპალიტეტის ქონების იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე განკარგულებაში ცვლილებას (პროექტის შინაარსი, უარის მოტივაცია და არგუმენტები სხდომის ოქმიდან არ იკვეთება).[361] ამავე კომპანიისთვის ქონების იჯარით გადაცემაზე კიდევ ერთი უარი უთხრეს მერს 11 ნოემბრის სხდომაზეც. დეპუტატებმა მიზეზად შპს-ს მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა დაასახელეს.[362]

[355] იქვე.
[356] ბათუმის საკრებულოს 2022 წლის 31 ოქტომბრის №6 სხდომის ოქმი.
[357] თბილისის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის №4 სხდომის ოქმი.
[358] თბილისის საკრებულოს 2022 წლის 15 აპრილის №9 სხდომის ოქმი.
[359] ქუთაისის საკრებულოს 2022 წლის 26 იანვრის №3 სხდომის ოქმი.
[360] გორის საკრებულოს 2021 წლის 10 დეკემბრის №21 და 2022 წლის 11 თებერვლის №3 სხდომების ოქმები.
[361] გორის საკრებულოს 2022 წლის 11 თებერვლის №3 სხდომის ოქმი.
[362] გორის საკრებულოს 2022 წლის 11 ნოემბრის №15 სხდომის ოქმი.

კენჭისყრის პროცედურებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე თემატურ საკითხებს მათი წარდგენისთანავე უყრიდა კენჭს. შემდეგის განხილვა კი ისე იწყებოდა, რომ წინა საკითხზე კენჭისყრის პროცედურა არც იყო დასრულებული. ამასთანავე, ამგვარ დაჩქარებულ რეჟიმში საკრებულოს წევრები თითქმის არ ან ვერ სვამდნენ შეკითხვებს. ასეთი პრაქტიკა არ არის მისასალმებელი, ვინაიდან ის ასუსტებს წარმომადგენლობით ორგანოში დელიბერაციის ხარისხს და ხელს უშლის საკითხის სრულყოფილად განხილვის შესაძლებლობას. გარდა ამისა, პრობლემაა სხდომის ტექნიკური ტრანსლირებაც. ხშირად არ ჩანს მომხსენებელი, რაც საზოგადოების ინფორმირებულობას ამცირებს. ერთ-ერთ შემთხვევაში, სარევიზიო კომისიის ანგარიშის განხილვისას, კითხვებზე პასუხის გაცემის პროცედურის დროს მომხსენებელს მიკროფონი არ ჰქონდა ჩართული, რის გამოც, მისი პასუხები ოქმში ვერ მოხვდა. ხმა არც ვიდეოჩანაწერში ისმოდა. მნიშვნელოვანი ანგარიშების განხილვისას მსგავსი ტექნიკური ხარვეზები უარყოფითად მოქმედებს საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების ხარისხზე და ამცირებს მათი მხრიდან კონტროლის შესაძლებლობას.

არაერთი საკრებულოს სხდომაზე გამოითქვა პრეტენზია, რომ განსახილველი მასალები დეპუტატებს სხდომამდე მხოლოდ 1 დღით ადრე მიეწოდება, რის გამოც, ისინი საკითხების სრულად დამუშავებას ვერ ასწრებენ (მაგალითად, დუშეთი, ზუგდიდი[363]). იგივე პრობლემა გამოვლინდა ბათუმის საკრებულოში 29 სექტემბრის სხდომაზე. ოპოზიციონერმა დეპუტატმა აღნიშნა, რომ ზოგიერთი საკითხი უნდა ამოეღოთ დღის წესრიგიდან, ვინაიდან 1 დღეში მათი დამუშავება შეუძლებელი იყო.[364]

გამოიკვეთა ისეთი საზედამხედველო ინსტრუმენტის გამოყენების შემთხვევებიც, როგორებიცაა დროებითი სამუშაო ჯგუფები. ზუგდიდის საკრებულომ 2022 წლის 3 ივნისს შექმნა ასეთი ჯგუფი მერიის სამსახურებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის შესწავლის მიზნით.[365] დროებით სამუშაო ჯგუფს ქმნის საკრებულო დამსწრეთა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ სიითი შემადგენლობის ერთი მესამედისა. 3 ივნისს ასეთი ჯგუფი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ფრაქციის ინიციატივით შეიქმნა. პროცესში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს „ზუგდიდი საქართველოსთვის“ ფრაქციის წევრებმა. სამუშაო ჯგუფის შექმნას 24-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი, 18 კი წინააღმდეგი იყო („ქართული ოცნების“ წევრები).[366]

ამავე საკრებულოს 2 სექტემბრის სხდომაზე აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია იმ დროებითი სამუშაო ჯგუფის ვადის გაგრძელებამ, რომელიც ეხებოდა 4 კერძო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობის შესწავლას.[367] „ქართული ოცნების“ დეპუტატები მიიჩნევდნენ, რომ ჯგუფს დასახული მიზნის 75% მაინც უნდა ჰქონდეს მიღწეული, რომ ვადის გაზრდა მოითხოვოს. თუმცა, საკითხის ინიციატორთა განცხადებით, მიზნის მიღწევას ხელი შეუშალა თავად ამ ორგანოებიდან ინფორმაციის მიღების შეუძლებლობამ. გარდა ამისა, „ქართული ოცნების“ დეპუტატების აზრით, სამუშაო ჯგუფს ამ დრომდე შუალედური ანგარიში მაინც უნდა წარმოედგინა, რაც მას არ გაუკეთებია. ვადის გაგრძელებას, სულ მცირე, 15 წევრის მხარდაჭერა სჭირდებოდა, რისი მოგროვებაც მოხერხდა, შედეგად, სამუშაო ჯგუფს უფლებამოსილება 1 თვით გაუგრძელდა,[368] 2 დეკემბერს კი შეუწყდა.[369] აღსანიშნავია, რომ სექტემბერში საკრებულოს რეგლამენტში შევიდა ცვლილებები, რომლებიც

[363] ზუგდიდის საკრებულოს 2022 წლის 1-ლი აპრილის №1 სხდომის ოქმი.
[364] ბათუმის საკრებულოს 2022 წლის 29 სექტემბრის №5 სხდომის ოქმი.
[365] ზუგდიდის საკრებულოს 3 ივნისის №6 სხდომის ოქმი.
[366] იქვე.
[367] ზუგდიდის საკრებულოს 2022 წლის 2 სექტემბრის №15 სხდომის ოქმი.
[368] ზუგდიდის საკრებულოს 2022 წლის 2 სექტემბრის №15 სხდომის ოქმი.
[369] ზუგდიდის საკრებულოს 2022 წლის 2 დეკემბრის №23 სხდომის ოქმი.

ითვალისწინებდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშის წარმოდგენის წესის განსაზღვრას.[370] ამ იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირს დაეკისრა ვალდებულება, საკრებულოს კომისიასა და საკრებულოს ბიუროს დამატებით წარუდგინოს იურიდიული პირის საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით.[371] ამ ნორმის დამატებაზე დეპუტატებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ და საკითხმა 42 მათგანის მხარდაჭერა მოიპოვა.[372]

ზედამხედველობის კუთხით დადებითი მიდგომა გამოვლინდა ზუგდიდის საკრებულოში. კერძოდ, 2022 წლის 5 აგვისტოს სხდომაზე განიხილეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ეფექტიანობის აუდიტის შედეგები. დასკვნაში მოცემულ შენიშვნებთან დაკავშირებით გადაწყდა, რომ საკრებულომ უზრუნველყოს კონტროლის მექანიზმის გაძლიერება მერიისა და მისი სტრუქტურული ერთეულების მიმართ, მერმა კი აუდიტის სამსახურის შენიშვნებისა და რეკომენდაციების შესრულების კუთხით გატარებული ღონისძიებების შესახებ პერიოდულად აცნობოს საკრებულოს.[373]

კიდევ ერთი საყურადღებო გარემოება გამოიკვეთა რუსთავის მუნიციპალიტეტში. ადგილობრივი თვითმმართველობის 2021 წლის არჩევნების შემდგომ, მაგრამ ახალარჩეული საკრებულოს პირველ სხდომამდე, წინა მოწვევის საკრებულოს გადაწყვეტილებით, ცვლილება შევიდა რუსთავის საკრებულოს რეგლამენტში.[374] ცვლილების მიხედვით, საკრებულო უფლებამოსილია, მერის წარდგინებით 58 საკითხი განიხილოს და ისე მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. აღნიშნული ადასტურებს საკრებულოს უფლებამოსილების შეზღუდვას, ვინაიდან თვითმმართველობის კოდექსით განსაზღვრულია მერის მიერ 12 საკითხის წარდგენა, დანარჩენ შემთხვევაში კი საკრებულო დამოუკიდებლად ახორციელებს უფლებამოსილებას.[375] აქედან გამომდინარე, მოქმედი რეგლამენტით, აღმასრულებელ ხელისუფლებაზე საკრებულოს ზედამხედველობის ფუნქცია შეზღუდულია. რეგლამენტში ცვლილების ინიციირება დაგეგმა ფრაქციამ „რუსთავი საქართველოსთვის“. ამ პროექტზე მოსაზრებები წარადგინა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ.

საკრებულოებიდან მიღებული ინფორმაციით ასევე გამოიკვეთა რამდენიმე საკრებულოში მერიის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის მიერ ანგარიშების წარდგენის პრაქტიკა.[376] კერძოდ:

ზუგდიდის საკრებულოს რამდენიმე კომისიის გაერთიანებულ სხდომაზე 6 ივნისს მოისმინეს ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების 2021-2022 წლის პირველი კვარტლის ფინანსური შემოქმედებითი ანგარიში, რომელიც უარყოფითად შეაფასეს. კიდევ ერთ ანგარიშზე იმსჯელეს 13 ივნისს საკრებულოს განათლების ,კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ და გენდერულ საკითხთა და საფინანსო საბიუჯეტო სარევიზიო კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე, რომელიც ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრის 2021 და 2022 წლის პირველ კვარტალში გაწეულ საქმიანობას შეეხებოდა. დეპუტატებმა ეს დოკუმენტიც უარყო-

[370] ზუგდიდის საკრებულოს რეგლამენტი, 113[1]-ე მუხლი.
[371] იქვე, მე-5 პუნქტი.
[372] ზუგდიდის საკრებულოს 2022 წლის 3 ივნისის №6 სხდომის ოქმი.
[373] ზუგდიდის საკრებულოს 2022 წლის 5 აგვისტოს №12 სხდომის ოქმი.
[374] რუსთავის საკრებულოს რეგლამენტი, მე-3 მუხლი.
[375] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, 24-ე მუხლი.
[376] ქვემოთ მოცემული ინფორმაცია ყველა განხილულ საკრებულოს არ ფარავს. წარმოდგენილია მხოლოდ ის მონაცემები, რომლებიც ორგანიზაციამ მიიღო.

ფითად შეაფასეს, თუმცა არცერთ შემთხვევაში ამას შემდგომი რეაგირება აღარ მოჰყოლია. მხოლოდ შემუშავდა ფორმატი ა(ა)იპ-ების მიერ საქმიანობის დაგეგმვის კუთხით.

2022 წელს მერიის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულისა (სამსახურების) და ა(ა)იპ-ების ანგარიშები მოისმინა გორის საკრებულომ და ისინი დადებითად შეაფასა.[377] 2022 წლის 11 მარტის სხდომაზე მოისმინეს მერიის რამდენიმე სამსახურის, მათ შორის, შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სტრუქტურული ერთეულის, ასევე მერიის დაქვემდებარებაში არსებული ა(ა)იპ-ების 2021 წლის საქმიანობის ანგარიშები, რომლებიც შესაბამისმა დარგობრივმა კომისიებმა წარადგინეს. სხდომის ოქმი არც აქ შეიცავს დისკუსიის თაობაზე რაიმე ჩანაწერს. ანგარიშები საკრებულომ დადებითად შეაფასა.[378]

ქუთაისის საკრებულომ 2022 წლის 25 მაისს მოისმინა მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში, რომელიც ამავე სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ წარადგინა. საკრებულომ მიიღო განკარგულება, რომლითაც ანგარიში დამაკმაყოფილებლად შეფასდა.[379] დეპუტატებმა ასევე დადებითად შეაფასეს მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის გასული თვეების ანგარიში.[380]

შეჯამება

როგორც მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, საკრებულოებმა საქმიანობის 13 თვეში ზემოთ დასახელებული ზედამხედველობის მექანიზმების მხოლოდ ნაწილი გამოიყენეს. საანგარიშო პერიოდში არცერთ საკრებულოს არ უსარგებლია ზედამხედველობის ისეთი მექანიზმებით, როგორებიცაა: ინტერპელაცია, დამოუკიდებელი აუდიტი, მერის მიმართ უნდობლობის გამოცხადება, თანამდებობის პირთა რიგგარეშე ანგარიშების მოთხოვნა, საკრებულოს მიერ მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსა და თანამდებობის პირების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სასამართლოში გასაჩივრება.

ამასთანავე, გამოიკვეთა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის პრაქტიკა. კერძოდ, 2021 წლის ანგარიშები მერებმა საკრებულოში არ წარადგინეს (გარდა თბილისისა). ასევე გამოვლინდა მერისა და მერიის თანამდებობის პირების მიერ საკრებულოს წევრთა წერილების უპასუხოდ დატოვების (ან დაგვიანების), ასევე, დაბარების მიუხედავად, სხდომებზე გამოუცხადებლობის შემთხვევები.

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ საკრებულოების მიერ მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოებზე ზედამხედველობის ხარისხი სუსტია. მათი უმრავლესობა კანონმდებლობით გათვალისწინებულ კონტროლის ინსტრუმენტებს არ იყენებდა. ამ მექანიზმებს ძირითადად ოპოზიციონერი დეპუტატები მიმართავდნენ, ხოლო პოლიტიკური უმრავლესობა აღმასრულებელი ორგანოს მიმართ მხოლოდ მადლიერებას და მხარდაჭერას გამოხატავდა. ეს ვლინდებოდა თითოეული სხდომის დროს მერიის წარმომადგენლების მიმართ კითხვის დასმისა და კრიტიკული მოსაზრებების გამოთქმის ტენდენციაში.

საკრებულოს წევრთა მიერ ზედამხედველობის მექანიზმების გამოყენებაზე უარყოფითად მოქმედებდა ის ფაქტი, რომ სხდომების თაობაზე ინფორმაცია და განსახილველ საკითხებთან დაკავშირებული მასალები დეპუტატებს სხდომამდე მცირე ხნით ადრე მი-

[377] იხ. მაგალითად, გორის საკრებულოს 2022 წლის 10 ივნისის №7 და 8 ივლისის №8 სხდომების ოქმები.
[378] გორის საკრებულოს 2022 წლის 11 მარტის №4 სხდომის ოქმი.
[379] ქუთაისის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის №7 სხდომის ოქმი.
[380] ქუთაისის საკრებულოს 2022 წლის 31 აგვისტოს №10 სხდომის ოქმი.

ეწოდებოდათ. ეს ამცირებდა მათი სათანადოდ მომზადების შესაძლებლობას და, შესაბამისად, აღმასრულებელი ორგანოს კონტროლის ხარისხს.

უარყოფითი ტენდენციების მიუხედავად, შესწავლილი საკრებულოებიდან რამდენიმეში გამოიკვეთა ზედამხედველობის შედარებით უკეთესი პრაქტიკა, როგორიცაა საკრებულოს სხდომებზე დეპუტატების მიერ გამოთქმული განცხადებების მერიაში გაგზავნა (ბათუმი), აღმასრულებელი ორგანოს მაღალი თანამდებობის პირების ინტენსიური დასწრება საკრებულოსა და კომისიების სხდომებზე (ქუთაისი), მერიის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის ანგარიშების და ბიუჯეტის შესრულების კვარტალური ანგარიშების წარდგენა (ოზურგეთი, ქუთაისი).

მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმები

ადგილობრივი დონე განიხილება, როგორც მმართველობაში მოქალაქეთა პოლიტიკური მონაწილეობისა და წარმომადგენლობის პროცესში შესასვლელი კარი.[381] აქ დემოკრატიული კულტურა სწორედ ხალხის ინტერესების შესაბამისად ყალიბდება და ამ პროცესში გადაწყვეტილებების მიღების მთავარი წყაროც ეს ინტერესებია.

მდგრადი დემოკრატია დამოკიდებულია მოქალაქეთა ხმისთვის ყურადღების მიქცევასა და უკუკავშირზე (responding).[382] მოქალაქეთა როლი ფუნდამენტური მნიშვნელობისაა დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირებისა და მდგრადი განვითარებისთვის.[383] მათი წუხილები ხშირად მიმართულია იმ პოლიტიკოსებისკენ, რომლებსაც ხმა მისცეს, ვინაიდან თავიანთი ამომრჩეველი მათ მხოლოდ საარჩევნო კამპანიის დროს ახსოვთ.[384] საბოლოოდ, ყოველთვის დიდი განსხვავება ვლინდება ჩართულობის მექანიზმებს შორის ნორმატიულ დონეზე და სინამდვილეში.[385] რეალურად, ადგილობრივ დონეზე სათანადოდ ფუნქციონირებადი დემოკრატიული ინსტიტუტები, პროცესები და პრაქტიკა მნიშვნელოვანია, რადგან აქტიური მოქალაქეობა საფუძველს უყრის ძლიერ და მდგრად (გამძლე) დემოკრატიას ეროვნულ დონეზეც.

საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით გათვალისწინებულია მოქალაქეთა მონაწილეობის შემდეგი ფორმები:[386]

- დასახლების საერთო კრება;
- პეტიცია;
- სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო;
- მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა;
- მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა.

[381] State of Local Democracy Assessment Framework, international IDEA, 2013, pp. 6, 13, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2JSxKe2, განახლებულია: 11.04.2023.
[382] Ibid, 6.
[383] Ibid, 5.
[384] Ibid.
[385] Ibid, 6.
[386] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, 85-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

გარდა ჩამოთვლილისა, მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ, შეხვდნენ საკრებულოს წევრებს,[387] მოითხოვონ რიგგარეშე სხდომის მოწვევა,[388] შეაგროვონ ხელმოწერები მერისთვის უნდობლობის გამოცხადების ინიციირებისთვის,[389] სხდომებზე დასვან შეკითხვები და გამოთქვან მოსაზრებები.[390]

ქვემოთ მოცემულია 9 საკრებულოს მუშაობაში მოქალაქეთა ჩართულობის ფორმები როგორც კოდექსის, ისე თითოეული საკრებულოს რეგლამენტის მიხედვით. იქვე წარმოდგენილია შესაბამისი პრაქტიკა და განხილულია ჩართულობის ტექნიკური საკითხები.

დასახლების საერთო კრება

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით, დასახლების საერთო კრება არის სოფლის, დაბის ან ქალაქის მოსახლეობის თვითორგანიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებული ამომრჩევლის ამ დასახლებისა და მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის, გადაწყვეტის, ასევე ამ მუნიციპალიტეტის ორგანოების წინაშე ინიციირების პროცესებში ქმედით ჩართულობას.[391] ნორმატიულ დონეზე ეს შეიძლება დახასიათდეს, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი მექანიზმი, ვინაიდან საერთო კრების წევრები შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებული ამომრჩევლები არიან.[392]

ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დასახლების საერთო კრება შეიქმნა 2017 წელს, თუმცა მოქმედი საკრებულოს ფუნქციონირების პერიოდში არ შეკრებილა.[393] გორის საკრებულოდან მიღებული ინფორმაციით, მუნიციპალიტეტში შექმნილია დასახლების საერთო კრებები, რომლებზეც შეირჩა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები.[394] რუსთავის მუნიციპალიტეტიდან მოწოდებული ინფორმაციიდან ასევე ირკვევა, რომ ამ მუნიციპალიტეტში შექმნილია დასახლების საერთო კრება,[395] თუმცა, ბათუმის მსგავსად, აქაც არცერთი სხდომა არ გამართულა და მხოლოდ ფურცელზე არსებობს.

ზუგდიდის საკრებულოდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით, 2019 წლიდან ყოველწლიურად ტარდება დასახლების საერთო კრება და იმართება ამომრჩევლებთან კონსულტაცია.[396]

რაც შეეხება დედაქალაქს, თბილისის მერიიდან მიღებული პასუხები არ შეიცავდა ინფორმაციას დასახლების საერთო კრების შექმნის შესახებ. ამგვარი ფაქტი არც საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან იკვეთება. შესაბამისად, სავარაუდოა, რომ 2022 წელს

[387] იქვე, 45-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი. 85-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.
[388] იქვე, 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.
[389] იქვე, 51-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.
[390] იქვე, 87-ე მუხლის მე-4 პუნქტი.
[391] იქვე, 85^2-ე მუხლი.
[392] იქვე.
[393] ბათუმის საკრებულოს 2022 წლის 13 ოქტომბრის №15-152228610 და 18 ოქტომბრის №15-15222915 წერილები.
[394] გორის საკრებულოს 2022 წლის 27 აპრილის №21-21221176 წერილი; გორის მერის 2022 წლის 16 მაისის №20-2022136163 წერილი.
[395] რუსთავის საკრებულოს 2022 წლის 14 დეკემბრის №01-382234859 წერილი.
[396] ზუგდიდის საკრებულოს 2022 წლის 16 აგვისტოს №25-25222288 წერილი.

თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით დასახლების საერთო კრება არ შექმნილა. ეს ორგანო არ ჩამოყალიბებულა არც ოზურგეთში, დუშეთში, თელავსა და ქუთაისში.

პეტიცია

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით, პეტიციის სახით საკრებულოს შეიძლება წარედგინოს:

ა) ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი;

ბ) მოსამზადებელი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის ძირითადი პრინციპები ან კონკრეტული წინადადებები;

გ) მუნიციპალიტეტისა ან/და დასახლებისთვის საერთო მნიშვნელობის პრობლემებიდან გამომდინარე საკითხების მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე შესწავლის, განხილვისა და გადაწყვეტის მოთხოვნა.[397]

პეტიციის წარდგენის უფლება აქვთ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 1%-ს, ასევე საერთო კრებას.[398] მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია, პეტიციის წარდგენის უფლება მიანიჭოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა უფრო ნაკლებ რაოდენობას.[399] განსახილველი საკრებულოებიდან მხოლოდ ოზურგეთის საკრებულოს რეგლამენტი ითვალისწინებს 1%-ზე ნაკლები ამომრჩევლისთვის პეტიციის წარდგენის შესაძლებლობას. კერძოდ, ელექტრონული პეტიციის შეტანის უფლება აქვს თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 0.5%-ს.[400]

2021 წლის მოწვევის საკრებულოების 13 თვის საქმიანობის პერიოდში პეტიცია არ დარეგისტრირებულა თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, დუშეთის, რუსთავისა[401] და თელავის საკრებულოებში.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დარეგისტრირდა პეტიცია „ბოტანიკურ ბაღში შესვლა, დათვალიერება და მისით სარგებლობა საქართველოს მოქალაქეებისთვის გახდეს უფასო“.[402] ეს ინიციატივა არ დაკმაყოფილდა ნორმატიული აქტის გამოცემის ნაწილში, ხოლო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიას და ა(ა)იპ „ბოტანიკური ბაღების მართვის ცენტრს“ მიეცა რეკომენდაცია, განიხილონ ეს საკითხი. ამავე საკრებულოში დარეგისტრირდა კიდევ ერთი პეტიცია „ქალაქ ზუგდიდში, დავით ჯიქიას ქუჩაზე, დავით ჯიქიას I, II და III შესახვევებში და ბორჯომის ქუჩის I და II შესახვევებში გზის საფარის მოასფალტება და სანიაღვრე არხების მოწყობა“. ამასთან დაკავშირებით საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ საავტომობილო გზისა და სანიაღვრე არხების რეაბილიტაციისთვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მომზადდეს 2022-2023 წლებში, ხოლო სამშენებლო სამუშაოები გათვალისწინებული იყოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტსა ან სხვა ფონდების მიერ დაფინანსებულ პროექტებში გონივრულ ვადებში.[403]

[397] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, 86-ე მუხლის მე-4 პუნქტი.
[398] იქვე, 1-ლი პუნქტი.
[399] იქვე, მე-2 პუნქტი.
[400] ოზურგეთის საკრებულოს რეგლამენტი, 94-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.
[401] ვინაიდან არ არსებობდა შესაბამისი ბლანკი და ხელმოწერების შეგროვების პროცედურები, რუსთავის საკრებულომ 27 ივლისს დაამტკიცა აქტი საკრებულოში პეტიციის წარმდგენი ამომრჩევლების სიის ბლანკის, პეტიციის ფორმის (პეტიციის წარდგენის (განხილვის) თაობაზე წარსადგენი განცხადების) და პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადების რეგისტრაციის მოწმობის დამტკიცების შესახებ.
[402] ზუგდიდის საკრებულოს 2022 წლის 4 მაისის №25-25221248 წერილი.
[403] ზუგდიდის საკრებულოს 2022 წლის 5 აგვისტოს №12 სხდომის ოქმი.

ზუგდიდის საკრებულოში 2022 წლის ბოლო კვარტალში დარეგისტრირდა კიდევ 3 პეტიცია. საკრებულოს ცნობით, აქედან ერთი დაკმაყოფილდა - „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ორსანტიის ადმინისტრაციულ ერთეულში (კ. გამსახურდიას, ზუგდიდის, ენგურის და თამარ მეფის ქუჩებზე) გზის საფარის მოასფალტება და სანიაღვრე არხის მოწყობა“, ორი კი განხილვის ეტაპზეა - „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ენგურის ადმინისტრაციულ ერთეულში (სახოკიას და გუბაზ მეფის ქუჩაზე) გზის საფარის მოასფალტება და სანიაღვრე არხის მოწყობა“; „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირში ვეკუას ქუჩაზე წყლის გაყვანა, წყალარინების ქსელის გაყვანა, გზის საფარის მოასფალტება და სანიაღვრე არხის მოწყობა“.[404]

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დარეგისტრირდა პეტიცია „ბაღის ბავშვების ტრანსპორტირება“, თუმცა მან საჭირო რაოდენობის ხელმოწერა ვერ დააგროვა.[405] საანგარიშო პერიოდში ამ საკრებულოში დარეგისტრირდა კიდევ ერთი პეტიცია, „სოფელ ნაღობილევის სასმელი წყლით უზრუნველყოფის“ შესახებ,[406] რომელიც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში გაიგზავნა.[407] მერიას მიეწოდა ასევე პეტიცია „ოზურგეთს დაუბრუნდეს წარწერა ,,მამული ენა სარწმუნოება“ გმირთა მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე“. მისი განხილვის შედეგად, ოზურგეთის ურბანული განახლების სამუშაოების ფარგლებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსდა ოზურგეთში, ფარნავაზ მეფის ქუჩაზე მდებარე 12-სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის ფასადის განახლების სამუშაოები და მასზე განთავსდა ბანერი, ასევე, შესრულდა გრაფიკული ნახატი, ხედით - გმირთა მოედნის მხარეს.[408]

2022 წლის 18 აპრილს გორის საკრებულოს ვებგვერდზე გამოქვეყნდა მოქალაქეთა პეტიცია „მიღებულ იქნას ეფექტიანი და ჰუმანური ზომები ქ. გორში, უპატრონო ძაღლების პრობლემის გადასაჭრელად”.[409] იმის გამო, რომ ხმათა საჭირო რაოდენობა ვერ შეგროვდა, პეტიცია არ განხილულა.[410] 2 აგვისტოს საკრებულოს ვებგვერდზე დარეგისტრირდა „იძულებით გადაადგილებულ ქალთა ორგანიზაცია - თანხმობის“ წარმომადგენლის პეტიცია „გახდეს მუნიციპალური ტრანსპორტით გადაადგილება ხელმისაწვდომი გორში მცხოვრები ხანდაზმულებისთვის!” 1 თვის განმავლობაში პეტიციამ მხოლოდ 475 ხელმოწერა მოაგროვა, ნაცვლად, საჭირო 1120-ისა, ამიტომ, მისი განხილვაც არ დაწყებულა.[411]

მოქალაქეთა ინიციატივით საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევა

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით, საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის ერთ-ერთი საფუძველია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 1%-ის მოთხოვნა.[412] საანგა-

[404] ზუგდიდის საკრებულოს 2023 წლის 31 იანვრის №25-252303121 წერილი.

[405] ოზურგეთის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს №37-37222211 წერილი. იხ. ოზურგეთის საკრებულოს პეტიციების ვებგვერდი: http://petition.lsg.ge/ozurgeti/petitions/view/36, განახლებულია: 31.03.2023.

[406] პეტიცია „სოფელ ნაღობილევის სასმელი წყლით უზრუნველყოფა“, ოზურგეთის საკრებულოს პეტიციების გვერდი, ხელმისაწვდომია: http://petition.lsg.ge/ozurgeti/petitions/view/66, განახლებულია: 31.03.2023.

[407] ოზურგეთის საკრებულოს 2022 წლის 12 ოქტომბრის №37-37222853 წერილი.

[408] პეტიცია „მამული, ენა, სარწმუნოება“, საკრებულოს პეტიციების ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: http://petition.lsg.ge/ozurgeti/petitions/view/67, განახლებულია: 31.03.2023.

[409] გორის საკრებულოს 2022 წლის 6 ოქტომბრის №21-21222794 წერილი.

[410] გორის საკრებულოს აპარატის 2022 წლის 20 ივნისის №21-212217119 წერილი.

[411] პეტიცია „გახდეს მუნიციპალური ტრანსპორტით გადაადგილება ხელმისაწვდომი გორში მცხოვრები ხანდაზმულებისთვის!“, საკრებულოს პეტიციების ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3TZIfS2, განახლებულია: 31.03.2023.

[412] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.

რიშო პერიოდში მოქალაქეების მოთხოვნით არცერთ საკრებულოში რიგგარეშე სხდომა არ მოუწვევიათ, ასეთი ინიციატივის არარსებობის გამო.

დღის წესრიგის, სხდომის ოქმისა და სხდომის ჩატარების თაობაზე ინფორმაციის გამოქვეყნება

მოქალაქეთა ჩართულობაზე არსებით გავლენას ახდენს პროცედურა, თუ როგორ და რა ვადებში აქვეყნებს საკრებულო თავისი სხდომების შესახებ ინფორმაციას, ასევე დღის წესრიგებსა და სხდომების ოქმებს. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით, მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებულნი არიან, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად მიიღონ შესაბამისი ზომები თავიანთი საქმიანობისა და ჩართულობის მექანიზმების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებისთვის.[413] გარდა ამისა, მათ კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით უნდა გამოაქვეყნონ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, მათი პროექტები და სხვა საჯარო ინფორმაცია, ასევე, კოდექსით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, საჯაროდ უნდა განათავსონ ან/და გამოაცხადონ საკრებულოს, კომისიისა და ბიუროს, აგრეთვე მთავრობის სხდომების ოქმები, შესაბამისი სხდომის გამართვიდან 10 დღის ვადაში. მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია, შესაბამისი გადაწყვეტილებით გააფართოოს სავალდებულოდ გამოსაქვეყნებელი, საჯაროდ გამოსაცხადებელი ან/და პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხა.[414]

თბილისის წარმომადგენლობითი ორგანოს რეგლამენტის მიხედვით, საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება სხდომის ჩატარების შესახებ, მისი ადგილის, დროისა და დღის წესრიგის მითითებით, ერთი კვირით ადრე საჯარო გაცნობისთვის გამოეკვრება საკრებულოს შენობაში, ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილას და განთავსდება ამ ორგანოს ოფიციალურ ვებგვერდზე.[415] აქვე ქვეყნდება საკრებულოსა და კომისიების სხდომების ჩატარების თარიღის შესახებ ინფორმაციაც.[416] თუმცა, არ იტვირთება განსახილველი პროექტები, რის გამოც, დაინტერესებულ პირებს არ აქვთ შესაძლებლობა, სხდომის გამართვამდე გაეცნონ დაგეგმილ ნორმატიულ სიახლეებს.

თბილისის საკრებულოში პრობლემური იყო სხდომის თარიღის ჩანიშვნისა და დღის წესრიგის გამოქვეყნების საკითხი. დედაქალაქის წარმომადგენლობით ორგანოში 2021 წლის დეკემბერსა და 2022 წელს სულ 20 სხდომა გაიმართა, აქედან 19 - რიგგარეშე, 1 კი - მორიგი ფორმატის. ამის მიზეზი იყო სხდომების ჩანიშვნა და დღის წესრიგების გამოქვეყნება სხდომამდე 1 ან 2 დღით ადრე. ამ პრობლემაზე დეპუტატებმა არაერთხელ მიუთითეს და გამოვიდნენ ინიციატივით, საკრებულოს სხდომები გაიმართოს კვირაში ერთხელ, რათა არ დაგროვდეს საკითხები და სრულყოფილად მოხერხდეს როგორც სამართლებრივი აქტების განხილვა, ისე მერიაზე ეფექტიანი ზედამხედველობა. საკრებულოსა და კომისიის სხდომების დღის წესრიგების გონივრული დროით ადრე გამოქვეყნებას არსებითი მნიშვნელობა აქვს, რათა საკრებულო წევრებმაც და მოქალაქეებმაც სხდომამდე სრულყოფილად შეისწავლონ და გააანალიზონ განსახილველი საკითხები. გარდა ამისა, მოქალაქეებს საშუალება ექნებათ, წინასწარ განსაზღვრონ, რამდენად მნიშვნელოვანია კონკრეტული საკითხი მათთვის და ამის მიხედვით გადაწყვიტონ, დაესწრონ თუ არა მის

[413] იქვე, 85[1]-ე მუხლი.
[414] იქვე, 85[1]-ე მუხლის მე-3 პუნქტი.
[415] თბილისის საკრებულოს რეგლამენტი, 54-ე მუხლი.
[416] იხ. თბილისის საკრებულოს ვებგვერდი.

განხილვას. **საიას რეკომენდაციაა, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგები 7 დღით ადრე სავალდებულო წესით გამოქვეყნდეს საკრებულოს ვებგვერდზე, ხოლო რიგგარეშე სხდომა გაიმართოს ამ დღის წესრიგის მიღმა დამატებითი საკითხის არსებობის შემთხვევაში.**

ბათუმის საკრებულოს სხდომების შესახებ ინფორმაცია, დღის წესრიგთან ერთად, 7 დღით ადრე თავსდება საკრებულოს ვებგვერდზე. დღის წესრიგში დეტალურადაა მოცემული განსახილველი საკითხები. ვებგვერდზე ქვეყნდება ასევე დადგენილებების/განკარგულებების პროექტები[417] და სხდომების ოქმები.[418] ამასთანავე, ხდება საკრებულოს სხდომების აუდიო-ვიდეო ჩაწერა.[419] ბათუმის საკრებულოში სხდომების შესახებ ინფორმაციის ამგვარი პროაქტიული გამოქვეყნების წესი კარგ პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს.

ბათუმის მსგავსად, თელავის საკრებულოს სხდომების შესახებ ინფორმაცია, დღის წესრიგთან ერთად, 7 დღით ადრე თავსდება საკრებულოს ვებგვერდზე. დღის წესრიგში დეტალურადაა მოცემული განსახილველი საკითხები. შეხვედრის დასრულების შემდეგ მოკლე ვადაში იტვირთება ასევე სხდომის ვიდეოჩანაწერი და ოქმი. გარდა ამისა, ვებგვერდზე ქვეყნდება ინფორმაცია კომისიების სხდომების შესახებ თავისი ოქმებით, თუმცა გაუმართავია დოკუმენტების საძიებო სისტემა.[420]

ქუთაისის საკრებულოს რეგლამენტის მიხედვით, დადგენილებებისა და განკარგულებების პროექტები საკრებულოს სხდომაზე განიხილება, თუ დღის წესრიგშია შეტანილი.[421] ცნობა ქუთაისის საკრებულოს მორიგი სხდომის ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის თაობაზე უნდა გამოქვეყნდეს სხდომის ჩატარებამდე 7 დღით ადრე მაინც.[422] ამის მიუხედავად, ეს დანაწესი, ფაქტობრივად, ფორმალურ ხასიათს ატარებს, ვინაიდან საკრებულოსა და კომისიის მორიგი სხდომის გამართვის შესახებ ინფორმაცია, ძირითადად, წინა დღეს ცხადდება, რაც არ არის მისასალმებელი პრაქტიკა. ამასთანავე, ვებგვერდზე არ არის ატვირთული სხდომების ოქმები და მათი მიღება დაინტერესებულ პირს მხოლოდ მატერიალურად გამოთხოვნის შემთხვევაში შეუძლია. ანალოგიურად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო Facebook-გვერდზე აქვეყნებს საკრებულოს სხდომების ჩატარების თაობაზე ინფორმაციას, თუმცა - ძირითადად, ერთი დღით ადრე. ამასთანავე, აქ არ არის განთავსებული საანგარიშო პერიოდის შესაბამისი სხდომების ოქმები. რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოც სხდომის ჩატარების თარიღის შესახებ ინფორმაციას Facebook-გვერდზე აქვეყნებს. აქვე იდება განსახილველ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებები, საკრებულოს ვებგვერდი კი არ ფუნქციონირებს. შესაბამისად, ოქმებისა ან დღის წესრიგების მიღება მოქალაქეს მხოლოდ მოთხოვნის შემთხვევაში შეუძლია.

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო სხდომების ჩატარების თარიღს ვებგვერდზე წინასწარ არ აქვეყნებს და ეს არც რეგლამენტითაა ერთმნიშვნელოვნად მოთხოვნილი. ინფორმაცია საკრებულოს შენობაში იკვრება საჯაროდ, თუმცა ეს წესი ვერ უზრუნველყოფს სხდომებში მოქალაქეების ჩართულობას. მონიტორინგით გამოიკვეთა, რომ საკრებულოს წევრებიც სხდომის წინა დღეს იგებენ მისი გამართვის თაობაზე და განსა-

[417] იხ. მაგალითად, მიმდინარე სხდომების ანონსი: ხელმისაწვდომია: https://bit.ly/43kCSkB, განახლებულია: 31.03.2023.

[418] ბათუმის საკრებულოს სხდომების ოქმები, საკრებულოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3zMlpUT, განახლებულია: 31.03.2023.

[419] ბათუმის საკრებულოს 2023 წლის 31 იანვრის №15-15230319 წერილი.

[420] იხ. თელავის საკრებულოს ვებგვერდი: https://telavi.gov.ge/ge/documents, განახლებულია: 11.04.2023.

[421] ქუთაისის საკრებულოს რეგლამენტი, 55-ე მუხლი.

[422] იქვე, 47-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

ხილველი მასალებიც ამ დროს ეგზავნებათ, რაც ცუდი პრაქტიკაა. აქვე აღსანიშნავია, რომ სხდომების ოქმებს საკრებულო ვებგვერდზე აქვეყნებს.[423]

ოზურგეთის საკრებულოს რეგლამენტით, აპარატი ვალდებულია, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე პროაქტიულად გამოაქვეყნოს ინფორმაცია დღის წესრიგებისა და სხდომების ჩატარების თაობაზე, ხოლო ოქმები ატვირთოს 10 დღის ვადაში.[424] ამ ვალდებულებას საკრებულოს აპარატი ასრულებს. ამასთანავე, დაინტერესებულ პირებს, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში, მისდით მოკლე ტექსტური შეტყობინება საკრებულოს, ბიუროსა და კომისიის სხდომების გამართვის შესახებ. რაც შეეხება ნორმატიული აქტების პროექტებს, ისინი ქვეყნდება საკრებულოს ვებგვერდზე ან/და ადგილობრივ გაზეთში, საკრებულოს აპარატში რეგისტრაციიდან 5 დღის ვადაში. ოზურგეთის საკრებულოს ამგვარი პრაქტიკა საუკეთესოდ შეიძლება შეფასდეს.

გორის საკრებულოს რეგლამენტითაც ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების ამგვარივე წესია დადგენილი.[425] ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულია მიღებული გადაწყვეტილებები და ანგარიშები,[426] თუმცა არ არის ატვირთული სხდომების ოქმები. ამის მიუხედავად, საიამ უმოკლეს ვადაში მიიღო მოთხოვნილი დოკუმენტაცია, რასაც ორგანიზაცია დადებითად აფასებს. რაც შეეხება სხდომების თაობაზე ინფორმაციას, საკრებულო მას Facebook-გვერდზე აქვეყნებს სხდომამდე, სულ მცირე, 5 დღით ადრე (გარდა რიგგარეშე სხდომებისა, რომელთა შესახებ ცნობა წინა დღეს ვრცელდება).

საკრებულოს სხდომებში მოქალაქეთა მონაწილეობა

საკრებულოსა და კომისიების სხდომებში მოქალაქეთა მონაწილეობას არეგულირებს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და საკრებულოების რეგლამენტები. ნებისმიერ პირს უფლება აქვს, კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში და დადგენილი წესით, შეუზღუდავად ისარგებლოს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის ფორმებით.[427] მათ შორის, ერთ-ერთი ფორმაა საკრებულოსა და კომისიის სხდომაში მონაწილეობა.

კოდექსის მიხედვით, საკრებულოსა და კომისიის სხდომა საჯაროა, გარდა, კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო სხდომებზე დამსწრე პირებს უფლება აქვთ, წინასწარი ნებართვის გარეშე, მაგრამ მხოლოდ სხდომის თავმჯდომარის თანხმობით, საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით, დაუსვან შეკითხვები მომხსენებელს და თანამომხსენებელს, გააკეთონ განმარტება და განცხადება, წარადგინონ ინფორმაცია.[428] კომისიის საჯარო სხდომებზე დასწრების მსურველთათვის სხდომათა დარბაზში გამოყოფილი უნდა იყოს ადგილი, ხოლო, თუ მსურველთა რაოდენობა აღემატება მათთვის განსაზღვრული ადგილების რაოდენობას, მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი იყენებს მის ხელთ არსებულ ტექნიკურ საშუალებებს, რათა მოქალაქეებს მიეცეთ სხდომის მსვლელობის მოსმენის შესაძლებლობა.[429]

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ ამ მხრივ საკრებულოებში არსებობს ტექნიკური სირთულეები და დაბრკოლებები სხდომებში მოქალაქეთა სრულფასოვანი მონაწილეობისთვის.

---

[423] დუშეთის საკრებულოს ვებგვერდი, https://bit.ly/3M7GGPY, განახლებულია: 11.04.2023.
[424] ოზურგეთის საკრებულოს რეგლამენტი, 135-ე მუხლი.
[425] გორის საკრებულოს რეგლამენტი, 135-ე მუხლი.
[426] იხ. გორის საკრებულოს ვებგვერდი, https://bit.ly/3Mz6ZyR, განახლებულია: 11.04.2023.
[427] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, 85-ე მუხლის მე-2 პუნქტი.
[428] იქვე, 87-ე მუხლი.
[429] იქვე.

თბილისის საკრებულოს რეგლამენტის მიხედვით, სხდომათა დარბაზის აივანზე, მარჯვნივ, ადგილს იკავებენ კანონით დადგენილი წესით დასწრების მსურველი პირები.[430] საკრებულოს სხდომები ღიაა, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამასთანავე, დახურულ სხდომაზე დამსწრე პირთა ნუსხას განსაზღვრავს საკრებულო, ხოლო სხდომის მსვლელობას ორგანიზაციულად უზრუნველყოფს მისი აპარატი.[431] თბილისის საკრებულოში მოქალაქეთა დასწრებისთვის გათვალისწინებულია იარუსზე არსებული სივრცე. ამავე სივრცეს იყენებენ მედიის წარმომადგენლებიც. მიუხედავად იმისა, რომ იარუსიდან შესაძლებელია უშუალოდ სხდომაზე დაკვირვება, იქ მოქალაქეთათვის არ დგას საკმარისი რაოდენობის სკამი (მხოლოდ 2 ან 3). დამსწრე პირი იძულებულია, ფეხზე იდგეს და ისე უყუროს რამდენიმესაათიან სხდომას.

ტექნიკურად გაუმართავი იყო საკრებულოზე დასწრებისთვის ნებართვის მოპოვება. საკრებულოს სხდომაზე დასასწრებად მოქალაქე ვალდებულია, წინასწარ წერილი გაგზავნოს (ან ადგილზე დაარეგისტრიროს) საკრებულოში. ერთ შემთხვევაში შესვლაზე (თავდაპირველად) პრობლემა შეექმნა საიას იმის გამო, რომ აპარატმა ვერ იპოვა ორი დღით ადრე საკრებულოს საიტზე მითითებულ მეილზე გაგზავნილი განცხადება. იმის გათვალისწინებით, რომ საკრებულოს სხდომის თაობაზე ინფორმაცია ქვეყნდება 2 დღით ადრე, ხოლო დღის წესრიგი - 1 დღით ადრე, მოქალაქისთვის ნაკლებად მოსახერხებელია წინა დღით საკრებულოში ფიზიკურად მისვლა და დასწრების თაობაზე განცხადების წარდგენა. ელექტრონული ფორმით გაგზავნა კი ტექნიკურ გაუმართაობასთან არის დაკავშირებული. ეს ყველაფერი ხელს უშლის საზოგადოების ჩართვას საკრებულოს საქმიანობაში. **რეკომენდებულია, რომ თბილისის საკრებულოს სხდომაზე დასწრება უფრო გამარტივდეს და მოქალაქეს შენობაში შესვლა ზედმეტი ბიუროკრატიული წესებით არ შეეზღუდოს.**

თბილისის საკრებულოს კომისიების სხდომაც საჯაროა, თუმცა კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში ის შეიძლება დაიხუროს, რის შესახებაც გადაწყვეტილება მიიღება კომისიის სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. ამასთანავე, მასზე დასწრება შეუძლია ნებისმიერ მსურველს, რომელთაც, სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, მიეცემათ სიტყვით გამოსვლის უფლება.[432] თბილისის საკრებულოს კომისიების სხდომის ოქმებიდან არ იკვეთება მოქალაქეთა დასწრებისა ან მათი მხრიდან შეკითხვების დასმის შემთხვევები. საკრებულოდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, საკრებულოსა და კომისიების სხდომებზე დასწრების მოთხოვნით დარეგისტრირდა 121 განცხადება (აქედან 2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით - მხოლოდ 15, ხოლო ოქტომბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში - 106).[433] საიას განცხადების საფუძველზე, ეს მონაცემები არ მოიცავს ჟურნალისტების რაოდენობას.

გარდა სხდომაზე დასწრებისა, მოქალაქეებს უფლება აქვთ, დადგენილი წესით დასვან კითხვები და გამოთქვან მოსაზრებები. თბილისის საკრებულოს სხდომის ოქმების მიხედვით, ამგვარი აქტივობა არ იკვეთება.

საანგარიშო პერიოდში რამდენიმე მუნიციპალიტეტში არსებობდა სპეციალური სამართლებრივი აქტი, რომელიც არეგულირებდა ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით სხდომებზე დასწრების სპეციალურ წესებს. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ 2020 წელს გამოსცა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებ-

[430] თბილისის საკრებულოს რეგლამენტი, მე-4 მუხლის მე-8 პუნქტი.
[431] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, 31-ე მუხლი.
[432] თბილისის საკრებულოს რეგლამენტი, 28-ე მუხლი.
[433] თბილისის საკრებულოს 2022 წლის 19 ოქტომბრის №03-032229211 და 2023 წლის 26 იანვრის №03-032302638 წერილები.

რივი აქტი ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მსოფლიო პანდემიად აღიარებული ახალი კორონავირუსის (covid-19) თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში გავრცელების თავიდან აცილების მიზნით. ამ აქტით, გარდა სხვა ღონისძიებებისა, განისაზღვრა საკრებულოს სხდომაზე პირთა დასწრების ორგანიზაციული საკითხები. საკრებულომ ეს აქტი საიას განმეორებით მიმართვის შემდეგაც არ მიაწოდა.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით გაწერილია სხდომების დისტანციურად ჩატარების წესიც,[434] რომლის თანახმად, ამგვარი ფორმით სხდომა შეიძლება გაიმართოს საკრებულოს თავმჯდომარის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, გორის საკრებულოს ერთი სხდომა დისტანციურ რეჟიმში ჩატარდა. საკრებულოს თავმჯდომარის 2022 წლის 10 თებერვლის ბრძანებით განისაზღვრა სხდომის დისტანციურად გამართვის ფორმა და დრო, თუმცა არ დაკონკრეტდა, რომელი საკომუნიკაციო საშუალება იქნებოდა გამოყენებული.[435] ასეთ სხდომებზე მოქალაქეთა დასწრება შესაძლებელი იყო, თუკი ამის შესახებ წინასწარ აცნობებდნენ საკრებულოს. 2022 წლის 11 თებერვლის სხდომაზე არ იყო მოწესრიგებული დისტანციურ რეჟიმში ხმის მიცემის პროცედურა, შესაბამისად, არ იკვეთებოდა ინდივიდუალურად ხმის მიცემის შესაძლებლობა. გორის საკრებულოს სხდომების ოქმებში არ ფიქსირდება მოქალაქეთა ჩართულობისა და გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის შემთხვევები. ისინი სრულად არ ასახავს საზოგადოების მიერ მოსაზრებების წარმოდგენისა და მათზე მსჯელობის დინამიკას. ოქმები შეიცავს მხოლოდ დამსწრეთა რაოდენობას, განსახილველ საკითხებს და რომელი მათგანი ხმათა რა რაოდენობით დამტკიცდა. ზოგ შემთხვევაში ასევე არ ჩანს კითხვა-პასუხის პროცედურა.

ქუთაისის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, საკრებულო და მისი ორგანოები უფლებამოსილნი იყვნენ, სხვადასხვა ვითარების გამო, ქვეყანაში შექმნილი საგანგებო მდგომარეობის არსებობისას, მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე, სხდომები დისტანციურ რეჟიმში ჩაეტარებინათ.[436] 2021 წლის დეკემბრიდან დეპუტატები, როგორც საკრებულოს, ისე კომისიების სხდომებზე, იყენებდნენ დისტანციურად, zoom პლატფორმის მეშვეობით მონაწილეობის შესაძლებლობას (თუმცა, სხდომა სრულად დისტანციურ ფორმატში არ ჩატარებულა).

ბათუმის საკრებულოს შენობაში მიმდინარე რემონტის გამო, სხდომები აგვისტომდე ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში იმართებოდა. მართალია, ისინი პირდაპირი ჩართვის რეჟიმში არ გადაიცემოდა, თუმცა დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოფილი იყო დასწრების შესაძლებლობა. მოქალაქეებს, საკრებულოს თავმჯდომარის თანხმობით, ჰქონდათ კითხვის დასმის/მოსაზრების გამოთქმის საშუალება. 22 აგვისტოს შემდეგ სხდომები უკვე საკრებულოს შენობაში ტარდებოდა, თუმცა იქ არ იყო საკმარისი სივრცე მოქალაქეთა დასასწრებად და არ იდგა საჭირო რაოდენობის სკამი.[437] იმავდროულად, სხდომა არ გადაიცემოდა პირდაპირი ჩართვის რეჟიმში, სანამ ეს ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებმა არ გააპროტესტეს.[438] გარდა ამისა, ბათუმის საკრებულოს 2022 წლის 29 სექტემბრის სხდომას, სურვილის მიუხედავად, მოქალაქეები ვერ დაესწრნენ.[439] მათ საშვთა ბიუროში განუმარტეს, რომ განცხადება წინა დღით უნდა

[434] გორის საკრებულოს რეგლამენტი, 47[1]-ე მუხლი.
[435] გორის საკრებულოს თავმჯდომარის 2022 წლის 10 თებერვლის №ბ21.21220411 ბრძანება.
[436] ქუთაისის საკრებულოს რეგლამენტი, მე-7 მუხლის მე-5[1] პუნქტი.
[437] იხ. ფოტო ბათუმის საკრებულოს 2022 წლის 22 აგვისტოს სხდომის ოქმიდან, ბათუმელები, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ZxsmTV, განახლებულია: 31.03.2023.
[438] ბათუმის საკრებულოს 2022 წლის 22 აგვისტოს №4 სხდომის ოქმი.
[439] „რატომ არ შეუშვეს მოქალაქეები ბათუმის საკრებულოს სხდომაზე“, ბათუმელები/ნეტგაზეთი, 2022 წლის 29 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3U0Z5zW, განახლებულია: 31.03.2023.

დაეწერათ, ასე რომ, შეზღუდული ადგილების გამო, სხდომაზე ვერ შეუშვებდნენ. აღსანიშნავია, რომ 2021 წლის მოწვევის საკრებულოში წევრთა რაოდენობა 10-ით გაიზარდა, თუმცა სხდომები ისევ იმ დარბაზში ტარდება, რაც ქმნის მოქალაქეთათვის თავისუფალი ადგილების პრობლემას. ამასთან დაკავშირებით ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ გარეთ დიდ მონიტორს დაამონტაჟებდნენ და ყველას ექნებოდა შესაძლებლობა, საკრებულოს სხდომისთვის თვალი ედევნებინა. ამას მოქალაქეების/აქტივისტების მხრიდან პროტესტი მოჰყვა. მათი აზრით, ეს ვერ უზრუნველყოფდა მათ სათანადო ჩართულობას საკრებულოს მუშაობაში. საანგარიშო პერიოდში ბათუმის საკრებულოსა და კომისიების სხდომებზე დასწრება 52-მა მოქალაქემ ითხოვა.[440]

ოზურგეთის საკრებულოს სხდომათა დარბაზიც პატარაა. მიმდინარეობს მსჯელობა, რომ შენობაში შესაბამისი სივრცე გამოიყოს და გარემონტდეს, მაგრამ ჯერჯერობით ქმედითი ნაბიჯები არცერთი მოწვევის საკრებულოს არ გადაუდგამს. გარდა ამისა, პანდემიის პერიოდში სხდომათა დარბაზი ვერ აკმაყოფილებდა კანონის მოთხოვნებს. თავად საკრებულოს წევრებიც კოვიდ-რეგულაციების დარღვევით ისხდნენ. **მისასალმებელია, რომ ამ საკრებულოში სხდომაზე დასასწრებად წინასწარ წერილით მიმართვა და შეთანხმება საჭირო არ არის.** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის საჯარო სხდომებზე დასწრების მსურველთათვის დარბაზში გამოყოფილია ადგილი, მაგრამ ის პატარაა და ვერ იტევს დაინტერესებულ პირებს, თუ მათი რაოდენობა 10-ს აჭარბებს (მათთვის მხოლოდ 12 სკამია გამოყოფილი). არის შემთხვევები, როცა მოქალაქეებს ფეხზე უწევთ დგომა.

ამ საკრებულოს რეგლამენტის მიხედვით, თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ ამომრჩეველს, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ორგანიზაციების, იურიდიული პირების და მოქალაქეთა ჯგუფების წარმომადგენლებს უფლება აქვთ, გამოვიდნენ მომხსენებლად ან თანამომხსენებლად, აგრეთვე, მონაწილეობა მიიღონ საკრებულოს, ბიუროს, კომისიის, დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომებზე საკითხის განხილვის დებატებში. ამ უფლების გამოსაყენებლად, მათ სხდომამდე 2 დღით ადრე მაინც, წერილობით უნდა მიმართონ საკრებულოს აპარატს.[441]

ოზურგეთის საკრებულოს სხდომის ოქმებში ფიქსირდება სხდომის მიმდინარეობისას მოქალაქეთა მიერ დასმული კითხვები ან მოსაზრებები. 7 სექტემბრის სხდომაზე განსახილველ ერთ-ერთ საკითხზე - „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალური მიზნის მქონე პროექტების თანადაფინანსების პროგრამის განხორციელების შესახებ“ - არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს დემოკრატიული კავშირის“ წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამ დადგენილების თანაავტორები არიან. მისი თქმით, მისასალმებელია, რომ ის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის მხარდაჭერით ხორციელდება და, თანაც, პირველად ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, ქვეყნის მასშტაბით.[442] საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თქმით, ამ საკითხზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისას აღნიშნულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ წარმოადგინა მნიშვნელოვანი წინადადებები, რომლებიც საკრებულომ გაითვალისწინა. 30 მაისის სხდომაზე საკითხების განხილვის დასრულების შემდეგ სოფელ ბახვის მაცხოვრებელმა ბახვის ცენტრში არსებული პარკის ღობის დაზიანებაზე ისაუბრა და ამასთან დაკავშირებით დახმარება ითხოვა.[443] ამავე საკრებულოს 5 ოქტომბრის სხდომის დახურვის შემდეგ განცხადება გაა-

[440] ბათუმის საკრებულოს 2022 წლის 13 ოქტომბრის №15-152228610 და 2023 წლის 31 იანვრის №15-15230319 წერილები.
[441] ოზურგეთის საკრებულოს რეგლამენტი, 118-ე მუხლი.
[442] ოზურგეთის საკრებულოს 2022 წლის 7 სექტემბრის №13 სხდომის ოქმი.
[443] ოზურგეთის საკრებულოს 2022 წლის 30 მაისის №9 სხდომის ოქმი.

კეთა სოფელ ბახვში მცხოვრებმა და აღნიშნა, რომ 5 თვეა, მუნიციპალიტეტის სერვისცენტრიდან გაუგებარი მიზეზით გაათავისუფლეს და ხელფასს არ უხდიან. ამის საპასუხოდ ვრცლად ისაუბრა ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ თავისი პარტიის 10-წლიანი მუშაობის დამსახურებასა და „ნაციონალური მოძრაობის“ ხელის შემშლელ პოლიტიკაზე, მაგრამ მოქალაქის კითხვაზე პასუხი არ გაცემულა.[444] საკრებულოს ინფორმაციით, 2021 წლის 3 დეკემბრიდან ოქტომბრამდე ოზურგეთის საკრებულოს სხდომაზე კითხვის დასმის სურვილი გამოთქვა 4-მა მოქალაქემ.[445]

ქუთაისის საკრებულოს რეგლამენტი არეგულირებს საკრებულოს, კომისიის, დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომებში მოქალაქეთა მონაწილეობის წესს. ნებისმიერ დამსწრე პირს წინასწარი ნებართვის გარეშე, მაგრამ მხოლოდ სხდომის თავმჯდომარის თანხმობით, უფლება აქვს, რეგლამენტით დადგენილი სიტყვით გამოსვლის ხანგრძლივობის დაცვით, დასვას შეკითხვები მომხსენებელთან და თანამომხსენებელთან, გააკეთოს განმარტება, განცხადება ან მიმართვა. თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ ამომრჩეველს, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ორგანიზაციების, იურიდიული პირების და მოქალაქეთა ჯგუფების წარმომადგენლებს უფლება აქვთ, გამოვიდნენ მომხსენებლად ან თანამომხსენებლად, მონაწილეობა მიიღონ საკრებულოს, კომისიის, დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომებზე საკითხის განხილვის დებატებში. ამ უფლების გამოსაყენებლად ისინი ვალდებულნი არიან, სხდომამდე 2 დღით ადრე მაინც წერილობით მიმართონ საკრებულოს აპარატს. ყველას აქვს უფლება, ვინაობის მითითებით ან მის გარეშე, საკრებულოს, ბიუროს, კომისიას, დროებით სამუშაო ჯგუფს, ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირებს წარუდგინოს საკუთარი მოსაზრება მათ უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით.[446]

საანგარიშო პერიოდში ქუთაისის საკრებულოს სხდომას დაესწრო 20 მოქალაქე. სიტყვით გამოვიდა და კითხვის დასმის უფლებით ისარგებლა 8 მათგანმა. კომისიის სხდომებზე კითხვის დასმისა ან დასწრების სურვილი მოქალაქეებს არ გამოუთქვამთ.[447] თუმცა, 28 ნოემბერს ერთ-ერთი კომისიის თავმჯდომარის მიერ ანგარიშის საჯაროდ წარდგენისას (შეხვედრა გაიმართა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში) შეკითხვა 3-მა მოქალაქემ დასვა.[448]

დუშეთის საკრებულოს დარბაზის სიმცირის გამო, მოქალაქეებს არ აქვთ სხდომებზე დასწრების შესაძლებლობა. თუმცა, როგორც მონიტორინგით გამოიკვეთა, ამ მხრივ არც ადგილობრივთა აქტიურობა შეიმჩნევა. საკრებულოს სხდომის ოქმებში არ ფიქსირდება სხდომის მიმდინარეობისას მოქალაქეებისა თუ საკრებულოს წევრების მიერ დასმული შეკითხვები. მხოლოდ მითითებულია იმ პირთა სახელი და გვარი, რომლებმაც აზრი გამოთქვეს, ყოველგვარი შინაარსის გარეშე.

რუსთავის საკრებულოს დარბაზი დიდია, მაგრამ სხდომაზე დასწრებას ყველა მსურველი ვერ ახერხებს. მიზეზი ის არის, რომ სხდომებს საკრებულოს აპარატის თანამშრომელთა უმრავლესობა ესწრება, შედეგად კი, მოქალაქეებისთვის ადგილები შეზღუდულია. ამასთანავე, ზოგჯერ სოციალურ მედიაში არ ქვეყნდება საკრებულოს, კომისიებისა და ბიუროს სხდომების დღის წესრიგები. მიუხედავად იმისა, რომ სხდომათა დარბაზი გადატვირთულია, საანგარიშო პერიოდში რუსთავის საკრებულოს არ გამოუჩენია ინიციატივა სხდომების პირდაპირი ტრანსლირების თაობაზე.

---

[444] ფაქტი გამოვლინდა მონიტორინგის შედეგად.
[445] ოზურგეთის საკრებულოს 2022 წლის 12 ოქტომბრის №37-37222853 წერილი.
[446] ქუთაისის საკრებულოს რეგლამენტი, 118-ე მუხლი.
[447] ქუთაისის საკრებულოს 2023 წლის 7 მარტის №45-45230663 წერილი.
[448] ქუთაისის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის 2023 წლის 28 ნოემბრის შეხვედრის ოქმი.

სხვების მსგავსად, არც რუსთავის საკრებულოს სხდომების ოქმებში არ არის მოცემული მოქალაქეთა კითხვები ან მოსაზრებები და ეს არც საიას მონიტორინგის დროს გამოკვეთილა. არ შეიმჩნევა ასევე მოქალაქეთა აქტიურობა. საკრებულოს სხდომაზე კითხვის დასმისა და განცხადებით მიმართვის უფლებით ისარგებლა მხოლოდ 5-მა მოქალაქემ.[449] ისინი ამისთვის ზეპირი ფორმით ითხოვდნენ ნებართვას საკრებულოს თავმჯდომარისგან და შემდგომ ასევე ზეპირად სვამდნენ შეკითხვას.

თელავის საკრებულოს შენობაში შესვლის პროცედურები მარტივია. არ არსებობს წინასწარ ჩაწერის ვალდებულება. თუმცა, შენობის შესასვლელში დამონტაჟებულია სპეციალური შემზღუდავი ბარიერები (ე.წ. ტურნიკეტები). რაც შეეხება დარბაზს, გაითვალისწინეს მოქალაქეთა რაოდენობა, დაემატა სკამები შესაძლებლობის ფარგლებში და მოქალაქეებისთვის ცალკე ადგილი გამოიყო. დღის წესრიგის განხილვის დროს მოქალაქეები მიმართავენ საკრებულოს თავმჯდომარეს და ითხოვენ განცხადების გაკეთების ნებართვას. რამდენიმე სხდომის ოქმში ფიქსირდება სხდომის მიმდინარეობისას ადგილობრივი მოსახლეობის მიერ დასმული კითხვები და მოსაზრებები. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ თავმჯდომარე დროს და ტრიბუნას მოქალაქეებს უთმობს. სხდომის მიმდინარეობის დროს კი მსურველები ხელის აწევით ითხოვენ მოსაზრების გამოთქმას, რაც ყოველთვის კმაყოფილდება. სექტემბერში თელავის საკრებულოს სხდომაზე მოქალაქის წუთით (ეს მექანიზმი კანონმდებლობის მიღმა, პრაქტიკაში დაინერგა) ისარგებლა ორმა პირმა. საკითხი უპოვართა სასადილოს ბენეფიციართა მომსახურების პრობლემებს უკავშირდებოდა. მოქალაქის კითხვები დაფიქსირდა 29 ივლისის[450] და 31 აგვისტოს[451] სხდომებზეც. თელავის საკრებულოს ამგვარი მიდგომა საუკეთესო პრაქტიკად შეიძლება შეფასდეს.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და კომისიების ღია სხდომებზე მოქალაქეებს დასწრება ყოველგვარი წინასწარი ნებართვის გარეშე შეუძლიათ. თუმცა, განმარტების, მიმართვისა ან განცხადების გასაკეთებლად მათ სხდომის თავმჯდომარის თანხმობა სჭირდებათ. 2022 წლის 22 ივნისის სხდომას ესწრებოდნენ მოქალაქეები, რომლებსაც საშუალება მიეცათ, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ კონკრეტულ პრობლემებზე ესაუბრათ. მათ მიერ წამოჭრილ საკითხებზე დეპუტატებმა იმსჯელეს და მოქალაქეს მისცეს მითითება, რა სამართლებრივი გზებით შეეძლო ამ პრობლემის მოგვარება.[452] 2022 წლის ოქტომბრამდე პერიოდში მხოლოდ ერთმა მოქალაქემ მოითხოვა კომისიის სხდომაზე დასწრება და გამოიყენა კითხვის დასმის უფლება.[453]

გორის საკრებულოში მოქალაქეების სხდომებზე დასწრება და ჩართულობა უზრუნველყოფილია. დარბაზი დიდია და, როგორც წესი, დაინტერესებულ პირებს არ აქვთ დასწრების პრობლემა. ამასთანავე, აქ ამისთვის აუცილებელი არ არის საკრებულოსთვის წინასწარ წერილის გაგზავნა. კითხვების დასმაც მოქალაქეებს თავისუფლად შეუძლიათ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ. ეს მისასალმებელი პრაქტიკაა.

[449] რუსთავის საკრებულოს 2023 წლის 18 იანვრის №39-39230184 წერილი.
[450] თელავის საკრებულოს 2022 წლის 29 ივლისის №8 სხდომის ოქმი.
[451] თელავის საკრებულოს 2022 წლის 31 აგვისტოს №9 სხდომის ოქმი.
[452] ზუგდიდის საკრებულოს 2022 წლის 22 ივნისის №8 სხდომის ოქმი.
[453] ზუგდიდის საკრებულოს 2022 წლის 18 ოქტომბრის №25-252229111 წერილი.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო არის მუნიციპალიტეტის მერის/რაიონის გამგებლის სათათბირო ორგანო. საბჭოს შემადგენლობაში შედიან მეწარმე იურიდიული პირების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები.[454]

თბილისის მუნიციპალიტეტში მრჩეველთა საბჭოების შექმნა რაიონების გამგეობების დონეზეა დეცენტრალიზებული. მიღებული ინფორმაციიდან ირკვევა, რომ საბჭო თბილისის 10 გამგეობიდან 9-შია შექმნილი. დიდუბის გამგეობამ მხოლოდ 2017-2021 წლებში შექმნილი საბჭოების შესახებ მიაწოდა საიას ინფორმაცია. განმეორებითი მოთხოვნის შემდეგ ორგანიზაციას ეცნობა, რომ 2019 წლის 30 სექტემბრის შემდეგ დიდუბის რაიონის გამგეობასთან არსებული სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა არ ჩატარებულა.[455]

დანარჩენი მრჩეველთა საბჭოები, ძირითადად, 2022 წლის პირველ 6 თვეში შეიქმნა. ყველა მათგანი განსხვავებული რაოდენობის წევრებით დაკომპლექტდა. ზოგიერთი გამგეობის საბჭოში მოქალაქეთა მისაღებად კონკურსი გამოცხადდა (სამგორი, კრწანისი, ვაკე), ზოგში გამგებელს ჰქონდა მოწვევის უფლება, უმეტესობაში კი მის შემადგენლობაში რაიონის გამგეობის თანამშრომლები შედიოდნენ. აღსანიშნავია, რომ იქ, სადაც მოქალაქეები კონკურსის წესით შეარჩიეს, ცალკეულ შემთხვევაში, განაცხადის შეტანის ვადა ძალიან მცირე იყო (მაგალითად, 2 დღე - ვაკეში, 4 დღე - კრწანისში), რაც, რეალურად, ხელს უშლიდა მათ ინფორმირებას და კონკურსში მონაწილეობას. **უმჯობესია, ყველა გამგეობაში მრჩეველთა საბჭოს დასაკომპლექტებლად გამოცხადდეს კონკურსი, ხოლო განაცხადების შეტანის ვადა არანაკლებ 7 დღით განისაზღვროს.**

თბილისის რაიონის გამგეობებში შექმნილმა მრჩეველთა საბჭოებმა პირველ სხდომებზე შეაფასეს გამგეობის წინა 4 წლის საქმიანობის ანგარიშები. საბჭოს წევრები, როგორც წესი, დადებითად აფასებდნენ გამგეობის საქმიანობას.

ყველაზე გვიან მრჩეველთა საბჭო ისნის რაიონის გამგეობაში შეიქმნა - 2022 წლის 23 აგვისტოს. დებულებით, მის ერთ-ერთ ვალდებულებად განისაზღვრა საქმიანობის შესახებ კვარტალური ანგარიშის მომზადება. საბჭოს შემადგენლობაში გათვალისწინებული იყო რაიონის ტერიტორიული ერთეულების წარმომადგენლობა პროპორციულად, მაცხოვრებელთა რაოდენობის შესაბამისად. საბჭოს შემადგენლობაში შევიდნენ: რაიონის ტერიტორიული ერთეულების წარმომადგენლები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მედიის, ბიზნესის წარმომადგენლები (მათი შერჩევა ხდება გამგეობის საუბნო განყოფილებებთან და საკრებულოში რაიონის მაჟორიტარ დეპუტატთან შეთანხმებით), რაიონის გამგებლის მიერ მოწვეული პირები (8 წევრი). საბჭოს წევრად შერჩევის ერთ-ერთი კრიტერიუმია რაიონის მოსახლეობის მხარდაჭერა. დადგინდა, რომ ის არანაკლებ 3 თვეში ერთხელ უნდა შეიკრიბოს.

შექმნის შემდეგ რამდენიმე საბჭომ საკუთარი ან რაიონის გამგეობის გასული თვეების საქმიანობის ანგარიში მოისმინა და შეაფასა. მაგალითად, თბილისის გლდანის რაიონის გამგეობის საქმიანობის ანგარიში მოისმინა მრჩეველთა საბჭომ 11 ოქტომბერს. საბჭოს წევრებმა დადებითად შეაფასეს გამგეობის საქმიანობა. კრწანისის რაიონის მრჩეველთა საბჭოს 29 ოქტომბრის დღის წესრიგში შევიდა საბჭოს 9 თვის საქმიანობის ანგარიში. სხდომის ოქმიდან არ იკვეთება შეფასება, თუმცა მითითებულია, რომ მომხსენებელმა შეკითხვებს უპასუხა და საბჭოს წევრების მიერ წამოყენებული ინიციატივები მოისმინა.

[454] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, 86[1]-ე მუხლი.

[455] თბილისის საკრებულოს 2023 წლის 27 იანვრის №03-032302638 წერილი.

ნაძალადევის რაიონში მრჩეველთა საბჭოს სხდომა 19 ივლისს გაიმართა. დღის წესრიგი სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ და ქონების მართვის საკითხს მოიცავდა. განხილვის შემდეგ ეს საკითხები ნაძალადევის რაიონის გამგეობას გადაეცა. შემდეგი სხდომა 7 ოქტომბერს ჩატარდა. საკითხები კვლავ გადაეცა ნაძალადევის გამგეობას. ოქმიდან არ ჩანს საბჭოს წევრთა მიერ გამოთქმული მოსაზრებები ან განცხადებები. საბურთალოს რაიონის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს 14 სექტემბრის სხდომაზე მოიწვიეს მერიის სსიპ „ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ უფროსი და სხვა წარმომადგენლები. განსახილველი საკითხი იყო დიდ დიღომში მიმდინარე საგზაო-სატრანსპორტო ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხილვა. სხდომაზე გამართული კითხვა-პასუხის შემდეგ მხარეები შეთანხმდნენ, რომ სატრანსპორტო პოლიტიკასთან დაკავშირებულ პრობლემებსა თუ გეგმებზე მომავალშიც გაიმართებოდა შეხვედრები და შესაძლებლობის ფარგლებში განიხილებოდა საბჭოს ინიციატივები და წინადადებები. შემდეგი გასვლითი სხდომა გაიმართა 16 სექტემბერს ერთ-ერთი სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე. შეხვედრას ესწრებოდნენ მოქალაქეებიც. კონკრეტულ ტერიტორიაზე საფეხმავლო ბილიკის მოწყობასა და შუქნიშნის დამონტაჟებას დაეთანხმა რაიონის გამგებელი. სამგორის რაიონის მრჩეველთა საბჭოს სხდომა გაიმართა 15 აპრილს. ძირითადი განსახილველი საკითხი იყო რაიონის პრობლემების იდენტიფიცირება, ასევე დაგეგმილი პროექტების გაცნობა. დებულებით განისაზღვრა, რომ საბჭოს წევრი შეირჩევა წარდგენილი განცხადების საფუძველზე. წევრობის შესახებ ბრძანების განახლებაზე გადაწყვეტილებას მიიღებს რაიონის გამგეობის ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეული. ჩუღურეთის რაიონის გამგეობის მრჩეველთა საბჭოს სხდომა გაიმართა 10 აგვისტოს. განიხილეს იანვრიდან აგვისტომდე განხორციელებული საქმიანობის ანგარიში, მიმდინარე პროექტები და დაგეგმილი სამუშაოები. 9 ნოემბრის სხდომაზეც გაწეული საქმიანობის ანგარიში წარადგინა გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა. ვაკის და მთაწმინდის რაიონების გამგეობების წერილებით საიას ეცნობა, რომ 2022 წლის 20 ივლისის შემდეგ ამ გამგეობებთან შექმნილი სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოების სხდომები არ ჩატარებულა. **როგორც გამოიკვეთა, ყველაზე ქმედითი იყო საბურთალოს რაიონულ გამგეობაში შექმნილი საბჭო (მათ შორის, ხშირი იყო შეკრებებიც), რაც შედარებით კარგი პრაქტიკაა და სარეკომენდაციოა სხვებისთვის.**

სხვა მუნიციპალიტეტებიდან მრჩეველთა საბჭო შექმნილია ბათუმში,[456] ზუგდიდში,[457] ქუთაისში,[458] გორსა[459] და რუსთავში.[460] თუმცა, ბათუმში ის არ ფუნქციონირებს,[461] ქუთაისთან დაკავშირებით კი საბჭოს საქმიანობის შესახებ ინფორმაცია საიას არ აქვს.

გორის მუნიციპალიტეტში 2022 წლის 31 მაისს ჩამოყალიბდა მრჩეველთა საბჭო 13 წევრის შემადგენლობით. მასში შედიოდნენ როგორც ცალკეული მოქალაქეები, ისე სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები.[462] 10 ივნისს ჩატარდა მისი პირველი სხდომა, რომელზეც მხოლოდ თავმჯდომარე და მოადგილე აირჩიეს. ასევე, სხვა ორგანიზაციულ და დარგობრივ საკითხებთან ერთად, განიხილეს საბჭოს 6-თვიანი სამოქმედო გეგმა,

[456] ბათუმის საკრებულოს 2022 წლის 13 ოქტომბრის №15-152228610 წერილი.
[457] ზუგდიდის საკრებულოს 2022 წლის 18 ოქტომბრის №25-252229111 წერილი.
[458] ქუთაისში შეიქმნა მერის 20 აპრილის ბრძანებით, საკრებულოს 28 აპრილის №45-45221184 წერილი.
[459] გორის მერის 2022 წლის 16 მაისის №20-2022136163 წერილი.
[460] რუსთავის საკრებულოს 2022 წლის 14 დეკემბრის №01382234859 წერილი.
[461] ბათუმის საკრებულოს 2022 წლის 18 ოქტომბრის №15-15222915 წერილი.
[462] სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის გორის ოფისის ხელმძღვანელი; შპს „სამეგობროს” კომერციული დირექტორი; დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის გორის ოფისის ხელმძღვანელი; ა(ა)იპ ,,კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრის” თავმჯდომარე; ა(ა)იპ „შალომ კლუბი შიდა ქართლის“ აღმასრულებელი დირექტორი; ა(ა)იპ „საზოგადოება ბილიკის“ თავმჯდომარე; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს – ქალაქ გორის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი.

რომლის ფარგლებშიც შეიქმნა სამუშაო ჯგუფები - კომიტეტები. ისინი თემატურად იმუშავებენ მიზნობრივ ჯგუფებთან და განახორციელებენ საჭიროებათა კვლევას კითხვარის დახმარებით.

საბჭოს მუშაობის პროცესში მერს წარედგინა რამდენიმე რეკომენდაცია. ერთ-ერთი მათგანის თანახმად, მიზანშეწონილად იყო მიჩნეული, რომ მრჩეველთა საბჭოს დებულებაში ცალკე მუხლებად ჩამოყალიბდეს სხდომის ღიაობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების საკითხები, ასევე განისაზღვროს საბჭოსა და მერის ურთიერთობები. კერძოდ: საბჭოს სხდომები ღია უნდა იყოს და მასზე დასწრება შეეძლოს ნებისმიერ პირს; საბჭოს სხდომის თავმჯდომარის თანხმობით, პირს უნდა შეეძლოს, გამოთქვას მოსაზრება განსახილველ საკითხზე ან/და დასვას კითხვა, ასევე დააინიციროს საკითხი, რომელსაც საბჭო ხმათა უმრავლესობით განიხილავს და მიიღებს გადაწყვეტილებას შემდგომი რეკომენდაციისთვის; საბჭოს სხდომის თარიღის, გამართვის ადგილისა და დღის წესრიგის შესახებ ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს სხდომამდე 2 დღით ადრე მაინც მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე ან სოციალური ქსელის მეშვეობით; საბჭოს გადაწყვეტილებები და რეკომენდაციები უნდა გამოქვეყნდეს მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური საკომუნიკაციო არხების საშუალებით; საბჭო წელიწადში ერთხელ უნდა წარადგენდეს ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ; საბჭოს საქმიანობის ეფექტიანობის მიზნით, ის არანაკლებ თვეში ერთხელ უნდა შეიკრიბოს.

ამავე რეკომენდაციით დადგინდა მერის ვალდებულება, საბჭოს განსახილველად წარუდგინოს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი, სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტები, გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ წინადადებები, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და ინფრასტრუქტურული, სოციალური პროექტები. საბჭომ საკითხის სხდომაზე განხილვის შემდგომ შესაბამისი რეკომენდაცია/წინადადება წერილობით უნდა წარუდგინოს მერს.

სხვა რეკომენდაციები ითვალისწინებდა სხვადასხვა დარგობრივ საკითხს, როგორებიცაა სკვერისთვის კონკრეტული პირის სახელის მინიჭება, დასახლებულ პუნქტებში გაჩერებების მოწყობა, მიწისქვეშა გადასასვლელების მოწესრიგება, სპორტული მინი-სტადიონების შესწავლა, სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და მათი აღდგენისთვის საჭირო თანხების ბიუჯეტში გათვალისწინება.

1-ელ აგვისტოს გორის მერის მრჩეველთა საბჭომ ჩაატარა გასვლითი სხდომა, რომელიც გაიმართა გორის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ტრანსპორტის სააგენტოში. განხილვის თემა იყო მუნიციპალურ ტრანსპორტთან დაკავშირებული გამოწვევები. სააგენტოს ხელმძღვანელმა საბჭოს წევრებს გააცნო ტრანსპორტის სააგენტოს სტრუქტურა, მარშრუტების კონფიგურაცია, მგზავრთა გადაყვანის საინფორმაციო სისტემა და ავტობუსების მოძრაობის LIVE-კონტროლის მექანიზმი. მხარეებმა ისაუბრეს იმ გამოწვევების შესახებ, რომლებიც გორში მუნიციპალური ტრანსპორტით მოსარგებლე მოსახლეობას აწუხებს.

რეკომენდაციებთან დაკავშირებით 2022 წლის 6 სექტემბრის წერილით მრჩეველთა საბჭოს ეცნობა, რომ გორის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების მიხედვით, საბჭოს სხდომები, როგორც წესი, გაიმართებოდა თვეში ერთხელ. რაც შეეხება მათ მიერ მოთხოვნილ სხვა ცვლილებებს, რომლებიც უკავშირდებოდა საბჭოს სხდომის ღიაობას, ასევე საბჭოსა და მერის ურთიერთობის მოწესრიგებას, მერიის მოსაზრებით, ეს საკითხები დარეგულირებული იყო საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ამიტომ დებულებაში მათი ასახვის აუცილებლობა არ არსებობდა. **საია მიიჩნევს, რომ მრჩეველთა საბჭოს რეკომენდაციების ასახვა არსებითად გააუმჯობესებდა მოქალაქეთა ჩართულობის სტანდარტს და პრაქტიკას მუნიციპალიტეტში, შესაბამისად, უმჯობესი იქნებოდა მისი კონსოლიდირებული სახით**

ასახვა საბჭოს დებულებაში. ამასთანავე, როგორც გამოვლინდა, გორის მერის მრჩეველთა საბჭოს მუშაობის საწყისი ეტაპი საკმაოდ აქტიური იყო და ეხებოდა არა მხოლოდ საყოფაცხოვრებო საკითხებს, არამედ მერის ანგარიშვალდებულების გაუმჯობესებასაც. ეს პრაქტიკა მისასალმებელია და საბჭოს თავდაპირველი აქტივობები დადებითად შეიძლება შეფასდეს.

2022 წელს დუშეთის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა არ გამართულა. ეს საბჭო დუშეთის მუნიციპალიტეტში 2016 წლის 11 აპრილს შეიქმნა 12 წევრის შემადგენლობით. დებულების მიხედვით, ის არანაკლებ 3 თვეში ერთხელ უნდა შეკრებილიყო, თუმცა, ამ დათქმის მიუხედავად, დღემდე არცერთხელ არ შეკრებილა. მისგან განსხვავებით, აქტიურად ფუნქციონირებს მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო,[463] რომელიც მერის 2022 წლის 8 ივნისის ბრძანებით შეიქმნა. საბჭოში არის 19 წევრი და საბჭოს კოორდინატორი. წევრები შეირჩა გასაუბრების საფუძველზე. საბჭოს სხდომები იმართება საჭიროებებიდან გამომდინარე. 2022 წელს, ჯამში, რვა შეხვედრა გაიმართა.[464] საბჭო პერიოდულად აცხადებს წევრთა მიღებას, ახორციელებს სხვადასხვა აქტივობას და თანამშრომლობს სხვა მუნიციპალიტეტების საბჭოებთან. საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან იკვეთება, რომ ახალგაზრდული საბჭო გორშიც[465] და ბათუმშიც[466] ფუნქციონირებს.

რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაშიც შექმნილია სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო. ის სხვადასხვა პროფესიის ისეთი რუსთაველებით არის წარმოდგენილი, რომლებსაც აქტიური მონაწილეობა აქვთ მიღებული ქალაქის განვითარებაში.[467] მერის სათათბირო ორგანომ ჩაატარა ერთი ოფიციალური სხდომა 2022 წლის 4 ნოემბერს. ერთ-ერთი განსახილველი საკითხი იყო 2023 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები. მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა საბჭოს გააცნო 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი, თანხების გადანაწილება მიმართულებების მიხედვით და ბიუჯეტის ზოგადი მაჩვენებლები. ასევე, ქალაქის მერმა საბჭოს წარუდგინა საქმიანობის ანგარიში, რომელშიც განხილული იყო 2022 წლის ბიუჯეტი პრიორიტეტების მიხედვით, განხორციელებული პროექტები და რეფორმები, ასევე კომპანია „რუსთავის წყლის“ მიერ შემუშავებული გეგმა. საბჭოს წევრები 5 თემატურ ჯგუფში გადანაწილდნენ მათი სურვილის, კომპეტენციისა და გამოცდილების მიხედვით. სხდომა მიმდინარეობდა კითხვა-პასუხისა და მოსაზრებების გაცვლის რეჟიმში. საბჭოს წევრებმა იმსჯელეს კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით, წამოაყენეს ინიციატივები და წინადადებები (ქალაქის ურბანული განვითარება, ტრანსპორტის, კულტურის, ინფრასტრუქტურული და სოციალური საკითხები) და გამოთქვეს მზაობა, აქტიურად ჩაერთონ საბჭოს მუშაობაში.[468]

თელავის საკრებულოდან მესამე კვარტალში მიღებული პასუხის თანახმად, მრჩეველთა საბჭო ფორმირების პროცესშია, თუმცა წლის ბოლოსთვის ის შექმნილი არ იყო.[469] საბჭოს არსებობის საჭიროება კი აშკარად გამოიკვეთა მუნიციპალიტეტში. მაგალითად, საიამ მოიპოვა ინფორმაციები იმ მოქალაქეებისგან, რომლებიც მერიას და საკრებულოს მიმა-

[463] დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს Facebook-გვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3KPclop, განახლებულია: 31.03.2023.
[464] დუშეთის მერიის 2023 წლის 14 მარტის №132-132230732 წერილი.
[465] Youth council of Gori • გორის ახალგაზრდული საბჭოს Facebook-გვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/YouthCouncilOfGori, განახლებულია: 31.03.2023.
[466] ბათუმის მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო - Mayor's Youth Advisory Council, Facebook-გვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3KQhEEc, განახლებულია: 31.03.2023.
[467] „რუსთავის მერს ახალი მრჩეველთა საბჭო ჰყავს“, ინტერპრესნიუსი, 2022 წლის 3 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3M7UtpO, განახლებულია: 31.03.2023.
[468] რუსთავის საკრებულოს 2022 წლის 14 დეკემბრის №01-382234859 წერილი.
[469] თელავის საკრებულოს 2022 წლის 17 აგვისტოს №01-27222294 წერილი.

რთავენ. მათი ინიციატივები ეხებოდა ქალაქში შუქნიშნების დამატებას და არსებულის მოწესრიგებას, ამხანაგობის თავმჯდომარეების გადამზადებას და მათთვის საგანმანათლებლო პროგრამების გათვალისწინებას, ახალი სოციალური პროგრამის დანერგვას, გარკვეულ სფეროში სტრატეგიული და მიმართულებების სამოქმედო დოკუმენტის შექმნას და ა.შ. რამდენიმე აქტიურმა მოქალაქემ 2022 წელსაც მიმართა მუნიციპალიტეტის მერიას საინტერესო ინიციატივებით, განახორციელეს ადვოკატირების კამპანია, თუმცა, მათი თქმით, მერიის საჯარო მოხელეები ამ ინიციატივებს არასათანადო პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში დასახლებისთვის მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური საკითხების განხილვის მიზნით შეიქმნა მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო. საიასთვის გამოგზავნილი წერილის თანახმად, საბჭოს პირველი ივლისიდან 30 სექტემბრის ჩათვლით გადაწყვეტილებები არ მიუღია.[470] 2022 წლის 14 ნოემბერს გამართულ სხდომაზე კი 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი განიხილეს.[471]

ოზურგეთის მერის მრჩეველთა საბჭო ჯერჯერობით არ შექმნილა. თუმცა, როგორც გამოთხოვნილი საჯარო ინფორმაციიდან ირკვევა, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს კონსულტაციები საბჭოს შემადგენლობის დამტკიცებასთან დაკავშირებით.[472]

მუნიციპალიტეტის მერისა და საკრებულოს წევრის მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა მოქალაქეების მიერ

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით, მოქალაქეთა მონაწილეობის ერთ-ერთი ფორმაა მუნიციპალიტეტის მერის და საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა.[473] ეს უკანასკნელნი ვალდებულნი არიან, წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1-ლი ნოემბრისა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი დადგენილებით განსაზღვრული წესით, მოაწყონ საჯარო შეხვედრები ადგილობრივ ამომრჩეველთან, წარუდგინონ მათ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ და უპასუხონ დასმულ შეკითხვებს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველს უფლება აქვს, შეუზღუდავად დაესწროს ამ შეხვედრებს. მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოები ვალდებულნი არიან, უზრუნველყონ ხსენებული ანგარიშების გამოქვეყნება.[474] ამ ქვეთავში საუბარია მხოლოდ საკრებულოს წევრების ანგარიშებზე, რომელთა წარდგენის ვალდებულებაც დეპუტატებს მოქალაქეების წინაშე აქვთ.

თბილისის მუნიციპალიტეტში 50-ვე დეპუტატმა წარადგინა საქმიანობის ანგარიში, რომლებიც საკრებულოს ვებგვერდზეა განთავსებული.[475] გარდა ამისა, ნაწილმა მათი საჯარო განხილვაც მოაწყო.[476] საკრებულოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციიდან ჩანს, რომ მოსახლეობასთან შეხვედრებს სხვადასხვა რაოდენობის მოქალაქე ესწრებო-

[470] ზუგდიდის საკრებულოს 2022 წლის 18 ოქტომბრის №25-252229111 წერილი.
[471] ზუგდიდის საკრებულოს 2023 წლის 31 იანვრის №25-252303121 წერილი.
[472] ოზურგეთის საკრებულოს 2022 წლის 12 ოქტომბრის №37-37222853 წერილი.
[473] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, 88-ე მუხლი.
[474] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, 88-ე მუხლი.
[475] თბილისის საკრებულოს ვებგვერდი, ანგარიშები, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3nXRVk1, განახლებულია: 31.03.2023.
[476] თბილისის საკრებულოს ვებგვერდი, მოსახლეობისთვის ანგარიშის წარდგენა, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3o4HSKd, განახლებულია: 31.03.2023.

და (მათ შორის იყვნენ საკრებულოს სხვა წევრებიც). თბილისის წარმომადგენლობითი ორგანოდან საიას არ მიეწოდა ინფორმაცია იმის თაობაზე, როგორ ეცნობა მოსახლეობას ანგარიშების განხილვის შესახებ და სურდა თუ არა განხილვაზე დასწრება უფრო მეტ ადამიანს.

2022 წლის 8 აპრილს ქალაქ რუსთავის საკრებულოსა და ა(ა)იპ „მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრს“ შორის თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში საკრებულოს წევრებმა მოქალაქეებს წარუდგინეს ანგარიშები მათი საქმიანობის შესახებ. ანგარიშები რუსთავის საკრებულოს Facebook-გვერდზეა გამოქვეყნებული.[477] მათი განხილვა არ მომხდარა.

ოზურგეთის საკრებულოს 25-მა წევრმა წარადგინა საქმიანობის ანგარიში, ყველამ, ერთის გარდა - ოქტომბრის თვეში. ანგარიშები გამოქვეყნებულია საკრებულოს ვებგვერდზე.[478] როგორც შეხვედრების ოქმებიდან ირკვევა, განხილვებს ესწრებოდნენ მოქალაქეები.[479]

დუშეთის საკრებულომ საიას გამოუგზავნა საკრებულოს წევრების მოკლე ანგარიშები და რამდენიმე თითოგვერდიანი მოხსენებითი ბარათი, რომელთა ნაწილი საანგარიშო პერიოდს არ ეხება (ზოგი კოდექსით მოთხოვნილ 1-ელ ნოემბერზე ბევრად ადრეა შედგენილი, ზოგი კი - არსებითი დაგვიანებით). ანგარიშები გამოირჩევა ფორმალურობით და არ შეიცავს სრულყოფილ ინფორმაციას. მათი ნაწილი საკრებულოს ვებგვერდზეა გამოქვეყნებული, თუმცა უცნობია, მოქალაქეებს წარედგინა თუ არა ყველა მათგანი. საკრებულომ ორგანიზაციას არ აცნობა, როდის იყო ანგარიშების განხილვა და რა ფორმით მოიწვიეს მოქალაქეები.

თელავის საკრებულოს რეგლამენტის მიხედვით, საკრებულოს წევრის ანგარიშის მოსმენა ხდება საკრებულოს სხდომის დარბაზში (მაჟორიტარული წესით არჩეული საკრებულოს წევრის ანგარიში შესაძლებელია მოსმენილი იყოს შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის საჯარო დაწესებულების დარბაზში).[480] ამ ანგარიშების გამოქვეყნების შესახებ გამოთხოვნილი ინფორმაციის თანახმად, 1-ლი ნოემბრის მდგომარეობით, მხოლოდ „ქართული ოცნების“ წევრებს აქვთ ისინი წარდგენილი. ანგარიშები ატვირთულია თელავის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.[481]

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა 2022 წელს საქმიანობის ანგარიშები ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით განსაზღვრულ ვადაში წარადგინეს,[482] კერძოდ: ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა - 2022 წლის 31 ოქტომბერს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ანაკლიის ადმინისტრაციულ ერთეულში,[483] ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ წევრებმა - აბასთუმნის ადმინისტრაციულ ერთეულში,[484] ფრაქცია „ზუგდიდი საქართველოსთვის“ წევრებმა კი - დე-

[477] ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 18 იანვრის №39-39230184 წერილი.

[478] საკრებულოს წევრების ანგარიში, 03.12.21 - 01.11.22 პერიოდში გაწეული მუშაობის ანგარიში, ოზურგეთის საკრებულოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: http://ozurgeti.mun.gov.ge/?p=14940, განახლებულია: 31.03.2023.

[479] საკრებულოს წევრების ანგარიში, 03.12.21 - 01.11.22 პერიოდში გაწეული მუშაობის ანგარიში, ოქმები, ოზურგეთის საკრებულოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: http://ozurgeti.mun.gov.ge/?p=14940, განახლებულია: 31.03.2023.

[480] თელავის საკრებულოს რეგლამენტი, 130-ე მუხლი.

[481] თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში, თელავის საკრებულოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ZZfAxN, განახლებულია: 31.03.2023.

[482] ზუგდიდის საკრებულოს 2023 წლის 31 იანვრის №25-252303121 წერილი.

[483] ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრების შეხვედრა მოქალაქეებთან, ზუგდიდის საკრებულოს Facebook-გვერდი, 2022 წლის 31 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3M5kGp3, განახლებულია: 31.03.2023.

[484] ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრების შეხვედრა მოქალაქეებთან, ზუგდიდის საკრებულოს Facebook-გვერდი, 2022 წლის 31 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Me08uu, განახლებულია: 31.03.2023.

მოკრატიული ჩართულობის ცენტრში.[485] მოქალაქეებს ამის შესახებ ეცნობათ facebook-ის მეშვეობით.[486] ანგარიშები ზუგდიდის საკრებულოს ვებგვერდზე აიტვირთა.[487]

გორის საკრებულოს 35-მა წევრმა საქმიანობის ანგარიშები 2022 წლის 1-ელ ნოემბრამდე წარადგინა. ამის თაობაზე მოქალაქეებს ეცნობათ ადმინისტრაციულ ორგანოში, ასევე საკრებულოს შენობაში განთავსებული საინფორმაციო დაფის საშუალებით.[488] შეხვედრის მიმდინარეობა აისახა შესაბამის ოქმში, ხოლო ანგარიშები გამოქვეყნდა საკრებულოს ვებგვერდსა[489] და საინფორმაციო დაფაზე.

ქუთაისის საკრებულოს წევრების წლიური ანგარიშები განთავსებულია საკრებულოს ვებგვერდზე.[490] საკრებულოს თავმჯდომარემ ანგარიში 2021 წლის დეკემბრიდან 2022 წლის ნოემბრის ჩათვლით პერიოდში გააცნო საზოგადოებას და ასევე წარადგინა ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე.[491] გარდა ამისა, საკრებულოს facebook-გვერდზე დევს ინფორმაცია საკრებულოს უმრავლესობის წევრების მიერ ანგარიშების ჩაბარების თაობაზე,[492] თუმცა ოპოზიციის წარმომადგენელთა შესახებ მონაცემები არ იძებნება.

ბათუმის საკრებულოს ვებგვერდზე გამოქვეყნებულია საკრებულოს წევრთა საქმიანობის ანგარიშები,[493] თუმცა მათი საჯარო წარდგენის შესახებ ინფორმაცია საკრებულოს საიასთვის არ მიუწოდებია.[494]

სამოქალაქო ჩართულობის სხვა მექანიზმები

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის გარდა, მოქალაქეთა ჩართულობის დამატებით მექანიზმებს რამდენიმე საკრებულოს რეგლამენტი ითვალისწინებს.

ქუთაისის, ბათუმისა და თელავის საკრებულოების რეგლამენტები მოიცავს საზოგადოებრივი დარბაზის შექმნის შესაძლებლობას.

თელავის საკრებულოს 2023 წლამდე მოქმედი რეგლამენტის მიხედვით, საზოგადოებრივი დარბაზი იქმნებოდა საკრებულოს განკარგულების საფუძველზე, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებული სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების წარმომადგენლებისგან. წევრთა რეგისტრაციას უზრუნველყოფდა საკრებულოს აპარატი. რეგისტრაცია იწყებოდა საკრებულოს შესაბამისი განკარგულების გამოქვეყნების დღიდან. თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე მოქმედ სამეწარმეო თუ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს საკრებულოს განკარგულე-

---

[485] ფრაქცია „ზუგდიდი საქართველოსთვის“ წევრების შეხვედრა მოქალაქეებთან, ზუგდიდის საკრებულოს Facebook-გვერდი, 2022 წლის 31 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Ga1AKL, განახლებულია: 31.03.2023.

[486] იხ. ზუგდიდის საკრებულოს Facebook-გვერდი თითოეული შეხვედრის ანონსის თაობაზე: https://bit.ly/3Zypvue; https://bit.ly/3ZEz2zM; https://bit.ly/40F4xen; განახლებულია: 31.03.2023.

[487] საკრებულოს წევრების წლიური ანგარიშები, ზუგდიდის საკრებულოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/42TFaap; განახლებულია: 31.03.2023.

[488] გორის საკრებულოს 2023 წლის 18 იანვრის №21-212301816 წერილი.

[489] საკრებულოს წევრების ანგარიშები, გორის საკრებულოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3nvHILo, განახლებულია: 31.03.2023.

[490] ქუთაისის საკრებულოს ვებგვერდი, ანგარიშები, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/40ROBoT, განახლებულია: 31.03.2023.

[491] ქუთაისის საკრებულოს 30 ნოემბრის სხდომის ოქმი, საკრებულოს №139 განკარგულება.

[492] ქუთაისის საკრებულოს ვებგვერდი, საჯარო ინფორმაცია, ანგარიშები, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3nEQdDZ, განახლებულია: 06.04.2023.

[493] საკრებულოს წევრის საქმიანობის ყოველკვარტალური ანგარიში, ბათუმის საკრებულოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: http://batumicc.ge/index.php?l=1&menu=508, განახლებულია: 11.04.2023.

[494] ბათუმის საკრებულოს 2023 წლის 31 იანვრის №15-15230319 წერილი.

ბის გამოქვეყნების შემდეგ ნებისმიერ დროს ჰქონდა აპარატისთვის მიმართვის უფლება საზოგადოებრივი დარბაზის წევრად რეგისტრაციის შესახებ. წევრების რაოდენობა არ იზღუდებოდა.[495] საკრებულოს მოქმედი რეგლამენტი საზოგადოებრივი დარბაზის თაობაზე მსგავს მოწესრიგებას აღარ ითვალისწინებს, თუმცა რამდენიმე მუხლში გაწერილია ამ ორგანოს უფლებამოსილებები.[496] საანგარიშო პერიოდში საზოგადოებრივი დარბაზის შექმნის მექანიზმი თელავის და ბათუმის[497] მუნიციპალიტეტებში არ გამოუყენებიათ.

ქუთაისის საკრებულოს რეგლამენტი ითვალისწინებს საზოგადოებრივი დარბაზის ფორმირებას.[498] თუმცა, ამ მუხლების პრაქტიკაში გამოყენების მაგალითები არ იძებნება. რეგლამენტი ასევე მოიცავს მოქალაქეთა ჩართულობის ისეთ მექანიზმებს, როგორებიცაა: ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს და/ან თანამდებობის პირისადმი მიმართვა,[499] მოქალაქეთა მიერ თვითმმართველობის ორგანოს და/ან თანამდებობის პირისადმი საჯარო განცხადებით მიმართვა,[500] მოქალაქეთა მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელება.[501] თუმცა, მათი გამოყენების თაობაზე ინფორმაცია საკრებულოდან საიამ ვერ მიიღო.

თელავის საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებულია ამომრჩეველთა მოსმენის წესი - საკრებულოს „ღია კარის სხდომა“, რომელიც 3 თვეში ერთხელ მაინც უნდა ჩატარდეს, თუმცა მოქალაქეთა ჩართულობის ეს ფორმა თელავში არ ხორციელდება.[502] იგივე წესი არსებობს ბათუმის საკრებულოშიც.[503] 2022 წლის 22 აგვისტოსა და 29 სექტემბრის სხდომების მიმდინარეობისას მისი გამოყენება საკრებულოს უფრაქციო დეპუტატმა მოითხოვა,[504] რაც არ დაკმაყოფილდა.[505] მსგავსი შესაძლებლობაა გათვალისწინებული ქუთაისის საკრებულოს რეგლამენტითაც,[506] თუმცა მისი გამოყენების თაობაზე ინფორმაცია საიას არ აქვს.

ოზურგეთის საკრებულო მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად იყენებს რამდენიმე ინოვაციურ და ელექტრონულ მექანიზმს,[507] მათ შორისაა: საკრებულოს სხდომების პირდაპირი ტრანსლირება;[508] ელექტრონული პეტიცია;[509] ვიზუალური ბიუჯეტი; საკრებულოსა და კომისიების სხდომების შესახებ მოკლეტექსტური შეტყობინება.[510] ეს მექანიზმები ოზურგეთში სხვადასხვა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის პროექტების შედეგად დაინერგა. პროექტების დასრულების შემდეგ კი მუნიციპალიტეტ-

[495] თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ თელავის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის №6 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 119-ე მუხლი.
[496] მაგალითად, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვა საზოგადოებრივ დარბაზთან ერთად (თელავის საკრებულოს რეგლამენტის 89-ე მუხლის მე-5 პუნქტი) და საკრებულოს მუშაობის ანგარიშის განხილვა საზოგადოებრივი დარბაზის მიერ (131-ე მუხლის მე-6 პუნქტი).
[497] ბათუმის საკრებულოს 2023 წლის 26 აპრილის №15-15231168 წერილი.
[498] ქუთაისის საკრებულოს რეგლამენტი, 119-ე მუხლი.
[499] იქვე, 121-ე მუხლი.
[500] იქვე, 122-ე მუხლი.
[501] იქვე, 128-ე მუხლი.
[502] ფაქტი გამოვლინდა მონიტორინგის შედეგად.
[503] ბათუმის საკრებულოს რეგლამენტი, 103-ე მუხლი.
[504] ბათუმის საკრებულოს 2022 წლის 22 აგვისტოს №4 და 29 სექტემბრის №5 სხდომების ოქმები.
[505] ბათუმის საკრებულოს 2022 წლის 29 ნოემბრის №7 სხდომის ოქმი.
[506] ქუთაისის საკრებულოს რეგლამენტი, 123-ე მუხლი.
[507] ოზურგეთის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს №37-37222211 წერილი.
[508] პირდაპირი ტრანსლაცია, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: http://ozurgeti.mun.gov.ge/?page_id=5167, განახლებულია: 31.03.2023.
[509] პეტიციები, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: http://petition.lsg.ge/ozurgeti/, განახლებულია: 31.03.2023.
[510] სიახლეების გამოწერა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: http://ozurgeti.mun.gov.ge/?page_id=327, განახლებულია: 31.03.2023.

მა სერვისების მიწოდება გააგრძელა. რაც შეეხება სტატისტიკას, საანგარიშო პერიოდში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომების პირდაპირი ტრანსლირებით ისარგებლა 33 864-მა პირმა, საკრებულოსა და კომისიების სხდომების შესახებ მოკლეტექსტურ შეტყობინებას იღებს 14 804 მომხმარებელი, ხოლო მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე ვიზუალური ბიუჯეტი ნახა 3 118-მა მომხმარებელმა.[511] **ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების ამგვარი გამოყენება საუკეთესო პრაქტიკად შეიძლება შეფასდეს.**

გარდა ამისა, ოზურგეთის საკრებულოში 3 აგვისტოს გამოითქვა ინიციატივა, რომ მერიასა და საკრებულოში შემოსულ მოქალაქეთა წერილებზე რეაგირებისა და საკრებულოს მაჟორიტარი წევრების ინფორმირების მიზნით სპეციალური დღე გამოიყოს. ამასთან დაკავშირებით საიას საკრებულოდან წერილით განემარტა, რომ ასეთი დღე არ არის დანიშნული, თუმცა საკრებულოს მაჟორიტარ წევრებს ნებისმიერ სამუშაო დღეს (აუცილებლობის შემთხვევაში არასამუშაო დღესაც) შეუძლიათ, მიიღონ მათი უფლებამოსილების განხორციელებისთვის აუცილებელი ინფორმაცია მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.[512]

შეჯამება

9 მუნიციპალიტეტის ორგანოებიდან მიღებული ინფორმაციიდან გამოიკვეთა, რომ მოქალაქეთა ჩართულობა ადგილობრივ თვითმმართველობაში სუსტია. ისინი იშვიათად იყენებენ ისეთ მექანიზმებს, როგორებიცაა დასახლების საერთო კრება, პეტიცია, საკრებულოს სხდომებში მონაწილეობა. ეს, შესაძლოა, გამოწვეული იყოს მათი ინტერესის ნაკლებობით ან ამ მექანიზმების თაობაზე ინფორმაციის არქონით.

მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხზე, მათი სურვილის გარდა, მოქმედებს შესაბამისი ღონისძიებების ხარვეზებიც. მაგალითად, ასეთია საკრებულოს სხდომებზე დასწრებისა და მოსაზრებების გამოხატვისთვის ნებართვის მიღების წესი, საკრებულოს სხდომებისა და სხვა აქტივობების თაობაზე მოქალაქეთა ინფორმირების არასათანადო პრაქტიკა, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოებში მოსახლეობის გაწევრიანების რეგულაცია და პროცედურები. ამ მხრივ საკრებულოებში განსხვავებული გამოცდილება გამოიკვეთა (მათ შორის, კარგი პრაქტიკაც). ზოგიერთ შემთხვევაში ხელშემშლელი იყო საკრებულოს სხდომათა დარბაზის სივრცე, რომელიც არ იძლეოდა მოქალაქეთა დასწრების შესაძლებლობას (ან დარბაზი იყო პატარა, ან არ იდგა სკამები), ზოგან კი სხდომაზე დასასწრებად აუცილებელი იყო საკრებულოსთვის წინასწარ წერილით მიმართვა. ამასთანავე, საკრებულოების უმეტესობაში სხდომების თაობაზე ინფორმაცია (თარიღი, დღის წესრიგი, პროექტები) გონივრული ვადით ადრე არ ქვეყნდებოდა, რაც, პოტენციურად, ხელს უშლიდა დაინტერესებული პირების ინფორმირებას და საკითხების გაცნობას. უმეტეს შემთხვევაში არ ქვეყნდებოდა სხდომების ოქმებიც, რაც, დამატებით, უარყოფითად მოქმედებდა უკვე მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ მოქალაქეთა ინფორმირებაზე. გარდა ამისა, გამოიკვეთა ოქმებში არასრულყოფილი მონაცემების ასახვის ფაქტები.

რამდენიმე საკრებულოში ამ ნაწილშიც გამოვლინდა მოქალაქეთა ჩართულობის კარგი პრაქტიკა. მაგალითად, ოზურგეთის საკრებულო ითვალისწინებდა ჩართულობის დამატებით მექანიზმებს. თელავის, გორისა და დუშეთის საკრებულოებში კი სხდომებზე დამსწრე საზოგადოებას ჰქონდა საკუთარი მოსაზრებების თავისუფლად გამოთქმის შე-

[511] ოზურგეთის საკრებულოს 2022 წლის 7 ოქტომბრის №37-37222801 და 2023 წლის 27 იანვრის №37-37230271 წერილები.
[512] ოზურგეთის საკრებულოს 2023 წლის 24 თებერვლის №37-37230551 წერილი.

საძლებლობა. გარდა ამისა, თელავის საკრებულო ნორმატიული აქტების განხილვის დაწყებამდე პროექტებს საჯარო განხილვისთვის 1 თვით ადრე აქვეყნებს, რაც საუკეთესო პრაქტიკად შეიძლება შეფასდეს.

რეკომენდაციები

მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად საიამ შეიმუშავა რეკომენდაციები, რომლებიც ეხება როგორც საკრებულოს, ისე მერიას:

1. საკრებულოს წევრებმა და სხვა სუბიექტებმა აღმასრულებელი ორგანოს მიმართ აქტიურად უნდა გამოიყენონ კანონმდებლობით გათვალისწინებული ზედამხედველობის მექანიზმები;
2. საკრებულოს ბიუროს უფლებამოსილებებიდან უნდა ამოვიდეს თანამდებობის პირების ანგარიშების მოსმენა და ის საკრებულოს გადაეცეს;
3. მუნიციპალიტეტის მერმა ყოველწლიური ანგარიში უნდა წარადგინოს საკრებულოს სხდომაზეც. საკმარისი არ არის მხოლოდ საზოგადოების გარკვეული ჯგუფებისთვის მისი გაცნობა;
4. აღმასრულებელი ორგანოს მიერ წარმოდგენილი ინიციატივების განხილვისას დეპუტატები მეტად უნდა კონცენტრირდნენ შესაბამის საკითხზე და თავიდან აიცილონ ურთიერთბრალდებები, რომლებიც წარმოდგენილ თემებს არ ეხება;
5. მიზანშეწონილია, საკრებულოს სხდომებზე საკითხების განხილვისას ყველა პარტიის (და არა მხოლოდ ოპოზიციის) წარმომადგენლებმა იაქტიურონ და დასვან კრიტიკული შეკითხვები აღმასრულებელი ორგანოს მიმართ;
6. თბილისის საკრებულომ უნდა აღმოფხვრას პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც, საკრებულოს სხდომაზე ერთდროულად განიხილება მერის ანგარიში და მუნიციპალური ბიუჯეტი;
7. ყველა საკრებულომ უნდა დაიცვას კანონმდებლობის მოთხოვნა და წინა წლის შესყიდვების ანგარიში საკრებულოში წარადგინოს დადგენილ ვადებში;
8. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ უნდა დაიცვას კანონმდებლობის მოთხოვნა და დადგენილ ვადაში უპასუხოს საკრებულოს სუბიექტების მიერ გაგზავნილ წერილობით შეკითხვებს, აგრეთვე სხდომებზე დაბარების შემთხვევაში -გამოცხადდნენ საკრებულოში;
9. მერიის საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები საკრებულოს სხდომებზე უნდა წარადგინონ ამავე უწყების წარმომადგენლებმა და არა - საკრებულოს წევრებმა;
10. ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი (მასში ცვლილებები) და შესყიდვების ანგარიში, მიზანშეწონილია, საკრებულოს სხდომაზე წარადგინოს მერმა ან მისმა მოადგილემ;
11. ისეთ საკითხებს, რომლებსაც საკრებულოს მხრიდან არადამაკმაყოფილებელი შეფასება აქვს, მნიშვნელოვანია, მოჰყვეს შესაბამისი უწყების თანამდებობის პირის მიმართ რეაგირების ზომები;
12. უმჯობესია, საკრებულოებში კენჭისყრა საკითხის განხილვის დასრულების შემდეგ გაიმართოს, ან იმგვარი პროცედურით, რომელიც ხელს არ შეუშლის ამ საკითხის სიღრმისეულად შესწავლის შესაძლებლობას;

13. რეკომენდებულია, მერმა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შენიშვნებისა და რეკომენდაციების თაობაზე გატარებული ღონისძიებების შესახებ პერიოდულად აცნობოს საკრებულოს;

14. რეკომენდებულია, ყველა საკრებულომ დანერგოს პრაქტიკა, რომ დეპუტატების მიერ სხდომაზე გამოთქმული მოსაზრებები გაიგზავნოს მერიაში რეაგირებისთვის;

15. რეკომენდებულია, საკრებულოებში დაინერგოს პრაქტიკა, რომ სხდომებზე დეპუტატების მიერ ზეპირი ფორმით დასმულ შეკითხვებს პასუხი ადგილზევე გასცენ დამსწრე მერიის წარმომადგენლებმა;

16. საკრებულოს სხდომები უნდა ჩაინიშნოს მათ გამართვამდე სულ მცირე 7 დღით ადრე მაინც;

17. მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს დეპუტატებს სხდომის თარიღი და განსახილველი საკითხებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია გაეგზავნოთ სხდომამდე სულ მცირე 3 დღით ადრე მაინც, რათა მათ შეძლონ სათანადოდ მომზადება;

18. მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს სხდომების ოქმები შეიცავდეს დაწვრილებით ინფორმაციას საკითხების განხილვისა და მათ გარშემო წარმართული დებატების თაობაზე;

19. გამჭვირვალობის კარგი სტანდარტის უზრუნველყოფის მიზნით, თავიანთ ვებგვერდებზე საკრებულოებმა პროაქტიულად უნდა განათავსონ ინფორმაცია საკრებულოების სხდომების, დღის წესრიგების, განსახილველი საკითხების, სხდომების ოქმებისა და საკრებულოს საზედამხედველო საქმიანობის ინსტრუმენტების გამოყენების შესახებ, აგრეთვე მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების თაობაზე;

20. რეკომენდებულია, საკრებულოებმა დანერგონ მოქალაქეთა ჩართულობის (მათ შორის, მათი ინფორმირების) ინოვაციური და ეფექტიანი მექანიზმები;

21. საკრებულოებმა უნდა გასწიონ ძალისხმევა, რათა მოქალაქეებს ჰქონდეთ მეტი ინფორმაცია საკრებულოს საქმიანობაში ჩართულობის მექანიზმების თაობაზე;

22. რეკომენდებულია, რომ მერებმა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოებში მოსახლეობის წარმომადგენლობითობის უზრუნველსაყოფად შეიმუშაონ ამ ორგანოების დაკომპლექტების გამჭვირვალე და ინკლუზიური წესები;

23. რეკომენდებულია, საკრებულოს სხდომები გადაიცემოდეს პირდაპირ ეთერში, ან კეთდებოდეს ჩანაწერები, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება დაინტერესებული პირებისთვის;

24. მნიშვნელოვანია, სხდომები ჩატარდეს იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს მოქალაქეთა დასწრება და მონაწილეობა, დარბაზის სიმცირის შემთხვევაში კი საკრებულომ უზრუნველყოს სხდომის ტრანსლირება იმავე შენობის სხვა სივრცეში;

25. საკრებულოს სხდომებზე მოქალაქეთა დასწრებისთვის არ უნდა არსებობდეს ბიუროკრატიული დაბრკოლებები თუ სირთულეები;

26. მნიშვნელოვანია, საკრებულოს აპარატმა გასცეს ინფორმაცია საკრებულოს მიერ მერიაში გაგზავნილი შეკითხვებისა და მიღებული პასუხების შესახებ;

27. რეკომენდებულია, რომ საკრებულოებმა საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისთვის გამოაქვეყნონ ნორმატიული აქტების პროექტები და მხოლოდ ამ პროცესის დასრულების შემდეგ დაიწყონ სხდომაზე მათი განხილვა.